

Վահագին
1852

N6 2022



6060 Շակերասալլո - Քարտալլո Ցուածուս Աւեռևաթա

Տաշիր 1300 ՆՅԱԿՈՒՆԵՐԵՅՅՈ - ԾՈԺՈԶՄԱՍՈՍ ԹՈԹՈՍ ՏՈԹՈՂՈՅԱ

18010 Հովհաննեսալլո - ԾՈԺՈԶՄԱՍՈՍ ԹՈԹՈ ՁԻ ՔԱՐՏԱԼԼՈ ՀՈՎՀԱՆՆԵ



№ 6 // 2022

ლიცენზიაციული - სამიზანობლივი ქურნალი

მთავარი რედაქტორი ამირან გოგართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი თამარ გელიტაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა მარინე სიყაშვილი

ଫୋଟୋନି
ଶେତୀ ଧରମାକତୀଲ୍ଲି
ପରାମଣ୍ଡଳ ଶକ୍ତିକାରୀ

ქურნალი გამოდის
საჭართველოს კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდობის



საქაოთველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო

ciskari1852@gmail.com
<https://dspace.nplq.gov.qe/handle/1234/2>

სარჩევი

| | | | |
|---|----|---|----|
| პოვინი | | | |
| გურამ ჯახუტაშვილი | 3 | ამირან გომართელი | 67 |
| ნატალი დარასელია | 10 | ოიდიპოსის მითი და ქართული | |
| ბექა ახალაია | 14 | რომანი | |
| პოვინი | | | |
| ნათია როსტიაშვილი | 20 | სიმონ ჩიქოვანი – 120 | |
| წისქვილის ბიჭი | | მანანა ყიფიანი | 76 |
| მიხო მოსულიშვილი | 26 | „უნდა მეპოვნა უცხო ნაპირი“ (სიმონ ჩიქოვანის პოეტური გზა) | |
| ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე... | | | |
| კრიტიკა-ლიტერატურული | | | |
| მცოდნეობა | | ახალი თარიღები | |
| ნინო დარბაისელი-სტრონი | 35 | ქეით შოპენი | 83 |
| თანამედროვე პოეტი ქალები (ციკლიდან: ქართული პოეზიის პანორამა) | | ქარიშხალი | |
| სერგეი ავერინცევი | 53 | ინგლისურიდან თარგმნა | |
| ოიდიპოსის მითის სიმბოლიკის განმარტებისათვის | | მაია ბოლაშვილმა | |
| თარგმნა ქეთევან ჯერვალიძემ | | | |
| ქეით შოპენი | | | 88 |
| სინანული | | | |
| ინგლისურიდან თარგმნა | | | |
| ზურაბ სონდულაშვილმა | | | |

გარეუანზე:

ჰერ გაბრიელ ვიკენტერგი – ოიდიპოსი და ანტიგონე

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე
განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ
ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

გურამ ჯახუტაშვილი



ქული

ლამეა. ხუთი წუთია ხუთის.
ჩიტი თავისით მიდის ბუდისკენ.
მინაზე გდია მოლურჯო ქუდი.
ამ ქუდს პატრონის სურნელი უდის,
რომელიც გუშინ იდგა ქუდის ქვეშ
და ქუდიანად ტოტის ქვეშ –თუთის.

წავიდა კაცი და თუთის ჩრდილიც
ფესვის წვერებით გაჰყვა ამაყად.
ვერ შეამჩნიეს ეს წყვილი დილით,
ვერც მეგობრობა შენიშნეს თბილი,
ვერ შეამჩნევენ მგზავრებს ამაღამ,
გამუღავნებამდე ფიქრის თუ ფირის.

თუთა წავიდა. წავიდა კაცი.
მინაზე ქუდიც ამას უთითებს.
ამ ადგილს ახლა შვეულად აწვიმს,
ხოლო გამვლელთა უდიდეს ნაწილს,
ის ქუდიანი კაცი – თუთითვე,
სადმე უქუდოდ შეხვდებათ, ანი.

ნახავენ ვრცელი ქარებით დაღლილს.
ქუდთან პარალელს ვერ გაავლებენ.
ვერც თუთის ჩრდილი – იგივე სახლი,
ყოველთვის მრავლის მთქმელი და ახლის,
ვერაფერს ეტყვის ნაცნობ გამვლელებს,
ვერაფერს ეტყვის და ტოტებს დახრის.

წასვლა

ველარ ვჩერდები ამ ქალაქში,
რადგან ქალაქიც,
ველარ ჩერდება.
ვერ მაგონებს ხმას. ლაპარაკი –
ერთი უბრალო ჰაერია – უდეციბალო,
ტოტიდან ჩიტიც არქაული ხმებით მიგალობს,
კი არ მიგალობს,
მეჩეუბება და ეს ანბანიც,
ფიქრის ერთგვარი პროლოგია,
სადაც განბანილ
ადამიანთა გზები გადის, სადაც მიუვალ
ნარმოსახვებშიც – მარტოობის დეუავიუა.

ვტოვებთ ერთმანეთს,
მე გავდივარ საღგურებიდან,
მატარებლებით, ხომალდებით. ნადგურდებიან
ოდესლაც ჩემი არსებობის განმასაზღვრავი –
ანაბეჭდები, სამხილები,
დროის სასხლავი
აკორექტირებს
მახსოვრობის მწიფე ტალავერს,
ხეებიც დგანან და ზურგს უკან ტოტებს მალავენ
და უხამხამოდ მაყოლებენ თვალებს მიწიანს,
თითქოს რაღაცას განიცდიან,
რაღაც იციან.

ვინ მეტყვის, თითქოს,
ქალაქიდან წასვლა არ ღირდეს,
იქნებ მდინარემ ამომძახოს ვრცელი არხიდან –
ყოველ საღამოს,
ყოველ დილით, ყოველ ცისმარე
და აბზაცებად დამიბრუნოს ყველა სიზმარი,
რაც საგანგებოდ გავამხილე ფსკერის თევზებთან,
რაც ჰეგავდა ძველი ჭრილობების ამოკემსებას,
რაც ჰეგავდა ერთგვარ აღსარებას,
როცა ნაცადი გზებით
მდინარეს ვუყვებოდი და ვუმარცვლავდი:

როგორ მიყვარდა
ამ ქალაქის თითო კუნჭული,
როგორ ვხედავდი გარეუბნებს – თვალდახუჭული,
რომ თითო ღიმილს,
თითო წყენას, თითო ფარდობით –
იმედს ეკავა

ცნობიერის მთელი ფართობი,
 რომ წყალს ვუმხელდი –
 მარტოობის ყველა მაგალითს,
 მაგრამ არათუ უღერადობა – ექოსმაგვარი,
 მხოლოდ სიჩუმე მოისმოდა ფსკერის მღვიმიდან,
 მე კი ვყვიროდი საპასუხო გრძნობის იმედად.
 ვინ მეტყვის, თითქოს
 ეს ქალაქი სადმე მომძებნის?
 ან სად მომაგნებს?
 კიდურები – როგორც ბოძები,
 ქმნიან გაქცევის ფანტასტიკურ ტრაექტორიებს,
 ქალაქი გარბის,
 მეც მივდივარ, ანუ ორივე,
 ნაცვლად უზომო სიყვარულის –
 შიშვე ვთანხმდებით,
 ჩვენი გაქცევაც თარიღდება შიშის თანხლებით
 და როცა ქარი გადაიტანს გზებზე ქალალდსაც,
 ხელმოწერები არ ვიქნებით – უკვე აღარსად.

მე ვტოვებ ქალაქს,
 უფრო ზუსტად, ვტოვებ შენობებს,
 ამ შენობებში ჩემს წასვლაზე უკვე მსჯელობენ,
 ბევრი სხვადასხვა ვარაუდი ისმის მაშინვე,
 თუმცა სიმართლე შიგნით რჩება – შენობაშივე
 და ილუქება,
 მახსოვრობის ვრცელი დარბაზი,
 აღარც პროფილით ვიძებნები,
 აღარც ანფასით,
 ჩემგან შემდგარი გარნიზონი ტოვებს დერეფანს,
 ასე სრულდება სიყვარული.
 წყდება ფერება.

არავითარი ემპათია...
 რაც არ გაწუხებს,
 არაფერს გეტყვის სხვის კისერზე – კვალი მარწუხის,
 ველარ აღადგენ,
 ვის ეკუთვნის ანაბეჭდები –
 კბილის თუ ლურსმნის,
 არ გაწუხებს? აღარც ეჭვდები.
 არა თუ ტონებს ცისარტყელის, ვეღარ ანსხვავებ,
 ერთმანეთისგან – კენჭებსა და თანავარსკვლავედს,
 რაც არ გაწუხებს,
 რაც არ გტკივა – ის არ არსებობს,
 და ცხოვრობ ასე –
 უყველაფროდ, უშიგთავსებოდ.

და უთქმელადაც
ნათელია, ალბათ, დღესავით,
როგორც ზურგიდან დასარტყმელი დანის მღესავი
არ იცნობს,
თვალის გასწორების ბედნიერებას,
ისე არ იცი,
სად მივყავარ ვიწრო დერეფანს,
ისე ვერ ხვდები,
ჩემს ნაბიჯებს რატომ ვახშირებ,
მთლიანად რატომ ვიწურები – ჩანასახშივე,
ნაპირიდანვე რატომ წყდება ჩვენი ლივლივი
და სამუდამოდ ვიხურებით
ძველი სკივრივით.

ველარ ვჩერდები ამ ქალაქში,
რადგან ქალაქიც,
ცათამბჯენებით, კორპუსებით, ქოხით, ბარაკით,
სივრცით, რომელიც
მეკუთვნოდა მთელი არსებით,
მთელი თავისი აღუქმელი დისონანსებით –
ჩემ სარკმელს ტოვებს,
იპარება ცნობიერიდან,
ეს განშორება ადრინდელზე ლმობიერია,
და ირწევიან
უჩემობით სავსე ქუჩები,
გათანგულები – ათასგვარი გამაყუჩელით.

ველარ ვჩერდები ამ ქალაქში,
რადგან ქალაქიც,
ვერასდროს იგრძნობს
უჩემობის მწვავე დანაკლისს,
და გამომწვევად უსახური ქუჩის მკვიდრებსაც,
ნასვლაზე მეტად,
აქ დარჩენა გაუკვირდებათ.
ერთი ჩიტებს თუ გავახსენდი – ეზოს იფნიდან,
თუკი შეძლებენ,
რომ იფანთან ისევ მიფრინდნენ,
თუკი დახვდებათ
ძველ ადგილზე – თვითონ გამზირი,
თუკი გატყდება უგრძელესი ლამე – ნავსივით,

ველარ ვჩერდები ამ ქალაქში,
რადგან ქალაქის,
სიყვარულისთვის განკუთვნილი ფიქრის მარაგი,
ერთ საღამოში დაიღვარა და გაიწრიტა,
ისე, რომ თვალიც ვერ შევავლე ზეცას – მიწიდან

დღეს მხოლოდ ამბებს იხილავენ
ჩიტის მოტანილის,
მთვარე რაფაზე ჩამომჯდარი, როგორც ქოთანი,
ლამის კეფაზე მობჯენილი –
მითვლის ნაფაზებს,
თითქოს ქალაქში დაბრუნების შანსებს აფასებს.

ვეღარ ვჩერდები ამ ქალაქში,
რადგან ქალაქი,
ისევ ჩემში მაქვს დასაძლევი –
გადასალახი,
გარშემო ყველგან ნალმებია, წრენირებია,
და იმედებიც
ამ წრენირებს ეწირებიან,
მე კი ჩემში ვარ შეკეტილი –
გრძნობის თავდებად,
ამ დროს ყველაფრის დამნახავი მზერა თავდება.
თვალი თავდება,
ისადგურებს უხილვადობა
ქალაქში, სადაც სევდა მოსდევს –
ფიქრის განდობას.

მივდივარ,
ისევ ზურგით მიმაქვს გრილი ხანძარი,
მატარებლები, ხომალდები ფრთხილად დავძარი,
დამშვიდობების საპასუხოდ – ვუქნევ კიდურებს,
იმათ, ვინც გზაზე მივატოვე და მოვიმდურე,
ვისოდისაც ჩემი არსებობა გავდა რენდერებს,
ვისაც ამ გზაზე
უნებლიერ გადავემტერე,
ვინც უსაფუძვლოდ შევიყვარე ყველა უჯრედით,
მაგრამ დარჩენა ვერ შევძელი,
ვერ გავუჩირდი

ვტოვებთ ერთმანეთს,
მე გავდივარ სადგურებიდან,
მატარებლებით, ხომალდებით. ნადგურდებიან
ოდესლაც ჩემი არსებობის განმასაზღვრავი –
ანაბეჭდები, სამხილები,
დროის სასხლავი
აკორექტირებს
მახსოვრობის მწიფე ტალავერს,
ხეებიც დგანან და ზურგს უკან ტოტებს მალავენ
და უხამხამოდ მაყოლებენ თვალებს მიწიანს,
თითქოს რაღაცას განიცდიან,
რაღაც იციან

მშრალი ხილი

არარსებობა, მარტოობა და ენკენისთვე.
აუხდენელი ზმანებების შავი ბაზარი.
აქეთ ბანარი გასაყიდი. შიში. ენის ქვეშ –
ლურსმანი. იქით – დალუქული ბუდე კრაზანის.
ყიდიან პირველ შეყვარებას. პირველ ნაფაზებს.
დახლებზე ლპება – განშორება, გაუცხოვება.
გადამყიდველი რეალურზე ძვირად აფასებს,
სხვების გროშებად ჩაბარებულ გზას და ცხოვრებას.

ბრები. ლითონის ტორშერები. რქები მოზვერის.
პატეფონები. ამსახველი ომის – ალბომი,
ყიდიან ტკივილს – მარტოობის ქვაბში ჩალბობილს,
გადადუღებულს, ამოთქვეფილს და ამოზელილს.
ყიდიან სიზმრებს. ფასდაკლებით გააქვთ ლოდინი.
ძაფზე კამათლებს უკინძავებ ქალებს – ყელისთვის.
ქალებიც თავებს აწონებენ ფილატელისტებს,
კისერზე კოხტად მორგებული გილიოტინით.

ყიდიან ცვრიან ბალახებში წოლის იდეას.
დახლზეა ოქროც, ამოღებულ კბილის სინჯისვე,
ყიდიან პროთეზს მოოქროვილს – ამით ყიდიან,
ისტორიული ჩაღიმების სინარინჯისფრეს.
ყიდიან დროშებს..ზანზალაკებს. დროგამოშვებით,
ყიდიან შიშებს ათეისტურს. ზოგი – ცას ყიდის
და ხალხიც ცდილობს დააწებოს გროშებს გროშები –
გატაცებული ანგელოზის გამოსასყიდი.

ყიდიან ულვაშს. ულაუვარდო კაცის ასისტენტს
ხატავენ ზურგით, აბრუნებენ ნახატს გულალმა.
ყიდიან ნალებს, რაც დაკარგა გზაში ულაყმა,
როდესაც თავი დააღნია გრძნეულ რასისტებს.
ყიდიან სიმებს, საქსაფონებს, დოლებს, გიტარებს,
წვიმის დროს სახე უჩერდებათ ძველი ნივთვივით,
და სანამ ხიდის შორიახლოს გამოიდარებს,
გაუყიდავი ნივთებივით უწევთ ტივტივი.

ბავშვი ჯაზმენი – ფაიფურზე უკრავ ჩანგლებით,
უკრავს კოვზებით, აფართოვებს თეფშზე ნაპრალებს
ვინმემ თუ ჭიქა დაითვალა ერთით ნაკლები,
მაშინვე ბავშვის შთაგონებას გადააბრალებს.
ტოვებენ ნახატს პორტრტეტები, ქალი უკივის
გაქცეულ პროფილს, ნახატიდან თავს რომ უშველა,
სკამზე შემდგარი გამომვლელი გადაუშლელად
უკითხავს ქვეთავს რომანიდან ვინმე ბუკინისტს.

ეძებენ კიდეც, მამაპაპის ნაქონ განწყობას.
ჩრდილიდან მარცხნივ, სანოვაგის მაღაზიამდე,
აუყვებიან ჩამწკრივებულ დახლებს, საწყობობებს,
ინტუიციით – ძიებას რომ ახასიათებს.

ეძებენ წერილს. არც მიწაზე და არც გაფენილ
სარეცხის თოკზე არსად ხვდებათ ქალის ბარათი,
მხოლოდ ბეჭედი ენარცხება შვეულ ქვაფენილს
და უთეთრდება სამახსოვრო რკალი არათითს.

დგანან მუხლამდე სიმშრალეში და ვინ ვინ არის?
– ვერ გაერკვევი, ვეღარ დასვამ უფრო საშინელ
შეკითხვას, რადგან უხილავი დროის მდინარე
უკლებლივ ყველას მიაქანებს ხიდის რკალშივე
და აყვინთავებს ყოველგვარი ვალდებულების
გარეშე, – ქალაქს – აჭრელებულს, ვინტაჟებიანს,
ქალაქს, რომელშიც მუცლიდანვე მსჯავრდებულები,
მოქრონიკულო ისტერიით იტანჯებიან.





ნატალი დარასელია

ნერე ტყეებზე, უწყინარი სიტყვებით წერე.
 როგორ გათანგავს ნუკრის ცრემლი გულჩვილ მეტყევეს,
 რომ ჩვენ ერთმანეთს ისე ვხოცავთ – მავნებელ მწერებს,
 რომ ასე მაინც ერთმანეთი ავამეტყველოთ.
 ავამეტყველოთ, იმ მეწყერზე კლდე რომ დატეხა
 ცხელი ჸურივით... ხმელ ფოთლებს რომ ლოშნის იაბო...
 რომ შვილებისთვის არ დავტოვოთ სხვა თავსატეხი,
 გარდა იმისა, მოვხუცდეთ და მათ ვერ გვიამბონ,
 ჩვენც რომ ოდესაც მათნაირად გვჭირდა სიელმე.
 ვიბრძოდით, ვძლებდით... ვმუნჯდებოდით, როცა გვიჭირდა...
 სანამ უსუსურთ, მტაცებელი სიცარიელე
 სულზე ულმობელ იარებს არ ამოგვიჭრიდა.
 და ჩვენ გადავრჩით... წყალდიდობის შემდეგ ნაპირზე
 გარიყულ ნივთებს, ფეხსაცმელებს, მორებს და ქილებს
 ვგავართ და ვიღებთ სიცოცხლისთვის განკუთვნილ პრიზებს
 აბებს საძილეს, სასიკვდილოს და საქირქილეს.
 სანამ სიზმრების ლაპირინთში ლრმად არ შეტოპავ,
 სანამ წყვდიადი – დამნაშავის მოჭრილი თავი
 შენს სიჭაბუკის მესერზე არ წამოესობა,
 მუდამ იფხიზლე და მით უფრო ფრთხილად იყავი,
 რადგან ფეხები თუ ერთხელაც ჩადგი სუროთი
 დაწნულ ბორკილში, თუ ხელები ცეცხლში შეყარე,
 მარტო დარჩებით შენ და შენი სიტყვა-სურათი,
 როგორც დანგრეულ ხარაჩისთან მჩატე მეშახტე.
 და კოშკებიდან წამორეკილ, ნისლში შეზელილ
 ყვავებს უფრთხილდი, თუ დაჭრილი სული თან გახლავს,
 თუ შეირჩინე იმედები და თუ შეძელი
 გაუხედნავი ბილიკების ცრემლით გალახვა

წერე იმაზე, რომ ოდესლაც შენც შეგეშინდა...
 ჩვენ კი მოგისმენთ. ჩვენ ვისწავლით როგორ არ მოვკვდეთ.
 სანამ მოგორავს სიბოროტე სპილოს ეშვიდან
 და სიბოროტის თეთრი ეტლი სანამ მოგორავს
 ჩვენი ხრამისკენ. წერე ტყეზე, ჩიტზე, წყაროზე.
 როგორ გათანგა ნუკრის ცრემლმა ჯუჯა მეტყევე.
 წერე და მერე წასაკითხად ჩვენ გვიწყალობე,
 რომ ერთმანეთი ასე მაინც ავამეტყველოთ

სამი სასუფეველი

1

ნუ გეშინია, შვილო ჩემო!
 ჩემო მრევლო და პრმად მორწმუნევ!
 მალე მოგარჩენ
 და გამოგაჩენ!
 ჩამოგბან წყლულებს, ჭუჭყიან ტერფებს,
 ოლონდ მეტრფოდე!
 ოლონდ გწამდეს!
 ძეხვის ნაჭერივით ათლილ ბავშვობას გამოგისყიდი.
 ოლონდ ნურასდროს დამაბრალებ რომ მოგისყიდე!
 მომყევი!
 მენდე!
 მეთაყვანე!
 შენ, სხვათა მუცლის ამოსაყორ ტომრებით სავსე ურიკის მძღოლო
 და ულიმილო ჯუჯა ჯამბაზო!
 ბაზრის ლაქიავ!
 ნუ გეშინია!
 ეთაყვანე ჩემს ლაპაპიან კისერზე ჩამოკიდებულ ოქროს ჯვარს და
 გწამდეს, ახლოსაა ცათა სასუფეველი!

2

მთელი წლის მანძილზე სადლაც, „პადზემკაში“ მწოლიარევ და
 ხურდის მათხოვარო!
 შენ, ფურთხით დაბანილო,
 ფეხმოყინულო და ტანშიშველო,
 პურისაკენ ცრემლით მომზირალო,
 და აი, დადგა ნეტარი ჟამი.
 სადაცაა მოგაწყდებიან კამერები, უურნალისტები, როგორც ბუზები
 – ნეხვის გროვას.
 მოგაწყდებიან თავად ნეხვით ამოტენილი ქონდრისკაცები,
 შავი პიჯაკებით, გრძელი პალსტუხებით, გამობერილი შარვლის
 უბეებით და ვეება ღიპებით.
 გამოგკითხავენ – რა გიჭირს და ასე დაგვანახებენ ჩამონგრეულ
 ეკონომიკას, მემკვიდრეობით გადმოცემულს წინა მმართველობიდან.

გაზრდიან შენით სტატისტიკას, მოგვიყვებიან შიმშილის ზღვარზე
მყოფ ადამიანებზე,
კარაქიან პურსა და შოკოლადზე მეოცნებე ბავშვებზე,
დაგანაყრებენ მსუყე სიტყვებით, დაგიყვავებენ, ჩაგიხუტებენ
მერე კი, საგულდაგულოდ დაიპანენ ხელს, ჩამოგირეცხავენ ხელის
ჭუჭყივით და ამაყად გააგრძელებენ სიცოცხლეს.
ნუ გეშინია, ახლოსაა ცათა სასუფეველი!

3

ნუ გადახტები ამ ხიდიდან!
ნუ დაგრეს თოკს მუხის ხისათვის!
ნუ შეიჩრიალებ ვენაში თხევად ქვეწარმავალს!
ნუ გადაყლაპავ მთელ კოლოფ ცისფერ აბებს!
ნუ გადასერავ შენს მაჯაზე ლურჯი ღვთის მადლს!
დაგემუქრება ჯოჯოხეთი.
შენ, მინიერი ყოფის რკინის ლანჩით გასრესილ ბალლინჯოს!
ჩონჩხად ქცეულს და ლოცვის მოლალადეს.
სიცივის ქვეშაგს,
ლუკმის მხატვარს,
ცივი გზების მტკეპნავს და წყლის მნაყველს,
დაგემუქრება ჯოჯოხეთი, რომელიც უკვე დაიზეპირე.
ნუ გეშინია.
ახლოა ცათა სასუფეველი.

აღსარება დედას

ახლა მე ოთხას რამდენიმე კილომეტრით შორს
ვწევარ და ერთად ვიგერიებ ცრემლებს და კანკალს,
(ცუცურებ სიტყვებს ფურცლის ბოლოს:
თითქოს აქ ხარ შენც,
ახალგაზრდა და ფრთხილი დედა
და პატარა მეს
ურწევ ხისაგან გამოჩირკნილ ყანყალა აკვანს,
ან უფრო დიდი – სიმინდისგან ფაფას მიხარშავ).
გარეთ ქარია. შიგადაშიგ წვიმის წვეთები
ეხლება უკვე მომპალ ყურძენს,
ბრონეულს და კომშს,
მეც ჯერ როგორლაც ამ ტკივილებს ვჩემალავ და ვუძლებ,
მაგრამ შენც იცი, არსად რომ არ წავა ეს შიში.
და ჩემი ხორცი, გაზქურაზე მდგარი ქვაბივით,
რომელსაც ცეცხლზე სადაცაა უშრება წყალი,
თანადროულად იწყებს სტვენას, დნობას და შიშინს.
მე ვერ გავყურებ სადგურიდან მომავალ დედებს,
რომლებიც სოფლის ნობათებით დახუნძლულ კალთებს
და გულს – ახალი ხილით სავსე მრუდე კალათას

ნამოარხევენ შვილებისაკენ,
 ჩვენ რა ხანია შევენაცვლეთ ერთმანეთს, რადგან
 მე ვარ მშობელი, მე ვარ შენი დამტყდარი სარკე.
 ავუყოლიე ფეხი თბილისს. ზოგჯერ ვიჯერებ
 რომ ჩვეულებრივ მოკვდავთ შორის მეც მოკვდავი ვარ,
 მაგრამ, როდესაც მიჩუმდება ქუჩა და სახლი,
 მოდის დემონი და ჩამძახის:
 – უკვე მკვდარი ხარ!
 ვიღიმი. დღეებს – კომშის ჩირებს – საზამთროდ ვახმობ.
 ჩამომეწელა უპეები, სახე, მხრებიც კი
 და როცა მინდა მტკვარში ჩემი ჩრდილი ჩავახრჩო,
 ჩაიშრიალებს ჩემს ზურგს უკან, ჩემს თმებთან ახლოს
 შენი აჩრდილი და მაბრუნებს სიცოცხლისაკენ.
 ყველას თავისი გზები აქვსო, თავისი გეზი,
 მე სად გამისხლტა ჩემი სახრე, ჩემი ლაგამი?
 ჩემი სახე კი, შავ ლვინოში დამბალი სახე
 რომელ ანგელოზს მივუშვირო?
 რომელ ანგელოზს
 შევჩივლო, როცა გადახტება ლიანდაგიდან
 ჩემი ბავშვობა და სოფლისკენ გატრიალდება?
 აირბენს ალმართს, გაჭრის ეზოს და დაგინახავს
 და დარწმუნდება, რომ ჯერ ისევ უძლებ და ცოცხლობ,
 რომ შენს ხელებში მოქცეული ახალი ცოცხი,
 რომლითაც შენი მკვდარი შვილის დარგული რცხილის
 ამოკლაკნული ფესვებიდან ფოთლებს მოხვეტავ –
 ჯერ კიდევ უდრის შენი შავი ჭვარტლის ფრთების და
 ნაცრად ქცეული ხელოვნური გულის მოტეხვას,
 რომელსაც ისე უყრი ყველას, თითქოს მტრედი ხარ,
 რომელმაც იცის, რა რთულია ზამთრის შიმშილი
 მაგრამ შენს ზამთარს არ დაადგა ჯერაც საშველი.
 შენც საფლავი ხარ, შვილის კუბო გულით რომ დააქვს.
 ფეჩზე კი ისევ ამოჭრილი რძე თუ შიშინებს,
 ვგრძნობ, რომ უძლებ და ცოცხალი ხარ.
 მე კი ვაგრძელებ
 ძლიერი ქალის როლის თამაშს, სანამ ავლესავ
 ჩემს ბლაგვ მაკრატელს, შენი ჩრდილი რომ ჩამოვიჭრა
 და თანდაყოლილ სიკვდილს მივეცე.



ბექა ახალაია

ატომური ბომბი

ბირთვულ ომთან კუბის კრიზისის შემდეგ ყველაზე
ახლოს ვართო, – გამოაცხადეს ტელევიზორში.
განიხილეს ვარიანტები – სად შეიძლება,
ჩამოაგდოს პუტინმა ბომბი, სად ამჯობინებს,
უკრაინის რომელ ქალაქში. და თუ ჩვენამდე
მოაღწია ლრუბელმა, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ... –
იძლეოდნენ უფასო რჩევებს საქმის მცოდნენი.
დაამთავრეს. ტელევიზორი გამოვრთე. კიბეს

ჩავუყევი, გავედი გარეთ – სავსეა ეზო:
უფროსები, ბავშვები – ყველა ერთობა, ყველას
სულ ცალ ფეხზე ჰქიდია შენი ბირთვული ომი.
სტადიონთან მისვლა ვარჩიე, იდგნენ პატარა
ბიჭები და ბურთს დასცექეროდნენ – გახეთქილიყო,
არ იცოდნენ, რა უნდა ექნათ, რა ეთამაშათ.
გამახსენდა, ჩემს ბავშვობაში სად გვქონდა ბურთი,
კარის ძელზე მუყაოს ნაგლეჯს დავკიდებდით და

რიგრიგობით ვესროდით შურდულს – ეს იყო ჩვენი
გასართობი. შურდულის რეზინს სულ ვშოულობდით:
ჩვენი სკოლის სარდაფში ნაპოვნ აირწინაღებს
ვჭრიდით ხოლმე, ხოლო ისინი ეყარა ბლომად,
„ცივი ომის“ პერიოდიდან მოყოლებული,
როცა ბავშვებს აირწინალის გამოყენებას
ასწავლიდნენ იმისთვის, ერთ დღეს თუ ამერიკა
დაუშენდა ატომურ ბომბებს საბჭოთა კავშირს.

ელექტრიფიციაციული გოლგოთა

ზევით, ბოლო გაჩერებაზე, ავტობუსიდან
ჩავალ, მარცხნივ მოასფალტებულ გზას დავადგები,
ცოტაზეა ასფალტი, შემდეგ იწყება გრუნტი,
ასიოდე ნაბიჯს გავივლი, მერე ბილიკზე
გადავუხვევ, უშველებელი ლოდი დევს იქვე,
ჩამოვჯდები, მიყვარს იმ ლოდზე ჩამოსვენება,
თითქოს მაგრად დაღლილი ვიყო – ვიტყუებ თავს და
ფიჭვის კორომს გავყურებ ხოლმე, ბილიკი ზუსტად

შუაზე კვეთს პატარა კორომს, ანუ მომიწევს,
გავიარო შუაში, მაგრამ, სანამ გავივლი,
ჯერ შორიდან ვისუნთქავ ფიჭვის სურნელს. კორომის
ცოტა იქით სასაფლაოა, რომელიც, ასე,
ოთხი წლის წინ დაკეტეს, რადგან უკვე ადგილი
ალარ იყო (გრუნტის გზა მიდის სასაფლაომდე
წინა მხრიდან), მერე პატარა ხევია, ხევის
იქით ისევ მაღლა მიიწევს ბილიკი სერზე,

სერის იქით ერთი გორაა, გორის თავზე კი
ჯვრების ფორმის, მაღალი ძაბვის, სამი ბოძი დგას,
რეალურად შორიშორს დგანან, მაგრამ ამ კუთხით
ისე ჩანან, თითქოს გვერდიგვერდ იდგნენ, ისეთი
ბიბლიური პეიზაჟია, რომ, როცა სერზე
ავივლი და მომეფეთება, ნაბიჯს ვერ ვდგამ და
ინსტინქტურად მარჯვენა ფერდში ვიკიდებ ხელებს,
თითქოს შუბი მაძგერეს, როგორც ჯვარცმულ იესოს.

უხარხულობა

შაბათ-კვირას მომყავს მეც შვილი დედამისისგან,
წინა შაბათს ექსკურსიაზე იყო წასული,
ამიტომ არ მომიყვანია. ორი კვირაა,
არ მინახავს, დღეს მოვიყვანე. მონატრებულზე,
ხშირად მინდა, გულში ჩავიკრა და მოვეფერო,
და ყოველი ჩახუტებისას ვგრძნობ რაღაც მძიმე,
აუტანელ უხერხულობას, რადგან ვიცი, რომ
ზუსტად ახლა, აქვე, არცთუ შორს, სხვა მამას სახლში

უსვენია პატარა გოგო, რომელიც გუშინ
დაიღუპა მართლა გმირულად: შადრევნის გვერდით
ის და მისი თანატოლები ბურთს თამაშობდნენ
და უეცრად შიგ ჩაუვარდათ, ამოსატანად

ორი ბიჭი შევიდა წყალში, ორივეს დენმა
დაარტყა და, როცა გონება დაკარგეს, უცებ
ის გადაძვრა მისაშველებლად – პატარა გოგო...
ის ბიჭები გადაარჩინეს, გოგო კი – ვეღარ...

მთელი დღეა, უხერხულობის განცდა არ მტოვებს...

ხომაერთი

(ირაკლი ყალიბიავას)

იყო ესეც: მე შენზე მეტი მქონდა სავალი
სკოლამდე და, გაკვეთილები რომ მორჩებოდა,
გადავხვევდით ერთმანეთს ხელებს, დავადგებოდით
ასფალტაყრილ, ცენტრალურ ტრასას, გვრჩებოდა უკან
შენი სახლის გადასახვევი, ჩემს სახლთან თითქმის
მისულები როცა ვიყავით, შენ მხოლოდ მაშინ
ბრუნდებოდი, მე კი ვიდექი და გიყურებდი,
გადასახვევთან რომ დამექნია შენთვის ხელი.

ესეც იყო: დავიკიდებდით გაკვეთილებს და
ავდიოდით ხომაკირდეზე და იმ ძველისძველ
ნანგრევებთან მიწას ვჩიჩენიდით, ყოფილა კიდეც –
გვიპოვნია რალაცები (მაგ. ჭურჭლის ნატეხი).
მზის ჩასვლამდე ვრჩებოდით ხოლმე, რადგან იქიდან
გასაოცრად ლამაზად ჩანდა მზის ჩასვლა, იქ კი,
ქვევით, გვეძებდნენ დაფეხებული უფროსები.

იყო ესეც: იმ გოგოს სახლთან, შენ რომ გიყვარდა,
ვსხდებოდით და კარტს ვთამაშობდით, მაგრამ იმ გოგომ
არც იცოდა, შენ თუ გიყვარდა, ზუსტად სახელიც
არ ვიცოდით, ჩვენ რომ გვეგონა, ის სახელი კი
დას რქმევია... მიუხედავად ამ ყველაფრისა,
იქ ვისხედით თითქმის ყოველდღე, სანამ იმ გოგოს
მამა, სალამოს, სამსახურიდან მოვიდოდა.

ესეც იყო: ერთხელ მოხდა, რომ მე არ ვიცოდი
გაკვეთილი, შენ კი – იცოდი, მაგრამ, რახან მე
არ ვიცოდი, არც შენ მოყევი. მასნავლებელმა
იცოდა, რომ იცოდი შენ და ვერაფრით მიხვდა,
ამას რატომ აკეთებდი და ისე საშინლად
გაპრაზდა ბოლოს, შენც ამოგარტყა თრიანი.

იყო ესეც: ჩვენი სკოლის წინ, იქვე, ბაზარში
(„გორბაჩოვის პაზარი“ ერქვა, არ ვიცი, რატომ),
სათამაშო რევოლუციები – პლასტმასის, შავი –

მოიტანეს. დახლთან ვდგებოდით და ვუყურებდით,
როგორც რაღაც მიუწვდომელს და რაღაცა ზღაპრულს,
გამყიდველი გამოგვხედავდა ცივი ლიმილით,
ცუდი ქალი სულაც არ იყო, მაგრამ რა ექნა...
ვუყურებდით ყოველდღე ასე, სანამ, ერთხელაც,
შენ ფული არ დასცინცლე შენებს და ორივესთვის
არ იყიდე და... იმისი სუნი ახლაც მახსოვს.

კიდევ იყო... ახლა შენ იქ ხარ, სოფელში, მე კი
დამეზარა, დავრჩი თბილისში ამ აგვისტოსაც.
ხოდა, აქეთ როცა წამოხვალ, წამოიყოლე
რამე ისეთი... რამე ისეთი... მაგალითად:
ჩვენი ძვირფასი კლასელი გოგოს ძვირფასივე
საფლავის მინა, თუნდაც – ყვავილი საფლავიდან,
იმის დასტურად, მჭახე დასტურად, ყველაფერი
უკან რომ დარჩა, რომ გავიზარდეთ... და არ მინდა!

ორი ეპიზოდი ოცდაშვილშვილი შეალებით

1993 წ. სამეგრელო:

შვიდი წლის ვარ, ჩაის ბუჩქებში ჩუმად მივხოხავ,
„ჭრილობაზე“ ჩაის ფოთლები დავიფინე და
ცხვირსახოცით გადავიხვიე, ზურგზე მკიდია
ავტომატი – თხმელის ფიცრისგან გამოჩორკნილი,
დასაზვერად მივუახლოვდი „მტრის ბანაკს“, ოლონდ –
ისე ახლოს, შემამჩნიეს და „ცეცხლი“ გამიხსნეს,
ძლივს დავუსხლტდი, ბენვზე გადავრჩი, ასეა. მტერი –
<მხედრიონი>. ჯარისკაცები – ჯოხები, თავზე
წამოცმული გვიმრის კონებით. „სროლისას“ ორი
ჩავაძალლე. ვბრუნდები. ჩემკენ მოხოხავს ჩემი
მეგობარი დასახმარებლად, ალბათ, „სროლის“ ხმა
გაიგო და გამოემართა. <– ფეხში მომარტყეს!> –
ვეუბნები. ხელს მხვევს, მივხოხავთ ჩვენი „სანგრისკენ“.

2020 წ. თბილისი:

შვიდისაა ჩემი გოგონაც, <ზუმში> ონლაინ
გაკვეთილებს უზის დილიდან. მე აქვე, გვერდით
ოთახში ვარ, წიგნს ვკითხულობ და მხოლოდ ხანდახან
მახსენდება ყოფილი ცოლის გაფრთხილება, რომ
თავზე ვედგე, რადგან არ უსმენს მასწავლებლებს და
მაიმუნობს. ამიტომ, ზოგჯერ ვდგები და შვილის

ოთახის კარს შევაღებ ხოლმე. მართლა ასეა,
არ უსმენს და თავისითვის ხატავს. თითს ვუქნევ მკაცრად,
ანუ ვიხდი მშობელი მამის მოვალეობას
და ყველასთან პირნათელი და ცამდე მართალი,
ვუბრუნდები შეწყვეტილ აბზაცს, კითხვას ვაგრძელებ...
რომ დამთავრდა გაკვეთილები და <ზუმში> დარჩნენ
მხოლოდ ორნი – ჩემი გოგონა & მისი ერთ-ერთი
მეგობარი, ჩემი გოგონა: <– რა მოხდა, იცი?!
ჩემს თოჯინას გუშინ კოვიდი დაუდასტურდა!>

ფერისცვალება

„ფერცველობა“ – ბეჭიაჩემი ეძახდა ასე,
დილიდანვე ემზადებოდა, საკურთხის სუფრას
დიდ ოთახში გაშლიდა ხოლმე, ჩვენ კი, ბავშვები,
ნერწყვს ვყლაპავდით, ატუზულები ვიყავით კართან
და ველოდით, ბებია როდის დამთავრებდა

ფსალმუნების ხმამაღლა კითხვას, ვეღარ ვითმენდით
და როდესაც დაამთავრებდა, მთელი ოჯახი –
უფროსებიც – ჩავმწკრივდებოდით და სათითაოდ
მივდიოდით მაგიდასთან და, ძირს, აგურებზე
შემოდებულ თუნუქზე დაყრილ, მბოლავ ნაკვერჩხლებს

თითო საკმელს, ანუ პატარა ნაჭრებს სანთლისას,
ვაყრიდით და დამწვარი სანთლის თავპრუდამხვევი
სუნი უფრო საკრალურს ხდიდა ჩვენს იმ სერობას,
თან, ბოლომდე უნდა გვეჭამა მთელი საჭმელი,
შენახვა არ შეიძლებოდა მეორე დღისთვის...


რაც ბებია გარდაიცვალა, ამ და სხვა ასეთ
რაღაცებზე დროს აღარ ვკარგავთ, გადავიგონებეთ.
აი, დღესაც „ფერცველობაა“, წელან გავიგე,
ფეისბუქში როცა შევედი. ყველა ერთმანეთს
ულოცავდა, ზოგ მათგანს არც მე დავვიწყებივარ

და მოლოცვის რამდენიმე წერილი დამხვდა.
დედაჩემი სამსახურშია და შინ მარტო ვარ,
რომ ავდგე და გამოვალაგო, რაც არი სახლში
და გავაწყო საკურთხის სუფრა, ხომ ვიქნებოდი
კარგი ბიჭი?! მაგრამ რა ვუყო ამ სიზარმაცეს.

•

გამოვედი აივანზე და, როგორც ყოველთვის,
სულ ახლახან აღმოცენებულ კორპუსებს შორის
გავაძვრინე დაღლილი მზერა, ლოტკინის კალთას
მივაბჯინე, მიმოვატარე ამ უსახური
კორპუსების ჩარჩოში ჩასმულ მუქ პეიზაჟზე
და ვინატრე მთელი გულით და მთელი არსებით,
ჩემი მკვდრების საფლავები რომ არა – ოთხასი

კმ-თი შორს, არამედ აქვე, ლოტკინზე იყოს,
მართალია, მათ ძვირფას სულებს საკურთხის სუფრა
ვერ გავუწყვე, სამაგიეროდ, ყოველდღე, როცა
აივანზე გამოვალ ასე, მზერას შორ წერტილს –
მათ საფლავეს მივაწვდენ ხოლმე, ვუყურებ დიდხანს,
გადაღლილი, ჩანითლებული, მშრალი თვალების
სავარჯიშოდ, როგორც მირჩია ოფთალმოლოგმა.





ნათია როსტიაშვილი

წისქვილის ბიჭი

სულ მაქას შერძნება, რომ რაღაც უხილავი ლილაკი მმართავს. უფრო სწორად, მე ვმართავ ამ ლილაკით საკუთარ ცხოვრებას. გადავრთავ – უბედური ვარ, გადმოვრთავ – ბედნიერი. გადავწევ – მარტივი დღეები მიეწყობა, გადმოვრთავ – რთული.

როცა სალის ვხვდები, ლილაკს ხელის ხლებაც არ უნდა, ავტოპილოტი ირთვება და როგორი მძიმე დღეც არ უნდა მქონდეს – კარგად ვარ. ბავშვობიდან მოვდივართ ეგრე და რომ მახსენდება, ძვირფასი ბავშვობის რამდენი დრო შევალიერ ერთმანეთის დაკარგვის ფუჭ შიშს, მეცინება. მწარედ, მარამ მაინც. სულ გვეგონა, რომ აი, გავთხოვდებით და მორჩა, ჩემს ფეხებს ვიმეგობრებთ. არადა, თურმე, ჩემს ფეხებს – გავთხოვდებით.

მხოლოდ ღმერთმა უწყის, სად ვართ ახლა, რომელ ტრასაზე მივქრით. იქნებ – ეშმაკმაც, მაგრამ მე და სალი აზრზე არ ვართ. სალის უყვარს მანქანით უცხო გზებზე სიარული. ერთნაირად დუნე, მოფლაშული დღეების შესაფხიზლებლად მე ფოტოგრაფობა გამოვიგონე, სალიმ – უცხო გზებზე გაზისთვის ბოლომდე მიჭრა.

– აუუ, სალ, რა კადრია, გააჩერე!

უცებ დამუხრუჭებაც სალის საყვარელი საქმიანობაა. უცხო გზებზე გაქროლება და მერე უცებ ფეხის დაკვრა

– ღრრჭ!..

ორი დღეა ფოტოკონკურსისთვის კადრს ვეძებ. დღეს მესამე რომ გათენდა და ჩემთან მოსულმა სალიმ ნახა, დაძმარებული განწყობის გამოკეთებაში (ფოტოგრაფობა არათუ ველარ მშველის, უკვე ფოტოგრაფობის მიზეზითაც მიძმარდება განწყობა), ცოტა ხანს მათვალიერა და რაკი ნებით არსად წამსვლელს არ ვგავდი, მომჟიდა ხელი, ეგრე ბარგივით ჩამდო მანქანაში და წამოვედით ამ უცხო, შორ გზაზე.

რომელიდაც მორიგი სოფელი რომ მოვიტოვეთ უკან და ამ გაშლილ სივრცეში აღმოგჩნდით, უცებ დავინახე ეს ქარის წისქვილი და პატარა ქოხი.

ღრრჭ!..

დავავლე ეგრევე კამერას ხელი, გამოვალე კარი და დავეშვი სირბილით წისქვილისკენ.

კადრს მხოლოდ ვიზუალურად კი არა, ენერგეტიკულადაც ვგრძნობ. ჰოდა, ახლა ისეთი ენერგეტიკა მოდის, ვიღებ, ვიღებ, ვერ ვჩერდები. თან, ლამის მოვალო პირი და დავიყვირო რამე, ემოციის გამოსაშვებად. ქარია ისეთი, კეფის თმას „ჩილეკად“ მაფარებს და მართალია, თმასთან ერთად ნერვებსაც მიშლის, მაგრამ სამაგიეროდ, მთელ ჩემს დამტვერილ განწყობასაც არანაკლებ მონდომებულად, ნენავს, გვის და ანიავებს.

— გამარჯობა. — სალი ჩემს ზურგს უკან დაგას და უსაქმურობისგან მაიმუნობს.

სალი გაპრიალებული ქალაქების გოგოა, ჩემსავით მტვრით და ტყე-ლრებში ძრომიალით ვერ იმუხტება. გზები კი უყვარს, მაგრამ მხოლოდ მანქანიდან.

— გაგიმარჯოს, — შემობრუნების გარეშე ვეუბნები. თან ისეთი ტონით, რომ ეს ერთი სიტყვა „შემეშვისაც“ ნიშნავს, „მაცალესაც“ და „ხედავ როგორი თავაზიანი ვარ? ვმუშაობ, მაცდენ და მაინც არაფერს გაგრძნობინებსაც.“

ჩემი „გაგიმარჯოს“ კაცის ხმამაც გაიმეორა ექოსავით და არაფერი, ისევ ვიღებ.

ერთი კადრი, მეორე და უცებ მოვედი აზრზე, შემოვტრიალი.

დგას ვიღაც ბიჭი სალის გვერდით ეგრე, ქარბორბალისგან გაჩენილივით და რაღაცნაირი ალალი ღიმილით მიყურებს. უცებ ბუმ!.. დამკრა რაღაცამ თავში თუ გულში და ვუყურებ მეც ეგრე მიმტერებული. რა ვიცი, რა ჯანდაბა მეტაკა.

ამ ჩემი დალებული პირიდან შემოვიდა თუ რა იყო — შიგნითაც, სადღაც, ქარი ჩამიდგა უცებ და ვდგავარ ეგრე, აფრიალებული.

— ფოტოგრაფია, ერთი ბევრფულიანი ფოტოკონკურსისთვის კადრებს ეძებს.

— სალი ეუბნება რაღაცნაირად, გაპრანჭვასავით.

ეს კიდე იმ გამარჯობის მერე ხმას არ ილებს და მარტო ილიმება ბავშვობაში ნახატი ჩემი მზეებივით: აქეთ ლოყიდან იქით ლოყამდე გადაჭიმული ქვევით ჩაზნექილი რკალით.

ასეთი რამე ფილმში რომ მენახა, ვიტყოდი, რომ ძალიან ხელოვნური „პირველივე შეხვედრისას გული აუჩქროლდათ“ კადრია, მაგრამ მართლა ასე დამემართა და ჰა!

— ზენიტია, ფირით ვმუშაობ. — უადგილოდ დავაბრეხვე. ბიჭს თვალი მოვარიდე, კამერას დავხედე და არარსებულ ლაქას დავუწყე ფრჩხილით აფხევა.

რაღაც ხომ უნდა მეთქა, მაგრამ ეს „ფირით ვმუშაობ“ ისე უადგილოდ და მძიმედ დაეპერტყა, ამხელა ქარმაც ვერ

გაფანტა.

— მე სალი მქვია, — სალიმ ხელი გაუწოდა. ეგ ჩემსავით ბრინჯივით კი არ იბნევა.

— ერეკლე, — უპასუხა ამან და ხელი რატომდაც ჩემკენ გამოიწოდა.

მე უსიტყვოდ ჩამოვართვი.

— ეს ეკოა. — თქვა სალიმ ჩემს ნაცვლად და ხელი ამ ბიჭის ნაცვლად, მის წინ აფრიალებულ ქარს ჩამოართვა. ქარმა არაფერი, ჩვენ — გაგვეცინა. ასე გავიცანით ერთმანეთი ოთხივემ.

გადავიღე და ჩავსხედით ისევ მანქანაში. დააჭირა სალიმ გაზს.

— პატალა ფოტოგლაფ გოგოს პილველი სიკვალული ეწვია. — სიცილისგან ცრემლები სდის.

პრინციპში, იქ მართლა ისე გავ-შტერდი, კი ვარ დასაცინი. სალის ენის მოჩილექაზე გულში ძალიან მეცინება, მაგრამ არ ვიმჩნევ და დროდადრო, მოკუმული ტუჩებიდან მხოლოდ მეცაც „მოკეტეს“ თუ მოვისვრი სალის მიმართულებით.

— უნიტით ფილუე მუშობს ჩემი გოგო, მააშ! — სალიმ მუხლზე ხელი მომითათუნა და უკვე ვედარ შევიკავე, ამიტყდა ხარხარი და სალიმაც, ბარემ სრული ყოფილიყო ბედნიერება — დაჰკრა უცებ ფეხი საზეიმოდ და ღრრჭ!... ღრრჭ!..



თვალს მაგიდის საათისკენ ვაპარებ. მონიტორზეც კი შემიძლია ჩავხედო, მაგრამ იქ წამები რომ არ ჩანს, აზარტს გემოს ვერ ვატან. ერთი სული მაქვს, შვიდის ნახევარი გახდეს და სამსახურიდან გავვარდე, სალის ვხვდები ჩვენს ამოჩემებულ ბარში.

ბოლო დროს ძალიან გადავიღალე. იმ კონკურსის მერე აღარც ფოტოებს ვიღებ და თუ ძალიან აუცილებელი არაა — არც ხმას. გამარჯვებამ და პრემიამ ხასიათი კი გამომიკეთა, მაგრამ ცოტა ხნით. მგონი დიდხნიანი კარგად ყოფნის, დროში განელილი სიხარულის ნიჭი დავკარგე. უცებ-უცებ მოვილევ ხოლმე კარგად ყოფნას და მერე ისევ ჩემს ყველაფერი სულერთია განწყობის ფსკე-

რისკენ ვეშვები მშვიდად.

ჩემმა თანამშრომელმა სერგომ შე-მოხედა და მაგიდაზე ორად მოკეცილი ფურცლის ნაგლეჯი ისეთი მოძრაობით დამიდო, რომელსაც მხოლოდ „რუდუნებით“ შეიძლება შეესატყვისებოდეს. ჩემი მაგიდისკენ მომავალი სერგო და ორად გადაკეცილი ფურცელი ჩემი ყოველ-დღიური დეჟავუა. დღესაც გავუდიმე, წერილი ისევ წაუკითხავად მოვჭმუჭნე და ისე, რომ სერგოსთვის თვალი არც ახლა მომიცილებია, ურნისკენ მოვის-როლე. თავიდან დამიზნებითაც კი ვერ ვაგდებდი. მერე და მერე გამოვიბრძმე-დე. ეს ერთადერთი საერთო გვაქვს, მეც კუძლებ მისი წერილის ყოველდღიურ შემოტანას და ისიც – ჩემს ყოველდღიურ მოჭმუჭვნას. ნეტა პირველად რო-მელს ამოგვასხამს?..

ადრე, ეს რომ გავიდოდა, ვეცემო-დი ხოლმე წამის წინ გადაგდებულ ქა-ლალდს და ვშლიდი იმედით, რომ ეგებ ამჯერად მაინც რაიმე განსხვავებული ტექსტი მომწერა, მაგრამ ამაოდ.

„ეკო სამსახურის მერე ყავაზე გეპა-ტიუები“ – ყოველ ჯერზე იგივე. სულ ორ-ჯერ იყო მცირედი განსხვავება. ერთხელ კორექტურა გაპარვოდა და „სამსახურის“ დაენერა, მეორედ კიდევ – ცხოვრებაში პირველად, სიტყვის შემდეგ მძიმე დაეს-ვა, ოღონდ არა პირველი, არამედ ბოლო სიტყვის შემდეგ.

6:57, 6:58, 6:59 – წავედი. ზოგჯერ ასე მზაკვრულად ვპარავ ხოლმე ერთ წამს ჩემს მობეზრებულ სამსახურს და ოთახიდან გამარჯვებულის სიამაყით გამოვდივარ.



– ლამაზებს სალამი. აბა, რას დავ-ლევთ? – არმენ ოფიციანტი თეთრ კბილს გვიელვებს.

ნეტაი ამას, რომ ამდენი ღიმილისა და კარგ ხასიათზე ყოფნით არ იღლება. არც ამ უადგილოდ ნახმარი პირველი პირის მრავლობითი რიცხვით ჩემთვის წერვების მოშლით.

– რამე ძვირიანს, სასტიკს და და-უნდობელს, რომ ეგრევე გავთიშოს.

– სიგარეტს ვუკიდებ და ისეთ წაფაზს

ვარტყამ, კვამლის ბინდბუნდში ველარც არმენ ოფიციანტის მარადიულ ღიმილს ვამჩნევ, ველარც მაგიდის ქვემოდან სა-ლის ფეხის ფეხზე მორტყმას ვგრძნობ.

ეს წაფაზი წამეტანი მომივიდა, დამ-წყები მწეველივით სასულები გადამცდა და ისეთი ხველება ამიტყდა, უცებ შო-რიდან რომ შევხედე ჩემს თავს, ხასიათი გამიფუჭდა, იმდენად უშნო და „მიუზი-დავი“ ვიყავი. ისეთი, აი, სერგოსაც რომ ვერ გაიმეტებ მისთვის.

– მორჩა, ხვალ მივდივართ ექიმთან. ძვალი და ტყავი დარჩი. რა გახდა ერ-თი ანალიზის ჩაბარება? – სალიმაც მო-უკიდა, ოღონდ ჩემგან განსხვავებით, კეკლუცად აატრიალა ბოლი პირში და ლამაზად გამოაცურა პომადიან ტუჩებს გარეთ.

– შენ... კიბოს რომელი ანალიზისგან ადგენენ, სალ? სისხლის, შარდის, ცრემ-ლის, დორბლის თუ ის ძან გულისამრე-ვი სიტყვა რომაა, იმით – წაცხი.

– ფუ, რა დებილი ხარ! – სალი მიღ-რენს. – მიხვალ ექიმთან და გაიგებ!

ყოველთვის, როცა ასე მიღრენს, ვგრძნობ, რომ მასზე მეტი გულშემატკი-ვარი არავინ მყავს და გული მიჩუყდება.

არმენს რალაც გაურკვეველი ფერის და სუნის სასმელი მოაქვს და მიუხედა-ვად იმისა, რომ გონებაში აკვიატებუ-ლად ვიმეორებდი „წაცხი, წაცხი...“ – მოვსვი თუ არა, მესიამოვნა.

– შენ... – სალის ვეუბნები. – არ გინ-და? წამო იმ ბიჭს დავადგეთ, ქარბორ-ბალიდან აღმოცენებულს. ბოლო-ბოლო მაგის მამულების დამსახურებაა, შენ რომ ახლა ამ ბარში ზიხარ და ამ ცეც-ხლისფასიან სასმელს მუქთად ცეცხლავ.

– მდაპ... დაქალი ხელიდან მეცლება. – ისე წაძალადევად გაიღიმა, მგო-ნი გულწრფელად წაიეჭვიანა და ამაზეც ავჩუყდისავით.

– ეგა ხართ ქალები. – სალიმ სიგარე-ტი საფერფლის ფსკერზე მიაჭყლიტა და ჭიქა აიღო, მომიჭახუნა. – კუბიკებიან ტორსს დაინახავთ თუ არა, ბავშვობის მეგობარს ჯანდაბაში უშვებთ. მოდი, ამ ჭიქით თქვენ, ეკა-ეკოს და ერეკლე-ეკოს გაგიმარჯოთ. ცოტათი – მეც. მოდი, ჩვენს სასიყვარაულო სამკუთხედს გაუ-

მარჯოს, ვერან!

— ნუ, დეგენერატი ხარ, რა! — ვეუბნები და ისეთი ჩახრინწული ხარხარი ამიტყდა, ამას ისევ ის ხველება ჯობდა. მარადმლიმარმა არმენმაც კი მომუწული ტუჩით და შეკრული წარბით გამომხედა. ვერაფერში ვერ ვივარგე მე საბრალომ.

— ექიმთან თუ წახვალ, მერე იმ ქარის ძესთანაც წაგიყვან, გპირდები. — მითხვა ბოლო ჭიქის დალევის წინ სალიმ და რომ გადაჰკრა, ლუღლულით დაამატა:

— ოღონდ წარმოდგენა არ მაქვს, როგორ უნდა მივაგნო იმ ადგილს.

●

დღითიდლე ვგრძნობ, როგორ ვიფიტები, როგორ ვიქეცი კომპიუტერთან მომუშავე, უემოციო, მნეველ, მსმელ და დაჭმუჭნული ქაღალდების ურნაში მტყორცნ რობოტად. ავიჩემე და სალისთვის მიწერილ ესემესებს ბოლოს ვაწერ: პატივისცემით, რობოტი.

წინა თვეში ახალი თანამშრომელი მოგვივიდა, რობერტი ერქვა და მხოლოდ იმიტომ, რომ რობოტი და რობერტი ერთმანეთს ერთმიერდა, ერთხელ სერგოს მოტანილი წერილი აღარ დავჭმუჭნე. გავშალე, სიტყვა „ეკო“ ჩამოვასიერ და რობერტთან წავიღე, ფურცლებით გამოტენილ ფაილში მრავალმნიშვნელოვნად შეუცურე.

ნუ, „მხოლოდ იმიტომ რომ რობოტი-რობერტი“ ცოტა გაზვიადებულია, ჰო. პლუს სიმპათიურიც იყო, ოხერი.

იმის მერე სერგო აღარ მწერდა და როცა მე და რობერტი იმის მაგიდას ჩავუვლით, არაბუნებრივად სწრაფად იწყებდა კლავიატურაზე კაკუნს.

რობერტთან შეხვედრებით ბევრიც არაფერი შეცვლილა. ჩემს რუტინულ რობოტობას კიდევ ერთი, კვირაში ერთხელ ან ორჯერ შესრულებული წინუკან მოძრაობების რუტინა დაემატა. მეტი არაფერი. ლაპარაკითაც თითქმის არ ვლაპარაკობდით.

ერთხელ მთელი კვირით გადამიცდა და მეთქი ორსულად ვარ. რომ წარმოვიდგინე, ახალ ადამიანს გავაჩენდი, ვიგრძენი, რომ ჯერ კიდევ შემიძლია სიხარული. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ არა

მხოლოდ ახლა არ ვარ ფეხმძიმედ, ვერც ვერასდროს ვიქნები.

სალის მივწერე: „მომილოცე, უავენამდვილი რობოტი ვარ, სალი. ჩემგან სიცოცხლის გაგრძელება წარმოუდგენელი ამბავია. რამე დამუანგავი სამუალება ხომ არ ჩამექცია სტომაქში?“

ამასობაში რობერტი სხვაგან გადავიდა სამუშაოდ, ისე, რომ გამოსამშვიდობებელი სიტყვაც არ უთქვამს. ჩემს ოთახში შევედი და სერგოს წერილი დამხვდა: „აქედან გადავიდა სათაო ოფისში. მეც უკვე სხვას ვხვდები“. მეორე დღეს სალიმ მორიგ გამოკვლევაზე წამიყვანა და ისევ მორჩილად რომ წავყევი და მთელი გზა ხმა არ ამომილია, მანქანიდან გადმოსული ისევ მანქანაში ჩამდო და ერეკლე ქარბორბალასთან წამილო სიცოცხლისკენ მოსაბრუნებლად.

მაშინ აღმოვაჩინე და ახლა უკვე ვიცი, რომ რაღაც საიდუმლო სათავსო მქონია შიგნით. ალბათ, ყველა ადამიანს აქვს და რაკი არ იციან, ვერც იყენებენ. ამ სათავსოს კარი ჩემი ამ ქოხში ჩამოსვლისას იღება და მე შემიძლია ჩემი დარდი, უიღბლობა და სასონარკვეთა ამ ოთახის ზღურბლთან ფთილა-ფთილა ჩამოვიცილო, ჩამოვიბერტყო და შემოვიდე შიგნით სუფთა, მჩატე და მგრძნობიარე. ეს ერთი ბიჭი, ერთი წისქვილი და ერთოთახიანი თავმესაფარი სხვა პლანეტა. ქალაქის ჭუჭყი აქამდე ვერ აღწევს.

სალის გარეშე პირველად რომ ჩამოვედი, არ დამხვდა. დავეგდე ამ ჩემი მუცელივით ბერნ მიწაზე და თვალდახუჭულმა ვიგრძენი, როგორ მოიყოლა ქარბორბალამ ჩემი ბიჭი და ჩემ გვერდით ფეხმორთხმით დასვა. თვითონ კიდევ, უკვე უამბიჭოდ დაიწყო სირბილი წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ, ციდან მიწისკენ და მიწიდან ცისკენ.

— ეარი მიყვარს. — თქვა და თვალები გავახილე. — ამ წისქვილს ეგ ამუშავებს. მიყვარს აქ ყოფნა.

მივხვდი, რომ ჩემგანაც რაღაც ამდაგვარის მოსმენას ელიდა და მე კიდევ აქ რაღაც მემართება, სულელური ფრაზები მეთქმევინება.

— ჰო. ძაან კადრია ეს ყველაფერი! —

უარესი დებილობის თქმას, ალბათ, ვე-
რავინ მოახერხებდა.

- იმათაც მოქნონათ, ხომ?
- ვის „იმათ“? სალის?
- არა, იმათ.

დიდი მიხვედრილობით ისედაც არ
გამოვირჩევი და ამ ქარს კიდევ სულ
მიაქვს ყველაფერი. მეხსიერებაც, მიხ-
ვედრილობაც. ვინ იმათ? ვინ ჩემფეხებ
იმათ?.. ა, შიურის?

●
– პასუხები როდის იქნებაო? – სალი
მეკითხება და პირში ბოლს კეკლუცად
ატრიალებს.

– ექიმთან ამ ერთხელაც იმიტომ მი-
ვედი, რომ შემეშვა და ჯანმრთელობის
თემაზე კრინტი აღარ დაძრა.

ველოდები, რომ შემომილრენს და წი-
ნასწარ გული მიჩუყდება, მაგრამ არა.
სალი არმენს ულიმის და არმენიც, უნე-
ბურად, ჩემთვის მოტანილ ჭიქასაც სა-
ლის წინ დებს. რატომდაც ყელში ცრემ-
ლი მადგება და ვფიქრობ, აპა, უკვე რო-
ბოტადაც აღარ ვვარგივარ. ატირებული
რობოტი სად გაგონილა. ხფოთუ.

●
ფილტვები რომ ბოლომდე მევსება
ნიკოტინით, თვალები რომ მინითლდე-
ბა მონიტორის ყურებისგან, თავი რომ
მისკდება ფიქრისგან, ხმა რომ მეღლება
უფროსთან ძალით დათაფლული საუბ-
რისგან – ქალაქიდან წისქვილის ბიჭის-
კენ გავრბივარ.

– ღმერთმა ყველაფერი მისცა ადამი-
ანს, ბუნებაში ყველა რესურსი არსებობს
ბუნებრივად. უბრალოდ უნდა აიღო და
გამოიყენო. აი, თუნდაც ეს წისქვილი.
ქარი ამუშავებს. სრულიად უფასო და
ეკოლოგიურად სუფთა ქარი, გეშმის?

მინაზე გვერდიგვერდ ვწევართ. მე
მას ვუყურებ, ის წისქვილს ზემოთ ცნო-
ბისმოყვარეობისგან აბრიალებულ მზეს
უჭუტავს თვალს. ხელს ნელ-ნელა ვა-
ჩიჩიქ და ჩემი ნეკით იმის ნეკს ოდნავ
ვეხები.

– უამრავი საშუალება არსებობს,
ადამიანმა ისე მოაწყოს თავისი ცხოვ-
რება, არც ჰაერი დააბინძუროს და არც
ფული გააყოლოს წყალს.

მინდა ხელი ხელზე დავადო და ვერა.
ვაიმე, ხალხო! ამხელა ქალი ვარ და ხე-
ლის ხელზე დადებაზე ვამბობ, რომ ვე-
რა. გადარჩენილი ვარ, ამ ჩემს საცოდა-
ობას სალი რომ ვერ ხედავს.

– ტრანსორტი ავილოთ. ეს გამონა-
ბოლქვი ხომ შხამია. ამდენი თრსული
სუნთქვას, ამდენი ბავშვი...

ეს „ორსული“ და „ბავშვი“ ცოტათი
მიფუჭებს განწყობას, მაგრამ არ ვნებ-
დები. გვერდით მიდგმულ ნეკა თითს
ფრთხილად ვწევ და იმის ნეკაზე ვდებ.
„არათითი, შუა თითი, საჩვენებელი...“
გულში ვთვლი და აპა, უკვე ოთხი თითი
მიდევს იმის დიდ ტორზე. ცერი დამრჩა
ჰაერში დაძაბულად აშვერილი.

ვაიმე, სალი, დაო, ნეტაი მხედავდე
და გებრალებოდე.

– აბა, ძველად, ურმების და ცხენების
დროს ამდენი დაავადება იყო? – ეს თა-
ვისას მიერკება.

„დაავადების“ ხსენებაზე ჩემი ბოლო
დროს საეჭვოდ, თავქუდმოგლეჯით გაქ-
ცეული კილოგრამები გამახსენდა, მაგ-
რამ უცებვე დავივიწყე, რომ ხასიათი არ
მომხსამვოდა. დავუშვი როგორდაც ეს
ცერიც იმის ხელზე და ისე ვარ – წუთში
რეკორდული რაოდენობის დარტყმაზე
ავიდა გული ჩემი მგრძნობიარე.

– ხო არ იყო?

ეს უკვე რიტორიკულ შეკითხვას არ
ჰავას და მეც მორჩილად ვპასუხობ:

– არა, სად იყო?!

უკანა გზაზე ვერ მოვითმინე და სა-
ლის ესემესი მივწერე:

„მგონი ცოტა მოდებილოა.“

სანამ ჩემი მიწერილი ორჯერ გადა-
ვიკითხე, პასუხიც მოვიდა: „მგონი ცო-
ტა იმპოტენტიც. ჰაჲა. სექსი კი არა, ეგ
მგონი არც აკუებს, რო ჰაერი არ წაბილ-
ნოს და გარემო არ დააბინძუროს. ჰაჲა.“

„ჰაჲა“ – მივწერე გულდამძინებულ-
მა და ვინანე, რომ საერთოდ მივწერე.

●

დღეს ისეთი დღეა, თითქოს ნამდვი-
ლი არაა, უბრალოდ, გაფიქრებულია, ან
– შეთხული, ან რა ვიცი... სალის შეგ-
ნებულად არ მივწერე არაფერი, ტელე-
ფონი გამოვრთე და წისქვილისკენ გზას

დავადექი. ფურცელი აქეთ ჯიბეში ჩავი-დე, თითქოს მობილურთან კონტაქტის შემთხვევაში მიეცემა ძალა და ასე ცალკე ჯიბეში გამოკეტილი არაფერს ნიშნავს.

გზაში ძალიან ვცდილობდი, არაფერ-ზე მეფიქრა და რომ ჩამოვედი, ისეთ რა-ლაცებზე დავიწყე ფიქრი, აქამდე არას-დროს რომ მომსვლია აზრად. მაგალი-თად, პირველად დავფიქრდი იმაზე, რომ მე ამ წისევილში დაფქული ხორბალი არასდროს მინახავს.

ქოხში შევედი უფერული, თვალე-ბამოლამებული და ზის ფანჯარასთან, რაღაც საქმეში გართული. შევედი და მოტრიალდა, მიყურებს უცნაურად ან-თებული თვალებით. ხომ ნამდვილად რეალურია ეს ბიჭი, ეს ამბავი, ღმერთო? თუ ნამდვილია, ჯადოსნურიც ხომა და იქნებ ყველაფერი სხვანაირად მოხდეს.

მოვიდა, მომეხვია, შენი ფერი არ მომწონსო, თაგზე ხელი გადამისვა და მერე ისევ დაჯდა, ჯამში ჩაყრილი ჭიანი ვაშლების თლა განაგრძო.

– ჩემი ეზოსებია. ნიტრატებიანი კი არაა. ქალაქში რომ პლასტმასის ხილს ჭამენ, იმიტომაა იმდენი ავადმყოფობა. ესენი ჩემი ეზოსებია.

სად აქვს ეზო, არ ვიცი. აქ მარტო ქა-რია. იმ ეზოზე ვფიქრობ, ვაშლის ხეზე, ხეზე მცოცავ ჭიანჭველებზე – ყველა-ფერზე, რომ ფიქრი სხაგან არ გამექცეს. იქით არ გამექცეს, რისიც მეშინია.

– დარჩები ამაღამ? – უცებ მეკით-ხება, თან ვაშლის ჯამს თვალს არ აცი-ლებს.

ნერწყვი გადამცდა და ამიტყდა ისევ ხრინნი და დოზანა.

– კი. – ვანიშნე და მიღიმის.

ღმერთო, ხომ ხარ, სადაც ხარ და აპა, გადმოგვხედე. რა გულმა უნდა გა-გიძლოს?

– ჯერ მხოლოდ სანთელი და ვარ-სკვლავები გვაქვს, ღამის განათებად – გათლილ ვაშლს მაწვდის. – მაგრამ მზის ჰელიო პანელით რომ გადავხურავ, მერე შუქიც გვექნება, დენიც. ერთი ჩვეულებ-რივი ზომის სახლის გადახურვა რომ ავი-ლოთ, მაგალითად. ორმოცდაათი დღის განმავლობაში სადღაც 1100 კილოვატს

გამოიმუშავებს. წარმოგიდგენია?

კილოვატების წარმოდგენა ჩემს ძა-ლებს აღემატება, მაგრამ თავს ვუქნევ. თან ვფიქრობ ასე ბავშვურობამდე გულ-წრფელი ბიჭი რანაირად მიყვარს? მე სულ თავზე ხელალებულებისკენ გამირ-ბოდა თვალი და სურვილი, მაგრამ ეს რაღაცნაირია, სუფთა, საღი, ნამდვილი. თითქოს ისეთია, მე რომ ვიყავი სოფ-ლიდან ქალაქში გადმობარგებამდე. თან რაღაც ისეთიც აქვს, რაღაც ნიშანი, რო-მელიც წინა ცხოვრებიდან მეცნობა და მეახლობლება.

– ამ წისევილსაც მალე ავამუშავებ. ჩემს სოფელში მდინარეზეც ჩაგიყვან. – მეუბნება. – შენ სოფელი უნდა შეგაყ-ვარო.

ვერ ვეუბნები, რომ სოფელი მიყვარ-და და შევიძულე, რომ ქალაქმა სიყვა-რულის უნარი გამომაცალა. მეტირება და ძალით ვახველებ, ვიმიზეზებ, გარეთ გამოვდივარ.

მობილურის ამოსალებად ჯიბეში ხელს ვყოფ და ფურცელია. შემინებუ-ლი ვუშვებ თითებს. მერე მეორე ხელით, მეორე ჯიბიდან მობილურს ვიღებ და ვრთავ. საღის უამრავი მესიჯი მომდის. არცერთს არ ვკითხულობ და არ ვიცი რატომ, ამას ვწერ:

„აქ ვარ, მოხდა მოსახდენი.“

„აბა, ანი ეგ გააკუებს კიდეც. ჰაჰა.“

„ჰაჰა.“ – ვწერ და ვნანობ, რომ სა-ერთოდ მივწერ.“

წისევილს ვუყურებ, გარშემო ვი-ყურები და თავს უცნაურად ვგრძნობ. თითქოს ჩემს გადალებულ იმ გამარ-ჯვებულ კადრში ვდგავარ რაღაც დიდ-თან, დიადთან დამარცხებული. წარმო-ვიდეინე, რომ თითის ცერებზე ავინიე, ზემოდან ვიღებ ამ კადრს, ოღონდ ჩემი თავი კი არ დგას, გულალმა წევს და შე-მაურეოლა.

ღმერთო, მისმენ? ახლა მე ამ ქოხში შევალ და მე ხომ ვიცი, შენ ყველაფერი შეგიძლია.

ქალალდა ჯიბიდან ვიღებ, ქარი მარ-თმევს და ზემოთ-ზემოთ ისე მსუბუქად მიაფარფატებს, თითქოს ამსიმდიმე დი-აგნოზი არაფერს ნიშნავდეს.



მიხო მოსულიშვილი

ზეცას 30923, ზეცა 36160...

(მკვდრის მოთხოვბა)

1.

— ადე, ბიჭო, ლევანო, ადექი მეთქი. აი, წითელი კვერცხები გაგვიგორეს საფლავებზე. ჰო, ჰო, აღდგომა დღე გათენდა და მაგისი მადლითა. ესა, აქ რო მოხუცი გვიდგას, ეს არი ამ ლვთისმშობლის მონასტრის წინამძღვარი დედა კვირილა. ესენი კიდევა, წითელი კვერცხები რომ დაგვიგორესა და საფლავებს გვიწმენდენ, ანგელოზები ჯერ ვერა, აქაური მორჩილები არიან: ფილოთეა, სოფია, თასია და ევანთია...

რა უნდა გითხრა და, რა ვიცი... რაც წამომაგონდება, ცოტ-ცოტაობით მოგიყვები, გრძლად რო არ გამოვიდეს მერე. დიდი ხანია არ მინახიარ, თორემა მე ლაპარაკის ხამი კი არა ვარ.

აი, კავკასიონის მთაგრეხილის დაბლა, ორი ქედი რომ წამოვა აქეთ-იქიდანა და შუაში ერთდება, ჩადაბლებულში, მანდ მოდის ლიახვი.

ეგ მწვანე ტყე არი სარჩული დედამინისა, მაგ გორებს რომ ჩამოსდევს აქეთა და აქეთ. მერე ხო ეს ვრცელი სერია, აქა-იქა ბუჩქებით და ისე კი სულ მწვანე მინდვრიანი, ძაან საძოვრიანი და ყვავილიანი. ჩამოდის ეგაცა ლიახვამდისა.

აქეთ კიდევ, ხანის მთის ტყიან ფერ-დობზე ხო ეს ჩვენი წმინდა ლვთის-

შობლის დედათა მონასტერია, თავისი მწვანე ეზოთი, შენი და ჩემი საფლავის ქვებით გალავანთანა, მუხების ძირში... მინდოდა დედაშენის გადმოსვენაბაი და არა მეთქი, იწვეს იქ, ჩვენი ეზოს კაკლის ძირში და ერთხელაც ხო მივალთ იქა...

აქვე ჩამოუდის ეს პატარა და ჩქარი მდინარე ხანისხევი. აგე, დაეშვება ხანისმთის კალთებიდანა, რომ აქ ჩამოგვირბინოს მხიარული რაკრაკითა და მერე ლიახვს მიუტანოს ჩვენი ამბავი ქვემოთა, როცა შეუერთდება...

საით იყურები, ბალლო? შორიდან იცი ეს ალაგები, ახლოდან ხო ეხლა ხედავ...

ვაი, მაგათი სახსენებლი გაწყდა მაგათი...

მოხირდებიან იმ თავიანთი ჯაყჯაყა მანქანებითა, ცხრა-ათი სამხედრო. ჯერ ძველ საზღვარს მოშლიან, დააძრობენ რკინის სარეპსა. წამოვლენ, წამოვლენ მერე და აქეთ ჩაარჭობენ, გაუჭიმავენ მავთულხლართებსა და დაამაგრებენ რკინის აბრასა, საზღვარი აქ არიო და ახლოს არ გაეკაროთაო.

ატოცში, ხურვალეთში, ზემო ნიქოზში და რა ვიცი, სად აღარ მოაჩოჩებენ ეგრე. მერე იქით ვისაც მოატანენ, იტაცებენ და ითხოვენ გამოსასყიდსა. ჩვენი

სოფლის ნახირი რომ დაუდის, ხო იცი „უჩხებარი“, ადრე საქონლიანად გაიტაცეს ეგა და მერე ძლიერს ფული შეუგროვებიათ, ეგრე გამოუხსნიათ ძლიერსა.

მოტრილდება წელიწადი და გადმოს-წევენ კიდე მავთულხლართებსა. კიდე და კიდე, მოდიან და მოდიან, სულ აქე-თა და აქეთა.

იმათ მხარეს მოჰყვა სოფელ გუგუ-ტიანთკარის რამდენიმე კომლი. ეგრევე გაიყო ზარდიანთკარი, ღოღეთი, დვანი, დიცი, ციცაგიანთკარი, აძვი, ქვეში. მე-რე ახლა ჯარიაშენი თითქმის მთლიანად მაგათი მავთულხლართებით შემოილობა და საზღვრის იქით მოხვდა ისიცა...

ოცდათხუთმეტი ჰექტარი აქვთ წალე-ბული ესე, თორმეტი ათასი ფეხბურთის სტადიონის ტოლა მინებიაო, ამბობენ.

აი, ვინა ხარ, შე ქვითსაქცევო, წუნ-კალო მამაძალლო, ვინა?!

უნაცილო წაცილი ხარ, უსაკლისა და უჭერ-მაჭერა, წადი და ეგდე იმ შენ სტეპებში, რა გინდა აქა, აქ რა დაგკარ-გვია, შენი რა არი?

მილებ, რასაც ეძებ...

ერთხელაც იქნება, გიკრიფავ ყვე-ლაფერსა და სოსიპატრე მარიამიძე არ ვიყო, მეფუტკრე ფილიმონას ბიჭი, თუ სულ წმინდათ არ მოგამკევინო, რაც ჩემთვინ დაგითესია...

2.

ეს მაღალი ადგილია და აგე, გახედე, როგორ სჩანს აქედანა. აი, ამ ლიახვის აყოლებაზე ჯერ ხო ქვემო ხვითია, მე-რე ზემო ნიქოზი, ცხინვალი და ცხინ-ვალზეით კიდევ ჯერ ფრისი და მერეა თამარაშენი. იყო, უფრო სწორედ. სად-ლაა ეხლა. ან ეგ, ან კეხვი, ან ავნევი, ან ნული...

აჩაბეთიდან თამარაშენამდე სულ ცეც-ხლში იყი გახვეული ყველა სოფელი...

შინ ვიყავი და უცაბედად იფეთქა. დედაშენი ეზოში ტრიალებდა, ქათმებს აჭმევდა და გავვარდი გარეთ მაშინათვე. ურემთან ეგდო. მუცლიდან ნაწლავები ჰქონდა გადმოყრილი, ორივე ხელის თი-თები კიდევ – მოგლევილი. მკლავებზე სულ ჭრილობები და მარცხენა მკლავი

ცოტაოდენი ხორცითლა ეკიდა, თითქმის რა, თითქმის სუ მოწყვეტილი ჰქონდა.

აი, ამ ხელებში დალია სული...

ჩემს თავსღა ვჩიოდი?

მუხლებზე რომ ვცადე დაჩოქება მო-მაკვდავ დედაშენთანა, მეტკინა ძალიან, ვეღარ მოვხარე ფეხი. მარცხენა ბარძაყ-ში მქონდა მოხვედრილი ჭურვის ნამ-სხვრევი, მარცხენა მკლავშიც და მარ-ჯვენა ფეხის ოთხი თითიც მოგლევილი. გადავიხვივე ეს ჭრილობები და სახლი კი-დე იწვოდა ისე, რომ ვეღარაფერს ვუშ-ველიდო.

გაჭირვებით გავუთხარე საფლავი, დროებით იყოს მეთქი აქა, სანამ მოვალ და გადავასვენება...

მოვდივარ და ინვის მთელი სოფელი. ბურბურებს სულა. დაგვტრიალებენ მა-გათი თვითმფრინვები მალლიდანა და გვბომბავენ ისევა.

ბედად იმან გამოიარა, ვარიანელი „სწორე“ როა, ტაქსაობდა ხოლმე ეგა და, – დაჯექიო, ეხლა ხალხს ვეხმარები უფასოდ, რომ აქედან გაგიყვანოთო.

ორნი ესხდნენ მანქანაში, ასაკიანი ქალები და ჩამისვა მეცა, ვარიანამდე წაგიყვანო.

და – ტრა-ტა-ტა-ტა, ტრა-ტა-ტა-ტა... – რომ დაიწყო თედონმინდის ალ-მართზე, მტრისას... გალმიდან, გზის-პირა იფნებიდან ისროდნენ. „სწორემა“ სცადა, მარცხენა მხარეს შეეტრიალები-ნა თავისი „ოპელი“, მაგრამ ისიც უკვე დაჭრილი იყო მხარში, ძალა ალარ ეყო და კლდეს შეეჯახა. ერთი ტყვია გუ-ლის მხარეს მოხვდა, მეორე კიდევ ჯერ მარჯვენა მხარში ეცა, დატრიალდა და სახის მარჯვენა მხარე გადაუსისხლა სულა. არის ეგეთი ძვლებში ბზრიალა ტყვიებიც, თურმე... ის კი მოვასწრი, რომ აქეთ კარები გამოვგლიჯე ფეხის რტყმევითა და როგორც კი გადმოვ-ფოფხდი მინაზე, მანქანას „მუხა“ ეს-როლეს, წინა კარებს მოხვდა, მარჯვენი-ვა. აფეთქებამ ჰაერში ააგდო მანქანა და ეს „სწორე“, უკვე მკვდარი, მიასკდა კლდესა.

მე კიდევა ისევ ჭურვის ნამსხვრევები მომხვდა სახეში, მარცხენა ხელშიც და აფეთქების ტალღამა მთელი ძალით და-

მაფერთხა გზაზე...

სროლები რომ შეწყდა, ძლივსლა წა-
მოვნიე თავი, ბუნდად ეხედავდი ძალი-
ანა.

სამხედროები დავინახე, იმ თავისი
დაფოთლილი ფორმებითა და ავტომა-
ტებითა.

მანქანას კიდევა სულ გადაცხრილუ-
ლი იყო და იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ვაგდივარ ეგრე გზაზე, ვაგდივარ და
სად რა მტკიცა, რომ ველარ ვიგებ...

მოვიდა ამ დროს ერთი იმათი სამ-
ხედრო, იმასაც ის გაფოთლილი ფორმა
აცვია, მაგრამ ტყავის ქამარზე მხარილ-
ლივ თასმა აქვს გადაჭერილი, პორტუ-
პეი რა. ხელებში ხო ავტომატი უქირავს
და მაკაროვის პისტოლეტიცა ჰკიდია ქა-
მარზე.

იქნებოდა ეგრე შენი ტოლი, არა,
შენზე დიდი. რახან საყელოზე ერთი
დიდი ვარსკვლავი დავუნახე, ესე იგი,
მაიორია. იყურება, როგორც იმ ჩვენ-
მა მეზობელმა „გუდასისხლამ“ იცოდა
ხოლმე მთვრალმა, აგდებულად და სულ
ფეხებზე რომ კიდიხარ. ხო იცი „გუდა-
სისხლა“, კაცისკვლა იმას არ ეზარქო-
და და ვირის აბანოების ხეხვაი კიდევა.

ისევ ავწიე თავი, ვუყურებ ჭროლა
თვალებში. ჯერ ავტომატი მომიშვირა.
მერე გადაიფიქრა, შეტრიალდა და სა-
იდანაც ისროდნენ, იქით გასძახა დაბე-
ჟილი და უუმური ხმითა, – ცოცხალი
ვიპოვეო, – და გავიდა იქით. უკან დაბ-
რუნდა სამ ჯარისკაცან ერთად, სიგა-
რეტს ეწეოდა წკიპითა და გაიყურებოდა
სულ სხვაგანა. ბოლოსა მკითხა, – ცოც-
ვა შეგიძლიანო?

წავალ როგორმე, ოლონდ არ მესრო-
ლოთ მეტქი.

აბა, მიდი, დროზე, სანამ გადამიფიქ-
რებიაო.

ამ ჯანსალი ხელით დავეყრდენი მან-
ქანასა და წამოვინიე წვალებით, წამოვი-
ნიე და წამოვდექი როგორც იქნა. მაინ-
ტერესებს, ის ქალები რა დღეში არიან.
შევიხედე შიგნითა. ორივე სულ სისხლში
ცურავენ. არც სუნთქვა ისმის მაგათი,
არც კვნესა.

შიშმა ამიტანა. შემოვტრიალდი და
რომ მოვდიოდი, იმისმა ჯარისკაცებ-

მა, სულ კოთხუნჯებმა, ღრეცელბმა და
ლრეჭლებმა, მობრეცილი ლაშებითა და
მჭეოტაკა ხმებითა, მაგ ვირთამამებმა ეს
დამადევნეს, – მადლობელი იყავი ტავა-
რიშჩ მაიორ გლებ უსმანოვისაო, თორე-
მა ვერც შენ გადგვირჩებოდიო...

რა ვიცი, აბა, ეგრე კი მითხრეს, მაგ-
რამა შიგნი შიგან რა ჰქონდათ აზრადა,
რას აპირებდნენ, განა ვიცოდი?..

უსასოობისგან გავხედე მალლა შავ
ლრუბლებში გახლართულ ჩრდილის
მზესა და არა, სულაც არ მიყურებდა
ავადა...

ყოყმანა და ნაყე-ნუყე ვინმე ეგება
კაი ხანს ვერც დაძრულიყო იქიდანა, არ
მესროლონო. ამისი შემთხვევებიც ხომ
ბლომად იყო, ვითომ გაუშვესა და ზურ-
გში მოაყოლეს კალაშნიკოვის ჯერები
ბევრსა.

მაინც წამოვედი, მაინცა, რომ ერთი
ამათიც და, ბოლობოლო, ოთხი ფიცარი
სადღა გამექცევა მეთქი... როგორ მივე-
დი ჩვენებამდე, აღარ მახსოვს, მაგრამა
აი, ის მაიორი გლებ უსმანოვი, ეგ ვე-
ძაკაცი, ეგ, ეგ მაკვირია და სისხლისგუ-
და აღარ დამვიწყებია არც როდისა.

3.

გზაზე უუპოვივარ ჩვენებსა, გონდა-
კარგული და რაკი კიდევა ვსუნთქავდი,
ჩავუსვივარ სასწრაფოს მანქანაში და
გორში ჩავუყვანივარ.

ეს მარცხენა ხელიც გორის ჰოსპი-
ტალში მომკვეთეს, განგრენა იყო დაწ-
ყებული. დანარჩენისა რა გითხრა, არა
მიშავდა, მიმკურნალეს...

ბოლოს კი დავრჩი ეგრე, მარჯვენა
ფეხითა ვკოჭლობ და მარცხენა ხელი
აღარა მაქეს მხრამდე ლამისა.

ერთი დღეც არი, გამოვედი ჰოსპი-
ტალიდან და ვერცი ჩემთვის. ვფიქრობ,
ვფიქრობ, ვერ გამიშვია დარდი, უკვე
სულ გამოთხოვებული ვარ სიცოცხლესა
და მგონია, რომ აღარც რო ცოცხალი
ვარ საერთოდა.

შენ აღარ, ცოლი აღარ, სახლი აღარ...
მეც აღარ...

ამ დროს მოვიდნენ შავებში ჩაცმუ-
ლი მონაზვნები. ქალებს კი არა, რომე-
ლი როგორა და, აი, სულ ანგელოზებსა

ჰეგავდნენ. არყი იყვნენ ჯერა, მაგრამა აღარაც რო არაფერი უკლდათ თითქოსა.

აბა, მაშინ რა ვიცოდი და, დიდი ჯვარი რომ ჰქონდა მკერდზე, ის გადამნლეულ-გალეული მოხუცი ამ ღვთისმშობლის მონასტრის წინამძლოლი იყო, დედა კვირილა. თეთრი თმა მოუჩანდა სამონაზვნო თავსაფარის ქვეშა და სათნო, სათნოდ სანახავი იყო ძალიანა. ჯერ არ ვიცოდი და, ფეხასაცმელს არ იცმევდა, ფრატუნებით დადიოდა თურმე სულა, ზამთარ-ზაფხულსა. ეს გარჯილა მორჩილები ახლდნენ კიდევა, მეტ-ნაკლებად ახალგაზრდები უფრო: დედა ევთანია, დედა ფილოთეა, დედა თაისია და დედა სოფია.

ჰოსპიტალში ჩემი ქირურგი რომ იყო, ძალიან სახელიანი და დიდი კაცია ისა, პროფესორი მაისურაძეი, ბატონი მიშა, იმას ეთხოვნა, – წაიყვანეთ მონასტერში, რამე ცოდვა არ მოიწოდო...

ის დღე იყო და ის დღე, რომ ღმერთთან ახლოს მეც ვიგრძენი თავი. რამდენი წელი გავიდა მაგ ომიდანა, თორმეტი თუ უფრო მეტი უკვე და სულ ეგრე ვარ. განა აღარ ვდარდობდი, მაგრამ ნელ-ნელა იმასაც მივჩვდი, რომ რაც ხდება, ის უფლის ნებითაა და არა ჩვენითა. ამქვეყნიური გამოცდა ეგენი სულა და როგორც შეგამთხვევს, ისე გადაგატანინებს. ეს ამ დროებით სოფელში და იქა, იმ მარადიულ სოფელში კიდევ, ზეცისა როა, ადგილსაც გინყალობებს, თუ სწორად იცხოვრებ მანამდე.

ჰოდა, მეცა ვცდილობდი. მონასტერში მე ვიყავი დარაჯადაც, მებაღედაც, მეფუტკერედაც, ამ მორჩილების გალობის მსმენელადაც; ჩვენი წინამძღვარის, დედა კვირილას ძაან დამჯერადაც. ამათ კიდე ეს თავიანთი მორჩილებები განაილებული აქვთ. დედა ევთანია სულ ლოცვით ხატავს ხატებსა, ისე არ დაიხატებაო. დედა ფილოთეა მორჩილად აკეთებს სანთლებსა, თუ მორჩილი არა ხარ, არც თავმდაბალი იქნები და თავმდაბლობის გარეშე კიდევ უფლის სიყვარული არ იქნებაო. დედა თაისია მგალობელია, ამათაც ასწავლის და კვირაობით რომ ბალლები მოდიან გაღმა სოფლის სკოლიდანა, იმათაც. დედა სო-

ფია კიდევ სახარებასა სწერამს კალამ-მელნითა და ისეთი ასოებითა, სულ უფლის ჩიტები გეონება.

ჩვენი წინაძღვარი დედა კვირილა გვასწავლის მორჩილებასა, რასაც კი ვაკეთებთ, უნდა იყვესო სადიდებლად ღვთისა და საცხონებლად სულისაო. ვაზსაო რომ სარი არა ჰქონდეს შეყენ-ბული, ხომ წაიქცეოდა და გაფუჭდებოდაო. ესევე ერიც, ბერ-მონაზვნობა რომ არა ჰყავდეს მშველელადა, წახდებოდა და გადაშენდებოდაო.

ვართ ესე, ლოცვაში და გარჯაში. ტრაპეზზე ვკითხულობთ სახარებასა, წმინდა მამების ცხოვრებასა, განმარტებებსა. ამ მონასტერსა თავისი განაწესი აქვს, ცისკრის ლოცვა შვიდ საათზე იწყება, საღამოს ლოცვა რვაზედა. შუალედმი კიდევ პარაკლისია ხოლმე წმინდა ღვთისმშობელ მარიამის სახელზედა.

ხატნერის ოთახია, გადამწერისა, სატრაპეზო, სამლოცველო... იქით ბოსტანი, სკებია კიდევა და რა ვიცი... აბა, მაში, როგორ? მეფუტკერე ფილიმონას ბიჭი არ მოუვლიდა ფუტკარსა? ვუმატებდი და ვუმატებდი სკებსა. სატრაპეზოდ ბალჩეულიც მომყავდა ისე, რომ ცალი ხელითა ვპარავდი და ცალი ხელითვე ვთხონიდო. აგე აყვირებული სიმინდია უკვე და ჩემი მოყვანილიც მასეთი იყო ხოლმე.

არც მორჩილებს ეზარებოდათ შრომა და კარგად მოვლილი მონასტერი გვქონდა უფლის მაღლითა და სიყვარულით, გვქონდა, გვაქვს და სულ გვექნება კიდევაცა.

ახლა როგორი გალობა იციან ამ მორჩილებმა, სულ განაბულები ვუსმენთ ხოლმე მე და დედა კვირილაი.

ღმერთო, შენითა და არა ჩვენითაო... – აი, ეგრეა აქა და ისედაც, ყველაგანა...

4.

მარიამობას იციან ხოლმე აქ ამოსვლა და ერთხელაც ჩემი სამხედროები იყვნენ, სულ ტალიკ-ტალიკი ბიჭები, ვენაცვალე, მაგათ ამომასვენებინეს შენი თავი და დამამარხინეს აქა... მაშინ ერთი ვიდეო მაჩვენეს მაგათა. ჰო, ეხლა როტელეფონებია, ეგეთითა...

ვუყურებ, ვუყურებ და ვაჰმე, როგორ ცუდათა ვარ ამისი მნახველი...

დატყვევებულ ქართველ ჯარისკაც-სა ანამენებ ოსი „ბოევიკები“ და რუსი ოკუპანტები. შვიდი-რვა სამხედროა. ორი კაცია რუსული საველე ფორმებით და ეს ოსი „ბოევიკები“ კიდევ, რაც ხელ-ში მოხვდათ, იმ ფორმებით არიან. ერ-თი ჯინსის შარვლითაც არის. მიმწყვდე-ულია ეს სასწალი ტყვე ღობესთანა და სულ ფეხებით ურტყამენ. მერე გამოათ-რევენ მოშორებით...

ღია ნაცრისფერი, უდაბნოსთან შეხა-მებული ამერიკული ლაქებიანი ფორმა და ღია ფერის მალალყელიანი ფეხასმე-ლები აცვია ტყვესა, მინაზე ზის. სამ-ხედრო ხალათი ნახევრად გაუხდიათ, მხრები და წელი მოუჩანს. სახე ბევრი ცემისგან სულ გაშავებია და პირიდან სისხლი სდის. ძნელია ამისი ცნობაი, ძნელი...

„შენი პრეზიდენტი ვინ არი? ბოზი არი. ჰა? არ არი?.. არი, არი, არი!.. იკო-ცე. იკოცე. იკოცე ეხლა. იკოცე. იკოცე მიწა. შენი დედა შენი. იკოცე, შენი გამ-ზრდელი შენი!“ – დალბობილი და უგე-მური ქართულით დასძახის ვილაცაი და არ შემეშლება ეს ლაპარაკი, ოსები ლა-პარაკობენ ეგეთ ქართულს აქა.

ზურგზე შეადგება შავი ბათინკებით ვილაცა, კადრში სახე არ უჩანს. აინე-ვა და დაინევა, მთელი ძალით აწვება, ხერხემალს მიწამდე ახრევინებს, რომ მიწისთვის აკოცნინოს. ეს ტყვე კიდევა წამოწევასა ცდილობს და ამ ქანაობაში გადმოაგდებს მტანჯველსა.

ლაპარაკობენ ოსურადაც და შიგადა-შიგ რუსულადაც.

მარჯვნიდან რუსული „ბათინკით“ ტყვეს ისევ კისერზე აწვება ვილაცა, რომ მიწას აკოცნინოს. დაახრევინებს თავს, მაგრამ ეს ურჩი თავი მიინევს, მოინევს და სწორდება ისევა, მტარვა-ლის ფეხს გადაიგდებს კისრიდანა. ახლა მარცხნიდან ცდილობს სხვა იმავეს. ახ-ლა სხვა და ყოველთვის სწორდება ნაწა-მები სამხედრო. ქვის ნატეხია, ვინ არი, ვერა ვცნობ. არ უჩანს კარგად ის გაშა-ვებული და გასისხლული სახეო.

ისმის ოსური ლაპარაკი. რუსული

ბრძანებები ერევა და ისევ მოფამფალე-ბული ქართულით ეკითხება ვიღაცა:

„გუშინ რა ადგილას იყავი, ლევან?“

„არ ვიცი... აზრზე არა ვარ...“ – ამო-ილუდლულებს ტყვე და...

მე ეს ხმა არ შემეშლება, არა... შენ იყავი, ლევანო, შვილო...

„როდის იქნები აზრზე ეხლა?“ – ისევ ოსური ქართულით გეკითხება ვიღაცა მტარვალი.

პლასტმასის ბოთლიდან თავზე და კისერზე გასხამენ წყალსა. ჩამოგდის წყალი სახეზე, ცხვირზე, პირზე და სულ სისხლიანი აღწევს მიწამდინა.

„ლევან, გუშინ სად იყავი, გუშინ?“ – ისევ გიმეორებს ის ცბიერი ხმაი, ისევა...

ეს მტარვალები რიგრიგობით ზურ-გზე გახტებიან, ლევანო, შვილო... ადი-ჩადიან და ბუქნაობენ შენ ზურგზე, რა არი, რომ როგორმე გაკოცნინონ მიწის-თვისა.

ხო... როგორ შავ დღეში ხარ, ლევა-ნო, სისხლი მოგდის პირიდანა, ლულ-ლულითა ლაპარაკობ, მაგრამა ვერ გი-მორჩილებენ, ვერა! ბოლომდე მაინც არ იხრები მიწისკენა...

და აქ ისმის მაგ ბრეცელა და ბლენ-დი მაიორის, გლებ უსმანოვის დაბეჭილი ხმაი რუსულადა – კიდე შეეკითხეთ, სად ეგდო გუშინაო...

აბა, მაგის ხმას რა დამავიწყებს...

5.

წამო, წამო, ეხლა ამ ჩვენი მდინარისა გითხრა.

წყალია მდინარე, ოლონდ მიმავალი.

თუ მიმავალი არაა, ჭაობია მაშინ და გველ-ბაყაყების ბუდეი.

და რომ მიდის, მდინარეა.

წავა, წავა, მზითა, მივა მიწასთანა და გაახარებს ბალახ-ყვავილებითა, ბუჩქე-ბითა და ხე-ხილითა.

წავა, წავა, ისევ მზითა, ცაში ავა, ლრუბელთან მივა და ისევ აქ ჩამოვა წვიმადა თუ თოვლადა.

აი, ეგრე დაატარებს მდინარესა მზე.

ჰოდა, რაღაცა ის იმის დათბობის ხალხი იყო აქ მოსული სამი წლის წი-ნა, ენერგო იმისაო, სარგებლიანობისაო, მაგის ცენტრის ხალხი, რაღაცები მოგ-

ვიყვნენ და მე ჩემი სიტყვებით ესე გეტ-ყვი, ეს ტემპერატურაი რომ მატულობს, გვალვა რომ სჭამს დედამინასა და ვაშ-ლი ველარ მოგვიყვანია წესივრადა, რისი ბრალია?

რისი და იმისი, რომ ვწვავთ ნავთობსა, ქვანახშირსა თუ შეშასა. იმ დამწვარსა ხო გაზი აქვს, ადის ცაში და იქ ათხელებს ოზონის ფენასა. ეს ოზონი კიდევა ისეთი რამეა, რომ მზის ცუდი სხივები უნდა დაიჭიროს და კარგები გამოატაროს აქა, მაგრამა ველარ ატარებს ისიცა და აპა, ეს ღვარკოფები, ტყის ხანძრები, წყალდიდოდებები, გვალვები და ეგეთი უცნაური ცვლილებები ამ ერთი ცი-და დედამინაზე.

უყურე ეხლა, რა მასწავლეს იმათა:

ამ ხანისხევის წყალი ხან იკლებს, ხან იმატებს, მაგრამა იმას კი ჰყოფის, რომ ერთ-ნახევარ კილოვატიანი მიკროჭესი აამუშაოს და გადიქცეს უფასო დენადა. იმათი ნაჩუქარი ბროშურაცა მქონდა აქა სადღაცა და იქ ეწერა, — ერთი მეტრი სიმაღლიდანაო ყოველ ერთ წამში ვარ-დნილ ერთ ლიტრ წყალსაო მიკროჭესში შეუძლიაო, რომ გამოიმუშაოს ოცი-ოც-დათი კილოვატსაათი ელექტროენერ-გიაი წელინადშიო.

ჰოდა, სამი წლის წინ მოვაწყეთ ეს მიკ-როჭესი „ლევან“. ლევანო რატო და შენი სახელი დაარქვა დედა კვირილამა, შვი-ლო. მორჩილების თანხმობითა, განა ისე...

ამისი სიმძლავრე კილოვატ-ნახევა-რია და მშვენივრად ჰყოფის მთელ ამ ჩვენ ღვთისმშობლის მონასტერსა. ასიო-დე მეტრშია აქედანა და დენი კიდევ კა-ბელით არის გაყვანილი-გადაჭიმული ათ ბოძზედა. ეს ბოძები და კაბელი გორის უნივერსტეტიდან იყვნენ სტუდენტები, იმათი დაფინანსებითა და შრომით არის გაკეთებული.

ეს დენი რომ დაზოგვით მოვიხმა-როთ, მონასტერში გვინთია ხოლმე თორმეტი ეკონომიური ნათურაი და დე-ნი სხვა რამებისთვისაცა გვყოფნის, მა-ცივარი გინდა, უთოი თუ რა ვიცი, რაც იქნება.

მორჩილი დედა სოფია იტყვის ხოლ-მე, — ადრე განათება რომ არ იყო, ფა-ნარებით ანდა სანთებელას გასანთებე-

ლი რომ არის, მაგით დავბორძიკობდით ხოლმეო.

მორჩილი დედა ფილოთეა დასქენს, — ჰესის ამუშავებამდე სენაკებს ჭრაქით ან დიზელის გენერატორით გამომუშა-ვებული დენით ვანათებდითო.

მორჩილი დედა თაისია ამბობს, — ის გამონაბოლქვი ხომ გარემოსაც აბინძუ-რებდა, ჯანმრთელობასაც ხომ ვნებდა და ვნებდაო...

და მონასტრის ბიუჯეტსაც ტვირთად აწვებოდაო, — ჩივის მორჩილი დედა ევანთია, რომელიც ხარჯების სწორად განაწილებასაც ცდილობს ხოლმე...

მოძღვარი დედა კვირილა შეაჯამებს ხოლმე, — ჰაერიც ინამლება ისე, რომ საშიში ხდება ძალიანო.

სულ ბოლოს, გავძედავდი და მეც ვიტყოდი ხოლმე ცოტასა, — ამ კიბოთი დანგადებულების რაოდენობა რომ მა-ტულობს და მატულობს, ნეტავი, რადა? რადა და იმადა, რომ მონამულილი ჰაე-რითა სუნთქვენ სულა. განა შეიძლება, რომ ვიღაცები, თან ბევრნი, ხსნიდნენ მანქანებს კატალიზატორებს და ყიდიდ-ნენ წალმა-უკულმა? ემაგ კატალიზა-ტორმა თუ არ დაიჭირა და გაფილტრა, მანქანის მაყუჩიდან გამოსული გამო-ნაბოლქვი ძალიან საშიშ აირებს შეი-ცავს და რამდენმა ადამიანმა, ბავშვმა და ქალმა უნდა ისუნთქონ იმითა? მერე უკვირთ, საიდან სიმსივნეო. საიდანა და, მონამულული ჰაერიდანა მეთქი...

აი, მოდი, მივიდეთ ამ მიკროჭეს „ლე-ვანისთანა“. ეს როგორაა და, მიკრო-ჭესის სადაწნევო მილიდან გამომავალი წყალი ატრიალებს პელტონის ტიპის ტურბინასა, ეს ტურბინა კიდევ გენერა-ტორს გადასცემს ბრუნვასა... გენერა-ტორი კი გამოიმუშავებს დენსა. სწორედ ეგეთი პელტონის ტიპის ტურბინებია გამოყენებული დიდ ჰესებზეც, ხრამპე-სი-ერთი გინდა, შაორის ჰესი, ბჟუჟჰესი და ასე.

„ზრრ-ზრრ-ზრრ...“ — ეგე, როგორ დასძახის ეს ტურბინაი, იმისი, რა ჰესია, კაცო... ჰო, პელტონი... პელტონის ტურ-ბინაი... აი, შენ კი გენაცვალე მაგ ხმაში...

მოდი, ბარემ კარგად გითხრა, რო-გორ არის ესა: მაღალი წნევისას წყალ-

სა აქვს დიდი სიჩქარეი. ეს სადანწევო მილსადენი უერთდება აი, ამ საქშენსა. ამას ცალ მხარესა აქვს წერილი კვეთი და ამ წვრილ კვეთში წყლის სიჩქარე ძალიან დიდია მეთქი.

ამ პელტონის ტურბინის დისკზე კი-დევ დამაგრებული არის ჩამჩასავით ფრთები. აი, როგორც რომ ეს ჩემი პეშვი, სულ ეგეთები. წყალს რომ მიუშვებ, ბრუნავს და ბზრიალებს სულა...

სანამ ჰესის კეთებას შეეუდგებოდი, წყლის ხარჯი გავზომე ჯერა. ისე გავზომე, როგორც მაგ ენერგო იმის, სარგებლის ცენტრის ხალხმა მასწავლა...

როგორა და, ეს აუცილებლივ ზაფხულში უნდა გაკეთდეს, როცა წყალი ყველაზე ნაკლები მოდის, სხვა დროს არა, რახან ზუსტი არ გამოვა გათვლა. წყლის ხარჯის ანგარიშია ესა, რა რაოდენობის წყალი მოდის მდინარეში.

აი, დავინიშნე საათზე დრო, რამდენ წამში გაივსება ეს პლასტმასის წითელი ვედრო. შვიდი წამია, არა? ეხლა კიდევა ლიტრიანით ამონტო ვედროდანა წყალი, — ერთანამ, ორი... ორანამ, სამი... სამანამ, ოთხი... ოთხანამ, ხუთი და ესეც ნახევარი ლიტრი კიდევა. ხუთ-ნახევარი.

ახლა ეს ვედროს ტევადობა, ხუთ-ნახევარი ლიტრი გავყოთ იმ შვიდ წამზე და, უკვე თავისთავად, გამოვა ისა, რაც ჩენ გვაინტერესებს — ნული მთელი, ცხრა მეტედი ლიტრი წამში.

ეს კი იოლია და, მერე უნდა უფრო ძნელი გამოთვლები, რომ ზუსტად დადგინდეს ჰესის მოსაწყობად საჭირო თითოეული დეტალი — ტურბინა გინდა, მილსადენის სიგრძეი თუ იმისი კვეთი კიდევა...

ამაშიც იმ ენერგო იმის ცენტრის ხალხმა გაგვინია დახმარება. ჩამოვიდნენ, ხაზეს და ხაზეს, რაღაცა საბუთები წერეს, ისე გაზომეს და ასე გამოზომესა, დაიანგარიშეს და ისე გამოვიდა, რომ ეგეთი იოლად გასაკეთებლი პატარა ჰესის მოწყობა, დიდი-დიდი, ათას ხუთასი დოლარი ჯდებოდა...

უკვე რამდენი წერინადი იყო, რომ ფუტკარი გვყავდა, მოტრიალდებოდა წელი და ემატებოდა სკები და ემატე-

ბოდა, თაფლი ხო თაფლადა და ცვილითა კიდევ სანთლებს აკეთებდნენ ჩვენი მორჩილები, აქაცა ქმარობდით და საეპისკოპოსოშიც მიგვქონდა გასასყიდადა. ზოგჯერ კიდე ბოსტნეულიც, ხან რაი და ხან რაი. ესენი ხო გროვდებოდა სულა და იმდენი თანხა კი არ იყო, მაგრამა ჩვენი მოძღვარი, დედა კვირილა იყო ეპისკოპოსთანა, მეუფე ისაიასთან, იმან შეგვივსო დანაჩენი, მოვაგროვეთ ეგ ფული და იმისი ლოცვა-კურთხევითა... და, უფლითა და არა ჩვენითა, გავაკეთეთ ეს მიკროჟესი.

მოვიდნენ იმ ენერგოს ცენტრის ხალხი ისევა, იანგარიშეს, გამოთვალესა და გამოვიდა, რომ რაც ეხლა ენერგიასა ვხარჯავთ ამ მონასტრში, ამას რომ ვყიდულობდეთ ჩვენა, წელიწადში გამოვივდოდა ორი ათასი ლარი გადასახადი. სამი წელია ეს მიკროჟესი მუშაობს და ექვსი ათასი ლარი ხო დაიზოგა უკვე, ხო აანაზღაურა ის ათასხუთასი დოლარი, ამ მოწყობილობებში რომ დაგვჭირდა და მოგებაზეც გავიდა უკვე.

მორჩილი დედა ფილოთეა ჩახედავს იმ თავის საანგარიშო ფურცლებსა, ხარჯებისასა და იტყვის, — სწორედ ამდენი იქნებოდა მონასტრის ხარჯი, დიზელენერატორისა და ჭრაქის გამოყენება რომ გაგვეგრძელებინაო.

მორჩილი დედა სოფია უფრო შორს მიდის, — თუ გავითვალისწინებთ, რომ საწვავისა და, ზოგადად, ენერგომატარებლების ფასი სულ უფრო და უფრო იზრდება, მონასტრის დანაზოგიც ხომ უფრო და უფრო მატულობსო.

მორჩილი თაისიას კიდევ უხარია, — მავნე გამონაბოლქვით ალარ დაბინძურდება გარემო, სენაკებში კიდევ ჰაერიო.

მორჩილი დედა ევანთია კიდევ მიუგალობებს, — ისეთი კარგი განათებაა, ხატებს ლამითაც ვხატავ უკვეო.

მოღძგარი კი, დედა კვირილა დაასკვნის ხოლმე, — სალვთოდ კეთილი საქმეა ეს, სიცოცხლის დასაცავად და მაღლი ვუთხრათ ყველას, ვინც ამ მიკროჟესის მოწყობაში ხელი გაგვიმართა და ვინც მოაწყოო. უფალო, შენითა და არა ჩვენითაო.

აი, ხო, ხედავთ, როგორ გამოვიდა...

ეგეთი პატარა ხევებითა და მდინარე-ებით ძალიან მდიდარია ეს ჩვენი ქვეყა-ნაი და წყალი კიდევა, თუ დინებას მი-უშვი, თავის გზას არ დაკარგავს და თუ არა და, გადააქცევ უფასო ელექტრო-ენერგიად და ეგაა. თან არცა წყდება, სულ არის და არის. ჰოდა, როგორც მა-მაჩემი იტყოდა ხოლმე, მეფუტკრე ფი-ლიმონაი, – დარდი გაუშვი შენა...

მეც ახლა იმ ენერგო იმის ცენტრის ხალხივით ვეტყვი ხოლმე აქ მომსვლე-ლება:

გამოიყენეთ წყლის უფასო ენერგია! გაუფრთხილდით გარემოსა და გაუფ-რთხილდებით სიცოცხელსაცა და გაუფ-რთხილდებით თქვენ ჯანმრთელობასაც!

ერთი ბენო პლანეტაა ეს ჩვენი დედა-მიწაი და აი, რატომ ვერ უნდა მოვუა-როთ, რატომა?

6.

მიიღებ, რასაც ეძებ მეთქი და...

ისე გამოვიდა, როგორც დაგიბარებია.

ერთხელაც, მოვედი აქა და სადლაა ჩემი გენერატორი? პელტონის ტურბი-ნა ამოულიათ, მოუგლეჯიათ სამაგრი-დან და აგდია ოხრადა. ეს ქოხიც სულ მილენ-მოლენილია, კაბელებია გადაჭ-რილი და მიმღებ-გამანანილებელი და-ფა ჩამომტკრეულია, ერთი ჩამრთველი აღარა აქვს ზედა.

გამოვვარდი გარეთ, ამ ამაღლება-ზე ამოვედი, ვიყურები დურბინდში და საზღვარი მაშინ აქვე, ამ გორაკის ძი-რასა პქონდათ და იქ მიაცუხცუხებს ორი ჯარისკაცი ჩვენ გენერატორსა, მე-რე შეიდი, რვა სული მისდევს და სულ უკან ვიღაცა ოფიცერი მიიზღაზნება გაჯგიმული. მიდინ ეგრე გეზადა, რუ-სული ბლოკ-პოსტისკენა. ვუყურებ ამ დურბინდში და ის ოფიცერი რამდენიმე წლის წინანდელ მაიორ გლებ უსმანოვსა ჰგავს სიფაზე.

აპა, მივვარდი მონასტერში, ვუთხარი ეს ამბავი და დედა კვირილამ არავინ გა-იყოლა, ჯერ ჩვენს ეპისკოპოსს, მერე სა-პატრიარქოს შეატყობინა, ვინ აღარ ჩა-რიეს, მაგრამ ვეღარ დავიბრუნეთ ის ჩვე-ნი გენერატორი. დაგვტოვეს უდენოდა...

სად აღარ ვიარეთ, ძლივს მოვაგრო-

ვეთ ფული, ისევ ვიყიდეთ ყველაფერი, რაც გაგვიოხრეს და თავიდან გავმარ-თეთ მიკროჟესი.

მაგ ოფიცირის ოხტში უნდა ამოვიდე მეთქი, ჯერ ჩვენ სამხედროებში ვიშო-ვე იარაღი, რაც საჭირო იყო და ვუარე ეული მგელივითა მაგათ ბლოკ-პოსტსა რამდენიმე დღე შორითა, ვათვალიერე დურბინდითა და გლებ უსმანოვია ნამ-დვილადა, ოღონდ მაიორი აღარ არი, კა-პიტნად ჩამოუქვეიებიათ.

ერთ დღესაც ნასული ვიყავი, თაფ-ლი წავულეთ ჩვენს შემსყიდველს, ვერ ახერხებდა ამოსლასა. უკან რომ ამოვე-დი, უკვე საღმოდვება და რასა ვხედავ, რასა?!

ის მავთულხლართები, იქით, გორის-ძირში რომ გადიოდა, ახლა აქ გადმოუ-ტანიათ და ზედ მიკროჟესზე გადაუტა-რებიათ. ისე, რომ აქეთ მხარეს მარტო ჰესის საგუბარილა დარჩენილი, სადან-ნევო ავზი და მთელი დანარჩენი ჰესი, – წყალმიმღები გინდა, სადერივაციო არ-ხი, სადანნეო მილსადენი, სადგურის შე-ნობაი, ჰიდროაგრეგატი, თავისი ტურ-ბინაგენერატორითა და ეს წყალგამყვანი არხიც, – ყველა საზღვარს იქით, დაპ-ყრობილ სამაჩაბლოშია.

ავდექი და, ამ მავთულხლართებზე სულ გადავიგლიჯე ეს ცალი ხელი, მაგრა-მა მანც გადავიტანე საზღვარი გადაღმა, ისევ ჩვენსკენ მოვაყოლე მიკროჟესი.

ხო ვიცი, რომ მოვლენ. მაგრამ მორ-ჩა. აღარ მეშინია მე მაგათი. აღარა.

მოვიდნენ თუ არა და, აპა, გიყვარ-დეს, შევუკეთე და შევუკეთე ეს „ლი-მონკები“ ამ ცალი ხელითა. აპა, აქე-დან და აპა, იქიდან! აპა, ფხაჭი! და აპა, გლეჯი! ვინც გადარჩა, ხომ გარბის თავ-ქუდმოგლეჯილი და ვინც ვერა, აგდია იქა, მავთულხლართთანა და გაჰყვირის ვედრების სიტყვებსა.

ავიღე ეს ჩემი მაკაროვის პისტოლე-ტი, მივირბინე და მაიორი გლებ უსმა-ნოვი, ოღონდ კაპიტნის ოთხი პატარა ვარსკვლავითა!.. დაჭრილა ფეხში და იკრუნჩება ტკივილისგან, გასდის სის-ხლი, მაგრამა ქამარი შეუხსნია უკვე და იჭერს ჭრილობის მაღლა...

ჩემს თვალწინ რომ ის ქალები ამოხო-

ცე ტაქსიში, თავის შოფრიანადა, ეგეც ხომ მახსოვს მეთქი და მე რომ გამიშვი, ეგ კი ახლაც გამკვირებია.

სიკეთე ვქენი და იმიტომ გაგიშვიო.

მერე ხო ჯერ ჩვენი გენერატორი მო-იპარე და გაყიდე თუ გაცვალე სასმელში მეთქი...

არა, არა, ეგ ჩემი ბრალი არ იყო, უფ-როსმა დამავალაო.

ახლა ისევ იქით მოაყოლე ჩვენი მიკ-როპესი, რომ ამ ღვთისმშობლის მონას-ტერსა დენი წაართვა მეთქი და ღმერ-თისა მაინც არ გეშნია?..

მეშინია, მაგრამ ისევ ბრძანება შე-ვასრულე, პატარა კაცი ვარ, რა მექაო?

ჩემს შვილსა ხომ შენი ბრძანებით ადგებოდნენ კისერზე, ხერხელმალში ამტკრევდნენ და მინას აკოცეო, დაჰ-ყვიროდნენ და ეგეთი წამებით რომ მო-აკვლევინე, მაშინა მეთქი?

ეგეცა ბრძანებაი იყო, ბრძანებაიო...

რა ვქნათ ეხლა? ჩემი შვილის მკვლე-ლი ხარ და შენ მითხარი, აბა, რა ვქნათ მეთქი? – მაკაროვს ვუმიზნებ შუბლში.

ვუმიზნებ, ვუმიზნებ და დამიდგა გო-ნი, გული და ხელიცა. თვალნინ წარმო-მიდგნენ ღვთისმშობლის მონასტრის წი-ნამძღოლი, დედა კვირილა, მორჩილები: ფილოთეა, სოფია, თაისია, ევანთია... ღმერთო, შენითა და არა ჩვენითაო. მი-გალობდნენ ამასა. მიგალობდნენ და...

მაიორო, ხოხვა შეგიძლია მეთქი? ხოხვაი?

შენ ნუ მესვრიო და შემიძლიანო.

წადი მაშინ, სანამ გადამიფიქრებია მეთქი.

ჰოდა, დაიწყო და დაიწყო ხოხვით წასვლა, მიიყოლებდა სისხლის კვალსა...

მერე ვთქვი, როდემდე გიყურო, შე-ნი პატრონის ცოცხალ-მკვდარის დედა-ცა მეთქი და რომ გამოვბრუნდი, ორი წაბიჯი არა მქონდა გავლილი და ჯერ ზურგი ამენვა, მერე გავიგონე სროლის ხმაი. მოვისვი ხელი მკერდზე და სულ სისხლიანია...

მივუტრიალდი და უსმანოვმა მეორე-დაც მესროლა, მესამედაცა... პირზე შე-მაშრა სიტყვები, - მომკალი, შე შობელ-დალლო შენა?

პისტოლეტისკენაც ვცადე ხელის გაქნევა, მაგრამ ველარ...

აი, როგორც ძირში გადაჭრილი დი-დი მუხა დაიძახებს ერთ მაგარ ჭახანსა, კვნესით შებრუნდება ოდნავა და დაას-კდება მერე თავის მშობლიურ მინასა, მეც სწორედ ეგრე...

ჰოდა, როგორც პატრაობაში ალი-ლოზე ვმლეროდით ხოლმე „ჭონას“, ისევ ის სიმლერა მომქანა სულ ბოლოსა:

„ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე, ვარსკვლა-ვებსა დავენახე,“

მთვარემ კაცი მომიგზავნა: – თუ აქ იყავ, რათ არ მნახე?!”

7.

წლევანდელი მარტის თვრამეტი იყო, უკრაინულმა გაზეთებმა დაწერეს ჯე-რა, მერე აქაც გადამოთარგმნეს, რომ რუსეთ-უკრაინის ომში მოკლეს მაიორი გლებ უსმანოვი და რუსეთის გმირის წო-დებაც მიანიჭესო. ისევ მაიორი გამხდა-რა იქა, კიევის აღებაში მონაწილეობდა მაგისი ნაწილი და უკრაინის ქალაქებში: ბუჩაში, ირპენისა და გოსტომელში რომ შეაჩერეს, მერე უდანაშაულო ქალებს და ბავშვებს აწამებდა, აუპატიურებდა და ხვრეტდა თურმე. სწორდ ეგ მეთა-ურობდა კოსტრომის საპარტო-სადესან-ტო პოლესა 2008 წლის რუსეთ-საქარ-თველოს ომში და მათ შორის, კაპრალ ლევან სოსიპატრეს ძე მარიამიძის წამე-ბაშიც ღებულობდა მონაწილეობასო.

აპა, ურმით დადისა და მაინც მოგაკით-ხავსო, სამართალი. აյი მეც ვიმეორებ ხოლმე, შვილო ლევანო, რომა, – ღმერ-თო, შენითა და არა ჩვენითა მეთქი... ეს ჩემი არეულ-დარეული ამბავიც ეგ არი...



ნინო დარბაისელი- სტრონი

თანამედროვე პოეტი ქალები

(ციკლიდან: ქართული პოეზიის პანორამა)

ხედი პირველი – კახეთი

ადრე ვინმეს რჩევა რომ ეკითხა, „თანამედროვე პოეტი ქალები კახეთიდან“ – ასეთ წერილზე მუშაობას ვფიქრობ და რას მეტყვიო, აუცილებლად მურმან ლებანიძის ლექსით ვუპასუხებდი:

ქართლ-კახეთად, იმერეთად,
სამეგრელოდ, გურიად,
ვისაც ჩვენი დაყოფა და
დამონება სწყურია,
ან ჭკვიანი მტერია და
ან უგნური მოყვარუ,
ამიტომაც, სადაც ვნახე,
ძირიანად მოვთხარე.

მურმანის ეს სტრიქონები მხოლოდ იმიტომ კი არ გამახსენდებოდა, რომ ახლა მისი საიუბილეო წელია, არამედ ყოველთვის, როცა საქართველოს რომელიმე კუთხის ასეთ გამორჩეულობაზე იწყებენ რაიმე ნიშნით მსჯელობას (რაც ამ ბოლო დროს მეტისმეტადაც კი მოხშირდა), უკეთესი ფორმულირება ახლაც და ყოველთვისაც ძნელი მოსაძებნია.

ამასაც არ ვიკმარებდი, აუცილებლად ვეტყოდი, რომ მეთოდოლოგიურად ეს გაუმართლებელია. ჩვენ ვქმნით ერთიან ქართულ პოეზიას, ლიტერატურასა და ზოგადად კულტურას, დიალექტიზმებს, სლენგს, ბარბარიზმებს და სხვა ლექსიკურ ამბებს ჭარბადაც რომ ვიყენებდეთ,

თვით იმგვარ უკიდურეს მოვლენასთანაც კი რომ გვქონდეს შეხება, როგორიც თუშურ დიალექტზე შეთხზული ლექსებია ეთერ თათარაიძისა. მათი ესთეტიკური სტატუსი ერთადერთ შემთხვევაში დგინდება და ეს ის შემთხვევაა, როდესაც იგი სალიტერატურო ქართულს მიემართება, როგორც კერძო, გამონაკლისი, განაპირა შემთხვევა – მყარ აქსისს, ღერძს და ამ ღერძის ორბიტაზე ექცენტება ადგილი.

როგორც კი ამ ღერძის ორბიტიდან მის მოწყვეტასა და თვითკმარად გააზრებას შევეცდებით, იგი, როგორც ესთეტიკური ლირებულების მატარებელი პოეტური ტექსტი, არსებობას შეწყვეტს და ხელთ უბრალოდ, თუშური დიალექტის სტრიქონებად დატეხილი, თუნდაც გარითმული ჩანანერი შეგვრჩება... მაგრამ ეს სხვა მსჯელობის საგანია და იმედია, ამ თემაზე ცალკე საუბრის საშუალებაც მოგვეცემა. ამჯერად კი ზემოთ წამოჭრილ პრობლემას დავუბრუნდეთ.

ჩემსავით მშობლიური ლიტერატურულ-კულტურული გარემოსაგან ფიზიკურად დისტანცირებული ადამიანი-სათვის კი საქმე ცოტა სხვაგვარადაა. კერძოდ, ჩემს ნარმოდგენაში ალბეჭდილ საქართველოს რუკაზე რაღაც მანათობელი წერტილები მაქვს. ეს ის ადგილებია,

სადაც, მაგალითად, რაიმე მნიშვნელოვანი კულტურული ამბავი მომხდარა, ვინმე მნიშვნელოვანი შემოქმედი დაბადებულა, უმოლვანია, საკუთარ ქმნილებაში უხსენებია ესა თუ ის ადგილი...

მე, შეიძლება, საქართველოში მიმდინარე კულტურულ ცხოვრებას ძალიანაც ვიყო ჩამორჩენილი და არ ვიცოდე, რომ ასეთი რამ უკვე რახანია გაკეთდა, ამის გამო მკითხველი წუ დამძრახავს, მაგრამ ვფიქრობ, რა კარგი რამ იქნებოდა, ჩემს სამშობლოშიც რომ შექმნილიყო, რაც ჩინელებმა გააკეთეს და ინტერნეტით ფართოდა გავრცელებული – მსოფლიოს გამორჩენილ ადამიანთა რუკა, რომელსაც სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილზე დაწკაპუნებით ან „თაჩსერინზე“ ხელის შეხებით გახსნი და წაიკითხავ ინფორმაციას იმ არეალში მოლვანე ვინმე დიდი პიროვნების შესახებ, ოღონდ ეს რომ მსოფლიოსი კი არა და საქართველოს რუკა იყოს!

არა მგონია, ასეთ რუკაზე საქართველოს რომელიმე მხარე დაუტვირთავი დარჩენილიყო. იმდენი რამ (მართლაც ღირებული!) ვერ ხვდება ჩვენი თვალთახედვის არეში, უბრალოდ, არ ვიცით!

მე წარმოსახვით დამაქვს ასეთი რუკა, დავხუჭავ თვალს და ვხედავ ყაზბეგს, ვხედავ ჩარგალს, ვხედავ ჭყვიშს, ქუთაისს, ყვარელს, პატარძეულს, თიანეთს... და კიდევ რამდენიმე ადგილი კაშკაშებს გამორჩეულად, ცალკეული ლოკალებიც კენტად ანათებენ, ზოგინ ბჟუტავენ, თბილისი – მისი ვერა-ვაკე-საბურთალო და პა და პა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონები – გაკაშკაშებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ძირითადი შემოქმედებითი ძალები არა მხოლოდ ლიტერატურის, არამედ ხელოვნების სხვადასხვა დარგებიდან ჩვენს ისედაც პატარა სამშობლოში ძირითადად ამ ადგილებშია სანიშნებელი.

რასაკვირველია, ყველა თანამედროვე ქვეყნის კულტურულ დედაქალაქს აქვს თავისი, ასე ვთქვათ, პატარა თუ დიდი „მონმარტრი“, მაგრამ თბილისი ამ რაიონების წყალობით, რაღაც მთლად თავკომბალასავით გამოდის.

კახეთით ამ საქმის დაწყებისათვის კი-დევ ორი მოტივი მაქვს და ბარებ ირივეს აქვე გაგიმხელთ. პირველი ობიექტურია და ისაა, რომ ქართლ-კახეთი, მეტადრე

კი კახეთი, საუკუნეთა მანძილზე მოწინავე იყო. პოეტთა უმრავლესობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე აღმოსავლეთსაქართველოელი იყო. აკაკი წერეთელი გამოდგა პირველი, ვინც ვექტორი დასავლეთისკენ გადახარა, თანაც გადახარა ისეთი სიძლიერით, რომ მის კვალად აღმოსავლურ ხმათა ხავერდები კარგა ხნით ლამის მთლიანად გადაიფარა.

სუბიექტური მოტივი კი ისაა, რომ დედ-მამით კახელს, თუმცა თბილისელს, ეს მხარე უფრო მეახლოება.

ამ წერილში მხოლოდ თანამედროვე პოეტი ქალებით შემოვიფარგლები.

მე თუ პირველმა არა, ერთ-ერთმა პირველმა მაინც ინტერვიუში ადრევე გამოვთქვი აზრი, რომ თანამედროვე ქართული პოეზიისთვის დროის ნიშნად მისი ფემინიზაცია იქცეოდა. მახსოვს, ამ აზრმა მაშინ გაუგებრობასავით რაღაც გამოიწვია და ინტერნეტგანხილვებისას მუდმივად მიწევდა ახსნა, რომ მაშინ ჩვენთვის ჯერ კიდევ მოუშინაურებელი ტერმინები ფემინიზაცია და ფემინიზმი – ორი სხვადასხვა რამაა. პირველი ნიშნავს რაიმეში ქალური პლანის გაძლიერებას, ხოლო მეორე – ან უკვე მსოფლიო მოძრაობად ქცეული მოვლენის დასახელებაა და ზოგადი გაგებით, ქალთა უფლებებისთვის ბრძოლას ნიშნავს. ფემინიზებული პოეზია, თავისი მხრივ, შეიძლება ეხებოდეს ფემინიზმის პრობლემებს და შეიძლება არა და ასე შემდეგ, და რომ მე ჩვენი პოეზიის განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობისას – პირველ ტერმინზე მქონდა საუბარი. ერთსაც ვიტყვი ამ თემასთან დაკავშირებით. მთლად წინასწარმეტყველის მანტიით ვერ შევიმოსები. ეს უბრალოდ, სასაკილო ოქნება. როცა ამ აზრს გამოვთქვამდი, ვითვალისწინებდი ევრო-ამერიკული პოეზიების უკვე არსებულ გამოცდილებას, სადაც ქალ ავტორთა მკეთრი მოძალება უკვე აღიარებული ფაქტი იყო. აქედან ერთი ნაბიჯილა მრჩებოდა დასკვნამდე, რომ, რაკი დასავლური ორიენტაცია გვქონდა აღებული, ლოგიკურად გამოდიოდა, რომ, როდესაც ვიღაცის გაკვალულ გზას მიუყვები, რაც არ უნდას საკუთარი გეგონის, იქ მიგიყვანს, სადაც შენი წინამორ-

ბედი მივიდა. აქ ზოგად ორიენტაციაზე მაქვს საუბარი, თორემ ქართულ პოეზიას ჰქონდა და აქვს თავისი გამორჩეული სახე. უცხოელი მკითხველისათვის ამ მხრივ იგი ჯერ კიდევ აღმოსაჩენია. უთუოდ შოთა რუსთველის წყალობით, ჩვენი ენა იმდენად გამსჭვალულია პოეზიით, რომ ილიას ათქმევინა „ქართულად ლექსად მონყობა სიტყვისა ძალზედ ადვილია“ - ის არის სწორედ ის მატყუარა სიადვილე, რომელიც, ასე ვთქვათ, ხიბლში აგდებს ავტორს და თავად ვერ გაურჩევია, მაინც რა არის საკუთარ შეთხზულ ტექსტში მისეული და რა ინერციით გადმოსული სხვა, წინარე პოეტური ტექსტებიდან.

ჩვენს საყვარელ სამშობლოს თუ რამ არ აკლია დღეს და მუდამ, ეს პოეტთა სიმრავლეა. ჯერ კიდევ როდის შექმნილ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგშიც კი მოცემულია პოეტთა ამ სიმრავლის კლასიფიცირების ცდა, რომელიც ბოლოვდება ტაეპით – ჩემი ან ცანით ყოველმან“ - ი.

ზოგადად, რა სფეროსაც არ უნდა ეხებოდეს ადამიანის გონება – იგი ერთ-ერთი, პირველ რიგში, მაკლასიფიცირებელი აპარატია და მე, როგორც მკითხველს, ქართული პოეზიის კლასიფიცირების ჩემეული წესი მაქვს, რომელიც ცხადია, სამეცნიერო ენაზე სრულიად სხვაგვარად გამოითქმებოდა – იგი ინსპირირებულია ტაეპით: „ლექსის თქმა მნადის ერთისა“. მოკლედ და გასაგებად კი ასე ჩამოვაყალიბებდი:

არსებობენ

1. ლექსის მთქმელები – ჩვენში – და-უთვლელ-გაუზომავი, აურაცხელი სიმრავლე;

2. ლექსის გამო-მთქმელები – აქ ერთიანდება ავტორთა გაცილებით მცირე რაოდენობა და ამ რაოდენობის ქვე-კლასიფიცირება, მსგავს-მაკავშირებელი ან განმასხვავებელ-ინდივიდუალური ნიშნით – მეტ-ნაკლებად შესაძლებელია.

ჩემი, როგორც მკვლევარის ყურადღება ძირითადად ამ კატეგორიისადმი არის მიპყრობილი და როგორც პოეტი, საკუთარ თავსაც აქ მოვიაზრებ.

3. და არიან... (ისიც არ ვიცი, აქ მრავლობითი რიცხვი რამდენად გამართლე-

ბულია, მხოლობითი ხომ არ სჯობს?)... არიან ლექსის ამომთქმელები.

ელა გოჩიაშვილი, ავტორი რომლის შემოქმედებითაც მინდა დავინყო ჩვენი პანორამული მიმოხილვა, არის არა ლექსის მთქმელი ანდა გამო-მთქმელი, არა-მედ, სწორედ ლექსის ამომთქმელი... და აქ ისევ ივანე წიკლაურის ნათქვამს მოვიხმობ: „ლექსო ამოგთქვამ, ოხერო, თორო იქნება ვკვდებოდე“.

ამას გარდა, დაწყებული მისი იმ პირველი სტრიქონებიდან, ლიტერატურულ სარბიელზე ელას გამოჩენას რომ გვამცნობდა, დღემდე მთელი მისი არცთუ მრავალლექსოვანი შემოქმედება ჩემთვის დათო წერედიანის სტრიქონების დადასტურებაა – „ერთი კარი აქვს ორივეს, სიყვარულსა და სიკვდილს“. თავად ელა კი ამგვარად იტყვის:

რა ბეჭდნური ვიუი ვარ –
სიყვარულსაც და სიკვდილსაც
ბოლო წუთამდე ვბეჭდავ.

ელას ყოველი ლექსი, რა თემასაც არ უნდა ეხებოდეს იგი, ავტორის გავლაა ალესილი დანის პირზე. სხვაგვარად წერა მას უბრალოდ არ შეუძლია. იქნებ ესეცაა მიზეზი, რომ რაოდენობრივად მთელი მისი შემოქმედება არათუ მოზრდილ წიგნს, ერთ სტანდარტული ზომის კრებულს ძლივს ეყოფა.

მასსოვს, ერთი დიდი ფიზიკოსის თანაკურსელმა უურნალისტის შეკითხვაზე, თქვენი მეგობარი ამხელა აღმოჩენამდე როგორ მივიდაო, მახვილგონივრულად უპასუხა – ფიზიკის ლექციებს მუდმივად აცდენდა და არ გაუგია, რომ ეს – შეუძლებელი იყოო.

ამის კვალად, მეჩვენება, რომ ელა გოჩიაშვილი ისეთ რაღაცებს მიმართავს ლექსში, გვიბიძგებს, ვთქვათ, მას „არ გაუგია, რომ ეს შეუძლებელია“. ალბათ, ამიტომაც, ამაოდ შევეცდებით მისი შემოქმედების მოთავსებას რაიმე „იზმის“ ფარგლებში.

თუ მაინც, სათქმელის მხრივ რაიმე თეორიულ სამანებშუა უნდა მოვათავს-სოთ ელა გოჩიაშვილის შემოქმედება, ვიტყოდი, რომ ალბათ ეს – უფრო ეგზისტენციალიზმის ქართული პოეტური მოდეუსი იქნება. ამ გაგებით, პირადად მე მის წინამორბედად უფრო ბესიკ ხარან-

ული მესახება. მინდა აქვე დავაზუსტო, რომ აქ საუბარი პირდაპირსა და უშუალო გავლენაზე კი არა მაქსა, უფრო პოეტურ ატმოსფეროსა და ერთნაირ ორი-ენტაციას ვგულისხმობ.

ელა გოჩიაშვილის პოეტურ სახე-კონცეპტებს უჭირთ დარჩენა ტრადიციული გააზრების არტახებში. რაკი ავტორი ლექსში მათზე ან მათთან საუბრობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ხედვის კუთხე – სხვაგვარი, არატრადიციული აქსა, როგორც ხეებისადმი მიმართულ ამ ლექსში:

როგორ არავის ეტრალებით
გაზაფხულისთვის,
როგორ ადვილად გიმეტებუნ
გაზაფხულისთვის.

მარტო ფოთოლცვენისას
თანაგიგრძნობენ,
რადგან ადვილია შემცელი
ცრუმლის დანახვა და მოფერება.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ელა გოჩიაშვილის ლექსებიდან არა-ერთი მათგანი ქართული პოეზიის საგანძურის შენაძნია, მათი სრულად ჩამოთვლა უწიგნოდ, მესიიერების იმედად, ამომწურავი ვერ იქნება და დარწმუნებული ვარ, ბევრიც გამომრჩება, უპრალოდ, ჩემს საყვარელ ლექსებს გავიხსენებ: „ჭეჭეთობის ღამე“, „ძახველი“, „მოლადურების ჭირისუფალს“, „პარასკევი მამის დღეა“, „შაბიამანი“, „მე მიყვარს მხოლოდ მარტის ჩვიდეტი, მარტის დანარჩენს ვთხოვ, მაპატიოს“, „ძახველი მედგაისეთი“, „ცხოვრებაგამტარი“ და „ცხოვრებაგაუმტარი“, „ჩემთვის და ჩემი ორი დისათვის“, „მჭირს!“, უფრო ძველებიდან – „მწვანე იასპის ბეჭედი“, „ადამიანი – ცოცხალმშობიარე“.

მჯერა ან მინდა მჯეროდეს, რომ ქართველი პოეზიის მოყვარულნი იმდენად კარგად იცნობენ ამ ქმნილებების პირველივე კოდის, სათაურის დასახელებაც ეყოფათ გასახსენებლად.

მე ხშირად აღმინიშნავს, რომ თანამედროვე პოეზიაში რაღაც, ტრადიციული თემები თავიანთი „შლეიფებიანად“, რაც წინა პერიოდებში წარმმართველიც კი იყო, მოიხსნა ან მკაფიო მოდიფიკაცია განიცადა და ასეთ ნიმუშად, პირველ რიგში, პატრიოტულ თემას ვასახელებდი. ძნელი ასახსნელი არ იყო, რომ ღი-

რებულებათა ტოტალური გადაფასების ეპოქაში თვით სამშობლოს ტიპობრივ-მა მოდელმაც განიცადა უზარმაზარი ცვლილება. სამშობლო ელა გოჩიაშვილის შემოქმედებაში შორსაა „ტურფა საქართველოს“ ტრადიციული ხატისგან. იგი უფრო პირგამეზებულ დედინაცვალს წააგავს, როგორც გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ ამ ლექსში „უარი ეთქვას“:

მე ნუ ვყოფილვარ საქართველო,
თუ არ დაგდალო,
მე ნუ ვყოფილვარ საქართველო,
– შურით ძლუარი,
პალტო კი არა, გიუის კვართი
თუ არ ჩაგაცვა,
თუ არ გიშხუვლო მათრახივით:

„ეთქვას უარი!“
შენი ვალებით პირთამდე სავსემ,
თუ არ ჩაგიდვა ყველა დროში
თითო ფაცერი,
ჩემგან განირულს, თუ სამშობლოდ
არ მოგაჩვენო
თოვლი ირიბი და ალმაცერი.
თუ არ გავერთო შენი გაძლებით,
თუ არ დაგძახო ბენზის ხიდზე:
„პოეტო, ანტრე!“

მაშინ სამშობლო აღარ ვყოფილვარ,
შენ თუ სიკვდილი არ მოგანატრე!
შემოქმედის ხვედრი საქართველოში
ოდენ ამ ლექსით გამოთქმული სატკი-
ვარი როდია, სხვაგან ქართველი პოეტე-
ბისადმი მიძღვნილ ლექსში „მათქმევინე,
და!“ იგი ამბობს:

სამშობლო ხარ! – ამას აღარ
ეძველება,
მაგრამ, თუ არ მოგვიყითხავ დიდხანს,
იმ დღისათვის მებრალები,
საქართველოვ,

როცა მოგვიყითხავ...
„როცა მოგვიყითხავ...“ როგორც ზე-
მოთ მოყვანილ მაგალითშიც საგრძნო-
ბია, ელა გოჩიაშვილის სათქმელის ინ-
ტიონაცია, თავისი მახვილები ბევრგან
წინააღმდეგობაში მოდის ტრადიციული
კონვენციური ლექსის რიტმთან, „ეჯახე-
ბა მას“ ამის შედეგად იქმნება მისთვის
ნიშნეული, ინდივიდუალური, რეალური
რიტმი და მე ვიტყოდი, მისი პოეტური
ინტიონაციაც.

იგი ქმნის, როგორც კონვენციურ,
ასევე თავისუფალ ლექსებს. თავისუფალ

ლექსებში – მიმართავს სასაუბრო მეტყველებისა და დიალოგის ინტონაციისა და ფრაზის სპეციფიკურ მომენტებს. ამ მცირე მიმოხილვის დასასრულ, მინდა გავიხსენოთ მისი ლექსი „ცრემლი სამყაროს თვალზე“, მიძღვნილი ბორენა ჯაჭვლიანისადმი, სადაც ვლინდება ელა გოჩიაშილის სტილისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნიშანი – ეპითეტურობა. ამ თავისუფალი ლექსის ფრაგმენტული ციტირება არ იქნებოდა გამართლებული, რადგან აქ სათქმელი და სახეობრივი დინამიკა მთელს ლექსშია განფენილი.

ის მეტისმეტად ქალი იყო
და შეუხეტა სიყვარულში.
აბა, ვინ იტყვის,
რომ ეს დიდი შეცდომა იყო,
ან გზის აბნევა.
ის, უბრალოდ, ცაში ავარდა
და მინაზე ჩაბობდება
აღარ შეეძლო.
ქალი იყო
და თავის ჯვარს შეუდგა მხრები,
ქალი იყო
და თავისი ქვეყანა ნახა.
ჰვავდა წვიმას;
მართალია, საკუთარი თავით
დაღლილს
და ფარვეარაზე თავმიდებულს,
მაგრამ მანც ხომ წვიმას ჰვავდა,
და ქოლგები გამალეს ირგვლივ...
ტიროდა მთვარისათვის.
არც საყვედური,
არც სხვა – წუნუნი.
დროდადრო სული ერწყობოდა
შვების ლექსებად,
მერე თვლებდა,
ძალას იკრებდა,
სანამ ტკიფილი ისევ დაკბენდა,
ნამოავდებდა
და ქვასავით მძიმე კალამს მისცემდა
ხელში.
კამბობდი ხოლმე:
ტავილებს შორის დაამებავ,
ტაბილო, ნეტარო,
მაგ ქალს ცოტა ხნით
გაუხანგრძლივდი,
რომ არ მობეზრდეთ მშვენიერ
თვალებს
ასე დიდხანს,
ასე ნაძღვილად,

ასე ხშირად და ბუნებრივად
ტირილი მთვარის მიმართულებით,
და არასოდეს გამოიღოთ
სამყაროს დაწვეტე
ცრემლი – ჰიმნი სიყვარულისა...
არა, არა,
რა შეცდომა,
რა გზის აბნევა,
ის ქალი იყო და, უბრალოდ,
სიყვარულში შეუხეტა.
იქ კი, როგორც მოგეხსენებათ,
სინათლეები არ არსებობს,
ხელისცუცებით უნდა იარო,
ბედნიერება კი არ არის,
სიყვარულია –
საწუხარი და სამგლოვიარო.

ხანგრძლივი, მძიმე სიყვარულის
შეძლევ
გარდაიცვალა...

ამ მოკლე მიმოხილვის დასასრულ, მინდა საზგასმით აღვნიშნო, რომ ელა გოჩიაშილი არა მხოლოდ ჩემი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო პოეტია, არამედ იგი გახლავთ ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი პოეტი ქალი.

●
ჯემალ აჯიაშვილს, რომელიც კარგი პოეტი იყო, პოეტად ნაკლებად იცნობს ქართველი მკითხველი. მას უყვარდა გამეორება, როცა თარგმნა დავიწყე, გივი გეგეჭკორმა ერთხელ მითხრა, უკეთესი იქნებოდა, ჯერ პოეტად დამკვიდრებულიყავი ჩვენი მკითხველის ცნობიერებაში. ახლა ჩემსავით დაგემართება. დაგერქმევა თუ არა ერთხელ მთარგმნელი, მერე რამდენიც გინდა, ლექსი წერო და აქვეყნო, პოეტის სახელს ვერ დაიბრუნებო. სხვათა შორის, უბრწყინვალესმა პოეტმა დავით წერედიანმაც იგივე ხვედრი გაიზიარა.

ნაირა გელაშვილს – მწერალს, მკლევარს, მთარგმნელს, პუბლიცისტს... აქ შევჩერდები, რომ ჩამონათვალიდან რამე არ გამომრჩეს, მოკლედ ვიტყვი, მრავალ-მხრივ მოღვაწე ადამიანს, პოეტად ნაკლებად იცნობს ქართველი მკითხველი საზოგადოება.

2020 წელს გამოცემული მისი მეორე სოლიდური პოეტური კრებული, „თუნ-

დაც ბალახის გამო“, მხოლოდ პირველი ტომი, მახსოვს, ოთხას გვერდამდეა (პირველი „დრო, პური და ლვინო“ 2006-ში გამოვიდა) ნაირა გელაშვილი – პოეტი აშკარად გამოირჩევა იმით, რასაც გურამ ლებანიძე „შინაგან სიტყვად“ მოიხსენიებს ამავე სათაურის წერილში და მისი მექანიზმის გამოაშეარავებას ცდილობს, ხოლო მე უფრო პროზაულად სათქმელს ვუწოდებდი. სათქმელის უქონლობა და თემატური ერთფეროვნება ზოგადად, ქართული პოეზიის პრობლემაა, მეტადრე ახლანდელ პოეზიაში, როცა პატრიოტული ლირიკა ლრმა დასვენების ფაზაშია, სატრაფიალოში – ძველ, მრავალსაუკუნოვან მოდელებს ყავლი გაუვიდა და თუ გამოიყენება, ძირითადად ეპიგონურ ტექსტებში, ახალი მოდელები ჯერ მკვეთრად გამოკვეთილი არ არის და მხოლოდ არამყალიბების ნიშნებს ავლენენ. სამაგიეროდ, ლექსში არა მხოლოდ ძლიერდება ნარატიული პლანი, რომელიც თვით ყველაზე ლირიკულ ლექსშიც კი მუდამ მოსახლეობელია, არამედ პოეტურმა ნარატივმა (რაც ლიტერატურის ზოგიერთი მევლევარის მიერ ოქსიმორონულ სიტყვადშეხამებადაც კი მიიჩნევა), უკვე უანრადეცულმა, ლამის მთლიანად დაიკავოს ლირიკის ადგილი.

თუ უფრო მეაფიოდ შემოვწერთ ამ ნარატივის კონტურებს, უნდა ვაღიაროთ, რომ აქ უფრო საქმე გვაქვს ე.ნ. პოეტიზირებულ ყოფით ნარატივთან, რომელიც უკვე ტრადიციულად, თავისუფალი ლექსის ფორმით გადმოიცემა.

ამისაგან განსხვავებით, ნაირა გელაშვილის პოეზიაში ნარმმართველი – ლირიკული საწყისია. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლოდროინდელ ქმნილებებში მან აქტიურად დაიწყო ფორმობრივი წოვაციების შემოტანა, ოლონდ კვლავ ჩვენი „დასვენებული“, ტრადიციული, ლირიკული არსენალიდან. რიტმიკის თვალსაზრისით, აღსანიშნავია ამ ავტორის დაინტერესება პოლიმეტრით. მას დაძლეული აქვს თანამედროვე ქართული პოეზიისთვის უკვე ტიპობრივად დამახასიათებელი დიდ და მცირებესიკურ საზომთა კომბინაციებით შექმნილი საერთო ერთფეროვნება, მკითხველისთვის ადვილად გასაგებად რომ ვთქვათ, ათ და თოთხმეტმარცვლედთა

რიტმი.

აქ ნამდვილად არ მინდა, ნათქვამი ისე გამომივიდეს, თითქოს ამ მხრივ იგი ერთადერთია. შეიძლება დასახელება სხვა თანამედროვე ავტორებისაც, რომელნიც დაახლოებით ამავე გზას ადგანან. მე ვცდილობ, თავი მოვუყარო იმ ნიშნებს, რომელთა პროპორციული ერთობლიობაც ნაირა გელაშვილის იდიოლექტს ქმნის. ამ ეტაპზე აღნიშნულ ერთობლიობას ასე ვხედავ: გამორჩეული, მკვეთრი სათქმელი, ლირიკული ხმა, მეტაფორული ხედავ, ორიენტაცია პოლიმეტრისა და ზოგადად ფორმისაკენ და აუცილებლად მინდა აღვნიშნო, ლექსიკური სიმდიდრე, ამასთანავე, თავისებურად არაფლექსიბელური, ხორციანი ფრაზები, მძიმე ენა, რომელიც შესაძლოა, სათქმელის წონიანობითაც იყოს პირობადებული.

ზემოთ ნათქვამი რომ მეტისმეტად თეორიული არ გამომივიდეს, ვნახოთ მისი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი, გამოუქვეყნებელი ლექსი, სათაურით „ჭრილობა სიზრად“.

ეს სტროფონიდული ლექსი იწყება ანუ ამბემანური კატეგიით, რომელშიც საგრძნობია რაღაც რიტმული პულსაცია, პლუს ხალხური შელოცვების აღუზია:

ჭრილობა ვნახე წუხელ სიზმრად,
არ ვიცი – ვისი, ანთუ – ვისგან,
ანდა რით: ტყვით, ხაჯვით, შუშის
ნატეხითა თუ ვრძელი შუბით?
შემდეგ სტროფონიდებში უკვე აშკარად
წინ გამოდის რიტმული ორგანიზაციის
სახე და ეს არის ხალხური სიტყვიერების,
კერძოდ ნატირლების ცხრამარცვლედი:
მას კი არ უჩანდა, არა პირი,
რომ პირს შეიკრავდა, დანაპირი
არ მახსენდებოდა არავისგან,
და ქირურგს ვეძებდი ვანაპირას,
ვნახე, ვერ ვაეხსნა დანას პირი
მისი, იდგა და არ ესმოდა.

ანუ საქმე გვაქვს სპორადულად გარითმულ, ლიტერატურულ ხმით ნატირალთან, რომლის ფინალიც კვლავ რიტმულ „არაორგანიზებულობას“ ავლენს.

ცრემლი უშველიდა? მაგრამ
ცრემლისა ვლვრიდი,
თოთქოს გლოვა იდგა ირგვლივ დიდი,
ვიღაცა ამბობდა: „საზარელი“
და თვალი ძალით გავახილე.

ამ „არაორგანიზებულობას“ იწვევს ორ-მარცვლიანი სიტყვა „ცრემლსა“.

ვინც დაკვირვებია ხმით ნატირალთა სტრუქტურას, უთუოდ შენიშვნავდა ცხრა-მარცვლედში (5/4) ასეთი მოკლე და კი-დევ უფრო დიდი რიტმული ამოვარდნის მოვლენას, თავისებურ „სულისმოსათქმე-ლებს“, რომელიც ჩინდება იმპროვიზირების მომენტში და შემდგომში, გახალხურების გზაზე შეიძლება დაიკარგოს და შედეგად ლექსის რიტმი უკვე მთლიანად ცხრამარცვლედად გამნყობრდეს. რაკი ლიტერატურული ლექსის ავტორი მას იყენებს, ვფიქრობ, ჩანაფიქრით, გამოდის, რომ დატირების „ცოცხალი“ პროცესის გადმოცემა განუზრახავს.

ვცადოთ ფინალის ნაკითხვა „ამ სულისმოსათქმელის“ გარეშე.

ცრემლი უძველიდა? მაგრამ ვლვრიდი, თითქოს ვლოვა იდვა ირველი დიდი, ვიღაცა ამბობდა: „საზარელი“ და თვალი ძალით გავახილე. ვფიქრობ, აშკარაა, რომ არაფერი ირლვევა ლექსში არც შინაარსობრივ, არც სინტაქსურ და ასე შემდეგ დონეებზე, რაც ადასტურებს, რომ ეს ავტორისეული სტილური ჩანაფიქრია – ხმით ნატირლის ლიტერატურული იმიტირება.

ხმით ნატირლების განწყობისა და რიტმული წყობის გამოყენება თანამედროვე ლექსში სხვა ავტორებსაც აქვთ ნაცადი, მაგრამ, რაც ამ ლექსს მკვეთრი ინდივიდუალურობის ნიშნით აღბეჭდავს, არის სწორედ ის, რასაც გურამ ლებანიძე შინაგან სიტყვას, ხოლო მე მარტივად, სათქმელს ვუწოდებ. მოდით, ვცადოთ და ჩამოვაყალიბოთ, რა არის ამ ლექსის თემა და რას ამბობს ახალსა და მნიშვნელოვანს ავტორი.

ლექსის თემა რომ სიზმარია, ეს ინფორმაცია სათაურითვე გვეძლევა, ანუ ზედაპირზე დევს, მაგრამ რა არის ეს სიზმარი, რას გადმოვცემს იგი?

არის ეს ნინასნარმეტყველება თუ წარსულის რემინისცენცია, თავისებური, ქვეცნობიერი რესენტიმენტი? სიზმარი გადმოცემულია არა მისი ნახვის, არამედ გაღვიძების შემდგომ პროცესში, როგორც ჩვენი ძველები იტყოდნენ, „გამოტანილი“ სიზმრეული განცდა-შთაბეჭდილებაა, რომელიც ვერბალიზაციის

პროცესს განიცდის, ჩვენ – მკითხველს, მსმენელს. გვიყვება ავტორი. ასეთ დროს ჩვეულებრივ, პანიკური სიზმარი კარგავს ძველ სიმძაფრეს.

რას ნიშნავს სიმბოლიკა: სისხლი, ცრემლი, ბასრი იარაღები, დანა და ა.შ. – საუკუნეზე მეტია, ფრონდისტული ლიტერატურიდან ასე თუ ისე, იცის წიგნიერმა მკითხველმა. ამ ხაზს თუ გაპყვა მისი რეფლექსია, ლოგიკურად უნდა დაასკვნას, რომ აქ ნანინასნარმეტყველებია გარდაუვალი კონფლიქტი სექსუალურ ნიადაგზე... მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ლექსის ფორმა-შინაარსის გასაღებს ინახავს (მოდით, სხვა დროს ვიმსჯელოთ იმის თაობაზე, არსებობს თუ არა მხატვრულ ქმნილებაში წმინდად ფორმობრივი ან წმინდად შინაარსობრივი მხარეები) ამ პროფეტულ ლექსში საუბარია რაღაც გლობალურ უბედურებაზე. ლექსის დასახურისში ლირიკული გმირი ამბობს, არ ვიცი, ვის სჭირდა ეს ყველაფერიო, რამდენიმე ტაქპის შემდგომ კი ირკვევა, ჭრილობა – მისია, შეძრწუნებული ადამიანისა, მისი გადამრჩენიც არავინაა, მიზეზი კი სამყაროს გარდაუვალი კატასტროფაა, რომელსაც ცრემლი ვერაფერს უშველის და ეს ჭრილობაა წითელი ხარო „უკვე რომ გასდევდა მთელს სამყაროს...“, რომელზე „გლოვასაც“ (სიტყვა ფინალიდან) წარმოადგენს მთელი ლექსი, ანუ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ნინასნარი რეკვიემი უკვე დასაღუპად განწირული სამყაროსი.

თანამედროვე ქართული პოეზიის ერთი ნიშანი მისი ავტორების დაუძლეველი ეგოცენტრიზმიცაა. თუ გავიხსენებთ თეორიას პიროვნების ინტიმური, პიროვნული, სოციალური და პუბლიკური (ანუ სხვაგვარად, საჯარო) ზონების შესახებ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი თანამედროვე ავტორების მნიშვნელოვანი ნანილი კი ძლევს პიროვნული ზონის გარსს, მაგრამ ზოგს თანდათან უმძაფრდება საკუთარი ინტიმური ზონისადმი ყურადღება, ანუ მზერის ვექტორი კვლავ საკუთარ თავს, მანამდე ტაბუდადებულ შრეებს მიემართება, თანაც უფრო მძაფრად, მხოლოდ გამონაკლისნი გადიან სოციალურ არემდე, საჯარომდე გაღწევა – იშვიათია, ხოლო რაც შეეხება პი-

როვნების მიმართებას სამყაროსადმი, – ჩვენს პოეზიაში, სამწუხაროდ, ამ მხრივ უშვიათესი გამონაკლისები გვაქვს და ამ გამონაკლისთა რიგს მიეკუთვნება ლექსი „ჭრილობა სიზმარში“.

●
ერთხელ ერთ ინტერვიუში მკითხეს, სამეცნიერო მუშაობა პოეტობაში ხელს ხომ არ გიშლითო. მოვინდომე მეპასუხა, რომ პირიქით, რაკი ლექსმცოდნე ვარ, მეხმარება კიდეც, ზოგადად კი, ქართულ პოეზიაში მამაკაც პოეტთა გვერდით, ქალი-მეცნიერები ლიდერობენ. ვგულის-ხმობდი პირველ რიგში აკადემიკოს ანა კალანდაძესა და დოქტორ ლია სტურუ-ას, მაგრამ მხოლოდ ლიდერებზე ხომ არ გავჩერდებოდი, განა ლიტერატურას მხოლოდ ისინი ქმნიან? აკადემიკოს გუ-ჩა კვარაცხელიასაც შესანიშნავ პოეტად ვიცნობდი... ხომ საჭირო იყო, ეს ნაკლუ-ლოვანი პასუხი განმევრცო და მეთქვა, რომ არაერთი ცნობილი ქართველი პო-ეტი ქალი ამავე დროს ანგარიშგასაწე-ვი მეცნიერიცაა და ეს პროცესი ახლა – ქალთა უფლებების გაფართოების კვა-ლად კი არ დაწყებულა, არამედ საბჭოთა პერიოდიდანვე მომდინარე, უკვე ხანდაზ-მული ტრადიციაა. ცხადია, ჩამოთვლა ჩემი მეგობრითა და კოლეგით დალილა ბედიანიძით დავიწყე, მანანა ჩიტიშვილი მოვაყოლე და ვეღარ და ვეღარ გავჩერ-დი! მარტი შოთა რუსთაველის ლიტერა-ტურის ინსტიტუტში იმდენი პოეტი-მეც-ნიერი ქალი გამომივიდა, ვიფიქრე, ჩემი ამბავი რომ ვიცი, ვიღაც აუცილებლად გამომრჩება, თუნდაც სამსახურიდან და ტყუილად, გულს ვატკენ-მეთქი და რო-გორც მახსოვს, ამომწურავად ვუპასუხე: „არა!“ (აქ გაიღიმეთ!)

ეს ძველი ამბავი ნუციკო დეკანზიშ-ვილის შესახებ ფიქრმა გამახსენა. მგო-ნი, არ უნდა იყოს დარჩენილი ხელოვ-ნების არცერთი სფერო, ამ პიროვნებას ბავშვობიდან თავი წარმატებით რომ არ გამოევლინოს. როგორც მახსოვს, რაღაც სპორტული მიღწევებიც კი არის მის ბი-ოგრაფიაში. იგი ცნობილი მეცნიერი თუ არ ვცდები, თელავის უნივერსიტეტის პროფესორია და მაინც, ჩემი ფიქრით, იგი უპირველესად პოეტია, თანაც არა

რიგითი. პირადად მე მრავალი წელია, მი-სი მკითხველთა შორის მეგულება თავი.

ბარემ აქვე დავაზუსტებ: ნუციკო დე-კანოზიშვილი – ფსევდონიმია, საყვარე-ლი ბებიების სახელ-გვარების შეერთე-ბით მიღებული, ლიტმცოდნეობითი სა-მეცნიერო წრები კი მას დოქტორ ნინო გოგიაშვილად იცნობენ საქართველოსა თუ იტალიაში.

ადრე ვიზუარებდი აზრს, რომ ამა თუ იმ ავტორის შემოქმედება მხოლოდ მარ-თებულ კონტექსტში ჩასმისას ხსნიდა თა-ვის ნამდვილ არსა, სახეს და პასუხობდა მკითხველს. გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ამასთანავე მნიშვნელოვანია, სცა-დო ტექსტის ჩასმა არა მისეულ, არას-ნორ კონტექსტში. რა ხდება ამ დროს?! – მისი მხარები, რომელიც სწორ კონ-ტექსტში ვერ მნიშვნელობს, ვერ ვლინ-დება, არასწორში – უკეთ თვალსაჩი-ნოვდება, ვერ უგუება რა მისი მექანიზმი „არაკომფორტულად“ შერჩეული გარე-მოს სპეციფიკურ მიმართებებს. ნუციკო დეკანზიშვილის პოეზიის კონტექსტი, ჩემი ფიქრით, ევროპული რადიუსით უკ-ვე გამართული, თანამედროვე ქართუ-ლი პოეზიაა. აქ ეწერება ორგანულად, იგი არსით – გვიანმოდერნისტია. ერთია მხოლოდ, დღევანდელ საერთო ფონზე მისი შემოქმედება მაინც განცალკევებით დგას, ვფიქრობ, ამისი მიზეზი ის შეძლება იყოს, რომ კონვენციური ლექსის ტექნიკის კარგად დაუფლება, მას საშუ-ალებას აძლევს სიტყვას/სიტყვებს ლექ-სში დაუბრუნოს ის, რაც თანამედროვე ქართულ პოეზიაში იკარგება ან თით-ქმის დაკარგულია. ვგულისხმობ კავშირ-თა რთულ ბადეს, კონვენციურობას, რო-გორც მთელს სისტემას, რომელიც მო-იცავს მრავალ, ალბათ, ყველა ასპექტს ტრადიციული ლექსისა.

ვცადოთ უფრო ნათლად განმარტება: კონვენციური ლექსის კონვენციურობა მხოლოდ რომელსამე რიტმულ სქემას-თან შესაბამებული რეალურ რიტმი-თა და გარითმვის ტრადიციული წესით როდი შემოიფარგლება. იგი გაცილებით მრავალმხრივი, მრავალფეროვანია ლექ-სში, თუმცა ახლა ჩვენში, თავისუფალი ლექსის მეაფიო პრევალირების (უპი-რატესონბის) პირობებში, მისი ეს მრა-

ვალფეროვნება – ან მივიწყებულია, ან „მოხსნილია“ და სიტყვებს შორის ლამის მხოლოდ წრფივი სინტაქსური კავშირები, ბერძილა შემორჩენილი. ეს მეტნაკლებად შეეხება, როგორც ახლანდელ კონვენციურ, ასევე თავისუფალ ლექსებს.

ნუციკო დეკანოზიშვილის თავისუფალი ლექსების რიტმი ლექსის არა ერთი, რომელიმე, არამედ სხვადასხვა დონის განმეორებათა მთელი სიმრავლის მეშვეობით იქმნება. ფრაზები მაქსიმალურად რაფინირებულია, არაფერი ზედმეტი! პოეტური სახეთქმნადობის რამდენიმე ხერხს მივაპყრობდი მკითხველის ყურადღებას:

ეს არის ომომორფული თუ ომონიმური (ახლა ორივე ტერმინს თანაბარი წარმატებით იყენებენ) სიტყვების თამაშით სახის აგება. ამ ხერხს იგი იყენებს თავისუფალ ლექსებშიც და კონვენციურშიც, (მაგალითი – ქვემოთ) იგი მიმართავს აგრეთვე მნიშვნელობათა თამაშსაც ასევე ქმნის საყურადღებო, ოქსიუმოროვნებს „უსიკვდილოდ, მოვა სიკვდილი“ (ანუ აუცილებლად მოვა სიკვდილი), „უსიკვდილო სიკვდილი მინდა“ (ალბათ ქვეყნად აღარ-ყოფნა მინდა, ოლონდ კვდომის/ მოკვდომის, როგორც პროცესის გარეშე – ნ.დ.)

რაკი ნუციკო დეკანოზიშვილის პოეტური შემოქმედების შინაარსობრივი ასპექტის შესახებ არსებობს მაია ჯალიაშვილის შესანიშნავი წერილი, სათაურით „ნუციკო დეკანოზიშვილი“ და რაკი ჩემი შეხედულებანი ამ პოეტზე ძირითად ხაზებში სწორედ ამ წერილში გამოთქმულს ემთხვევა, დუბლირების თავიდან ასაცილებლად, ვცდილობ, ამ წერილში მისი ლექსების ფორმობრივ ასპექტს მივაპყრო მეტი ყურადღება. ზემოთ სწორი კონტექსტის შესახებ უკვე ვთქვი, ახლა ვნახოთ, მაგალითად, მისი გამორჩეული ლექსი „სეზამ გაიღე!“, მანამდე კი აღვნიშნავთ, რომ ამ ლექსის ავტორ-აქტორი, ლირიკული სუბიექტი... – ეს თავის დროზე მარჯვე ტერმინი უფრო და უფრო მოუქნელი ხდება ახლა, როცა თავისუფალი და მეტნაკლებად, კონვენციური ლექსიც კი ლირიკული პლანის რედუცირებისა და ნარატიულის დომინირების მკაფიო ნიშნით ვითარდება, მაგრამ ამ

შემთხვევაში ზედგამოჭრილია, რადგან ნუციკო დეკანოზიშვილი თანამედროვე ლირიკოსა. თავისი მხრივ, ცხადია, ეს არ გამორიცხავს მის ქმნილებებში ნარატიული ელემენტების მონაწილეობას. ამის გარეშე ლირიკული ლექსი ხომ წარმოუდგენელია!

საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის წინათ, „ცისფერყანელებმა“ ქართულ პოეტურ მემკვიდრეობაში დასაყრდენის ძიებისას, ასეთად ბესარიონ გაბაშვილის პოეზია მიიჩნიეს. საყურადღებოა, რომ ლექსში „ჩემი ხმა“ ნუციკო დეკანოზიშვილი დიალოგურ ურთიერთობაში სწორედ მასთან შედის. არსებობს ასეთი ცნობილი კვლევითი პოზიცია, რომ საკუთარი ტექსტის გაჯერება უშეულო თუ შორეულ წინამორბედთა ქმნილებებიდან ციტირებებით – პოსტმოდერნიზმის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. ამის თაობაზე მეგადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, მეჩვენება კი, რომ არსებობს საშიშროება, ამგვარი ოპერირებით პოსტმოდერნიზმამდელ პოსტმოდერნამდე, ანუ ქრისტემდელ ქრისტიანებამდე მივიდეთ.

ვფიქრობ, ნუციკო დეკანოზიშვილის ლექსს, რომლის ფრაგმენტსაც ახლა გთავაზობთ, ეს კვლევითი პოზიცია უნდა ედოს საფუძვლად. საგულისყუროა, რომ ლექსს, რომელიც, რეალურად ხმათა დიალოგს წარმოადგენს, სათაურად „ჩემი ხმა“ ეწოდება. რიტმულად ბესიკური საზომის თანამედროვე, ინდივიდუალურ „გადახალისებას“ წარმოადგენს. ხომ არ ნიშნავს ეს ავტორის პოეტურ განაცხადს, რომ საკუთარი, ინდივიდუალური ხმის საფუძველში ბესიკის, იმდროინდელი ესთეტიკის პირობებში უდახვენილესი პოეტის გამოცდილება უდევს? ყოველ შემთხვევაში, იგი ნამდვილად დახვენილი ხელწერის პოეტია:

ჩემი ხმა

„სევდის ბაღს შეველ შენაღონები“...
მე სევდის ბაღში მხიარულსაც
გამორბენია,
თითის წვერუბზე კვირტები რომ
მისკდებოდნენ,
ვარდისფერი ნიავი კრეფდა ხეზე
ძილილებს,

ახლაც აქა ვარ... ბალი ჩემია!
„მოკრეფად მსურდა ვარდის კონები“,
მოკრეფად მსურდა ზამბახები,
მაგნოლიები,
ვერხვის ფოთლები,
აქა ვარ, მაგრამ ვერ ვეხები
გველსა და სუროს,
და სურვილები ახდენამდე
ფერმერთალებიან,
რაც კი მინდოდა, რაც ავანთე და
რაც მნიშვნელია,
ქარმა ნაიღო.

ლექსი „სეზამ გაიღე!“, რომელიც ახლა
მინდა გაგაცნოთ ან გაგახსენოთ, მიჩნეს
ფიქრს, რომ იგი ხანგრძლივი, რუტინუ-
ლი გზის გავლის შედეგია, დაწერით –
უმოკლეს დროშიც რომ იყოს დაწერილი.
გაგიკვირდებათ, ალბათ, სად პოეტი და
სად რუტინაო, განა პოეზია სწორედაც
რომ ფრთხებით რუტინულობის დაძლე-
ვის გზა არ არისო? გარკვეული გაებით,
მართალიც იქნებით, მაგრამ ჩევეულებ-
რივ, ის, რაც პოეზიას, როგორც ხელოვ-
ნების დარგს, ლიტერატურას შემორჩება,
ვიდრე მკითხველს შეეგებებოდეს, თავის
„ასაფრენ ბილიკამდე“ საცალფეხო აღ-
მართ-დაღმართებით მიდის:

ვენეციაში წვიმაა, სეზამ...
სეზამ, გაიღე!
ვაიღე, სეზამ, მოწყველება –
კარის მმტვრუველი
ყველა სალოსის, მეძავის და
კათაკმეველის
ულოცველობა, უძრაობა, ვნება ვაიგე.

ვარგებ ვასალებს – (არ ვარვია
ჩემი წუთები!) –
დროს, და მუხლები მიკანკალებს –
სეზამ, გვხედავენ, –
როგორ ვძერდებით და
ვძარდებით ხელში შენ და მე
სიკვდილს – დღეებით,
წვეთ-წვეთობით, ჭეშვით, მუჯებით...

იცი ისიც, რომ შიშვე ვნერე,
დმერთხე, წვიმებზეც,
და მაინც, სულ სხვა წვიმა მოდის
ხანდახან, სეზამ,
როცა რიალოს ხიდის თავში
ვდვავარ და ვხედავ,
როგორ არ აღებ და არ მიმჩნევ,

სეზამ, მიმეტებ...

შიგნიდან კუვირი – შესამჩნევად
ჩემია დარდი –
გავშინაურდი, და ნარცისი
სახლების წყება
ხელებს მიწვდის და მექაჩება,
და გული მწყდება –
მიყვარდი, დღეებს მიმოკლებდი,
თან როგორ მგავდი...

და როგორ ვვავართ ჩვენ ერთმანეთს
– მუდამ დავნილონი,
შორს რომ ნავიდე – აღმომაჩენ,
ახლოს ვერ მხედავ,
რაღა აზრი აქვს ამ სიმხდალეს,
სეზამ, შეხედე, –
გზა „კაბირიას ლამეუბი“, ცირკი,
ფელინი..

რაღა აზრი აქვს სამოთხეებს,
როცა წვიმაა,
ვენეციაში წვიმაა, სეზამ,
და შენ არ აღებ!
მოწყველე ხელი ფრთხილად
ხურავს ვიწრო დარაბებს,
რომ არ დაგლანდო...
ვენეცია.

ხიდი.
წვიმაა.

ეს კატრენული წყობის ლირიკული,
კონვენციური ლექსი, (კვლავ ბესიკუ-
რი საზომის ვარიაცია) ასონანსურად,
მე ვიტყოდი „შორ-ასონანსურად“, თავი-
სუფლად არის გარითმული სქემით – აბ-
ბა, და ფორმობრივი სიახლის შთაბეჭდი-
ლებას ქმნის. ბოლო ფინალური კატრენი
სტრიქონებზე დაშლილია ტერფებად.

„სეზამ გაიღე“ – ანუ გაიხსენი, ცნობი-
ლი მაგიური სიტყვებია ათას ერთი ზღაპ-
რიდან, მაგრამ „გაიღე“; – სხვა მნიშვნე-
ლობასაც გამოხატავს, ეს მნიშვნელობაა
„გაეცი“. ზემოთ, როცა მნიშვნელობებით
თამაშზე ვსაუბრობდი, ასეთ შემთხვევებს
ვგულისხმობდი. ამავე ლექსში სხვა, ანა-
ლოგიური მაგალითიც გვაქვს:

ვარგებ გასაღებს – (არ ვარვია ჩე-
მი წუთები!) – რგება – ა) როგორც ერ-
თი საგნის მეორესთან შესაბამისობაში
ყოფნა და 2. რაიმეს სასარგებლობობა.
ლექსის კულტურული კონტექსტი ვრცე-

ლი და ლრმაა. იგი იქმნება ერთი მხრით, აღმოსავლური ლიტერატურის ლიად ექ-სპლიცირებული ალუზით, მეორე მხრით კი ანტიკური მითოლოგიდან ინდივი-დუალურ მეტაფორის სახით შემოაქვს, წყალში საკუთარ ანარეკლზე შეყვარებული ნარცისის ამბავი:

და ნარცისი სახლების წყება
ხელებს მინვდის და მექაჩება,

გარდა იმისა, რომ ეს სახე იმდენად ეფექტურია, მაფიქრებინებს, ნუთუ ამ ავტორამდე ვერავინ აღმოაჩინა, მართლაც როგორ ჰყავს წყალში მდგარი და შესაბამისად, თავისი სახლებით მუდამ მასში მაცქერალი მშვენიერი ვენეცია – ნარცისს, ხომ არ არის აქ კიდევ რაღაც მინიშნება არსებაზე, ადამიანზე, რომელიც, ფრონდისტული მოძღვრების მიხედვით, რაღაც ნარცისის კომპლექსს შეუპყრია. მიმართვის ობიექტი – „სეზამი“ ხომ თითქოს წარმოდგენილია და არც არის ამ ლექსში, ვინაა იგი, რატომ ემუდარება ლირიკული გმირი, მოწყალე იყავიო? ალბათ, ამაზეა ნათქვამი, ლექსი, რომელიც საიდუმლოს არ შეიცავს, არ გიტოვებს გამოცანას, პოეზიას არ შეიცავს.

დასასარულ, შეგვიძლია დავაჯამოთ ნუციკო დეკანოზიშვილის ლექსების საერთო სტილური ნიშნები, რომელიც ამ ავტორის ინდივიდუალურ სახეს გამოკვეთს: მას არ იტაცებს რაიმე მხატვრული სახის, გამომსახველობითი საშუალების თუ მხატვრული მიგნების მომეტებულად გამოყენება; ემარჯვება სიტყვათა და გამონათქვამთა მნიშვნელობებით სხვადასხვაგვარი თამაშები, ლექსს მოიაზრებს, როგორც ორგანულ მთლიანობას, რომლის კომპონენტებსაც: რიტმიკას, სონორულ ბერენერას, სახეობრიობას, ინტონაციას, სათქმელს და ა.შ. ერთმანეთთან ფილიგრინულად ახამებს.



გერმანიაში მცხოვრები ირმა შიოლაშვილი ქართველ პოეტ ქალთა იმ რიგს მიეკუთვნება, დაუღალავი ლიტერატურული საქმიანობით მრავალ სფეროს რომ სწვდებიან. პოეტი, მეცნიერი, მთარგმნელი, ჩვენი კულტურის პოპულარიზატორი გერმანიაში...

1992 წ-დან დღემდე გამოცემული აქვს ხუთი პოეტური კრებული, თარგმნილია არაერთ ევროპულ ენაზე. ბოლო დროს ირმა შიოლაშვილი ძირითადად თავისუფალ ლექსებს ქმნის. როგორ შეიძლება დახასიათდეს იგი, როგორც პოეტი? ზონათა თეორიას თუ გავიხსენებთ, იგი ძირითადად სოციალურ არეს ირჩევს, (მისი მიმართვის ადრესატია სოციალურად დისტანცირებული „შენ“) ამ ლექსებში უმტესად ორი პირისთვის დადგმულ წარმოდგენებს ვესწრებით, ამ ორი პირიდან ავტორი – მეტყველი მხარეა, მეორე მხარის მონაწილეობა კი იმით შემოიფარგლება, რომ დუმს და ისმენს, ისმენს ამბავს მეორე მხარის – ავტორის პოეტური თვალით დანახული და ინტერპრეტირებული საკუთარი მოქმედებების შესახებ. ეს ლექსები, მათში გამომჭვირვალი მკრთალი ინტიმური შუქის მიუხედავად, ჩემი ფიქრით, საბოლოოდ, მაინც სოციალური ზონის ფარგლებში რჩება. ირმა შიოლაშვილს აქვს ლექსების მცირე რაოდენობაც, რომელშიც პიროვნული ზონაა შემონერილი. მასთან სათქმელი – პირდაპირ – უიშვიათესად გადმოიცემა, იგი ტექსტისმილმაა და იგულისხმება, მაგრამ ლექსის ადრესატი თითქოს ნელი ბიძგებით მიჰყავს მისკენ და უქმნის პირობას, რომ ლექსის დასრულების შემდგომ დამოუკიდებლად მივიდეს იქამდე. მისი პოეტური ლექსიკა ორნამენტიკას მთლიანად გარიდებულია. მკვეთრ გამონათქვამებს, ეფექტურ მონასმებს თითქმის არ იყენებს. მისი ლექსის რიტმი იქმნება სხვადასხვა დონის გამეორებათა ბადით.

მაგალითად ასე:

აი ჩემი ოქტომბერი,
ჩემი სიმწვანეშეპარული ოქტომბერი,
ჩემი ვერვაყვითლებული ოქტომბერი,
ჩემი ბავშვობაგაუხუარი ოქტომბერი,
ჩემი გაზაფხულით სავსე ოქტომბერი,
ჩემი ემოციებით სავსე ოქტომბერი,
კალათაში მწვანეფოთლებჩაყრილი

ოქტომბერი,

ცხოვრების დასაწყისში მდგარი

ოქტომბერი,

თუქსმუტი ნლის გოვოს გულისნაირი

ოქტომბერი,

რეალობას ვერმენყვილებული

ოქტომბერი,

მწიფე ხილის ნაცვლად
ჩიტების ჟღურტულით სავსე ოქტომ-
ბერი,

სუგესტიის ეს ხერხი – ერთი და იმა-
ვეს განმეორებათა ამგვარი მკვეთრი სი-
ჭარბე ტექსტში – რეციპიენტის არსე-
ბაში ჰიპნოტურ ეფექტს იწვევს. რესის-
ტენტულობის დონე – ქვეითდება და ავ-
ტორის ნების დამყოლი ხდება, ხოლო ეს
ნება ოდნავ ირონიულადაცაა შეფერილი,
როცა ავტორი ამბობს, „ახლა უკვე შენი
საქმეა [...], როგორ შეეწყობა ერთმანეთს
ჩემი და შენი ოქტომბერი“. მეტაფორუ-
ლობა – ნაკლებად დამახასიათებელი ირ-
მა შიოლაშვილის აზროვნების წყობისათ-
ვის. იგი უფრო ფრაზის ნიუანსობრივად
გამართვისა და ფრაზისათა შორის ბმათა
ოსტატია, თუმცა მეტაფორასაც მიმარ-
თავს პოეტური ლოგიკის, როგორც ტექ-
სტის წარმმართველი პლანის უკეთ ასა-
მუშავებლად. ნათქვამი ისე არ უნდა გა-
ვიგოთ, თითქოს მას არ ხელენიფებოდეს
მეტაფორათა ქმნა. ეს უფრო იმას ნიშ-
ნავს, რომ შემოქმედების ამ ეტაპზე იგი
ასე მუშაობს პოეტურ ტექსტზე, თორემ
მას საქმაოდ აქვს დინამიკური მეტაფო-
რებით გაჯერებული ასეთი ლექსებიც:

ყოველთვის, როცა ერთმანეთს
ვხვდებოდით,
შენ გეჭირა ხელში აყვავებული
მომავალი,
გეჭირა ყვითელ ვარდებად და
იცინოდი.
ყოველთვის, როცა ვხვდებოდით,
მე გეჭირა ხელში ნარსულით

სავსე ჩანთა
და დაკარგულ დროს სინახულით
ვახარისხებდი.
შენი სიცილი და ჩემი
დაკარგული დრო
უცნაურად კვეთდნენ ერთმანეთს,
შენს სიცილს და ჩემს დროს
ერთმანეთი უგონოდ უყვარდათ
და ხელებზე ხან ვარდების,
ხანაც ნარსულის ეკლები

ეზრდებოდათ.

ირმა შიოლაშვილი პოეტი – ექსტრა-
ვერტია, საკუთარი არსებიდან გარეთ
მზერამიმართული, ამის გათვალისწინე-
ბით, მით უფრო მნიშვნელობას იძენს ფი-
ნალი შთამბეჭდავი ლექსისა, „მაშინ, რო-

დესაც ცეცხლმა დაწვა ბევრი შენობა“:
მე კი ნარსული მომყვებოდა იმ
შენობიდან
სადაც დამწვარი ნიგნებიდან ღმერთი
ბლაოდა,
მივბრუნდი და ვთქვი:
გადმოვიტან ყველა ნიგნის ყველა
გარუკანს,
გადმოვიტან ყველა ნიგნის
დამწვარ იმედს
ჩემს უცნაურ, ჭვარტლიან გულში,
შინაგან გზაზე ავაშენებ თეთრ
შენობას,

ის იქნება ჩემი სახლი,
ის იქნება ჩემი დიდი ბიბლიოთეკა.
„შინაგანი გზის“ პოეტური კონცეპტის
შემოტანა მაფიქერებინებს, რომ ზემოთ
ნახსენები ექსტრავერტობა, შესაძლოა,
მთლად ზუსტიც არ იყოს და ირმა ში-
ოლაშვილის სახით საქმე გვეინდეს პი-
როვნული ნებით მართვად, ინტროვერტ
პოეტთან.

დასასრულ, არ შემიძლია, არ აღვნიშ-
ნო ერთი საგულისხმო მომენტიც: ის,
რაც ევროპული ლექსის კონტექსტში სა-
ინტერესო ინდივიდუალობად აღიქმება
და მეც პირადად ასე აღვიქვამ, შესაძლე-
ბელია, ნაკლებ მიმზიდველი აღმოჩნდეს
თანამედროვე ქართველ მკითხველთა იმ
არცთუ მცირერიცხოვანი წყებისთვის,
რომელსაც გულზე აქვს ამოტვიფრული
ტიციანური „ლექსის მე ვუწოდებ მოვარ-
დნილ მეწყერს, რომ გაგიტანს და ცოც-
ხლად დაგმარხავს“.



როდესაც ქართველ პოეტს სამშობ-
ლოში ხუთი პოეტური კრებული აქვს გა-
მოცემული, ხოლო ევროპულ ქვეყანაში,
კერძოდ, გერმანიაში – დროის არცთუ
დიდ მონაკვეთში – უკვე ოთხი, გერ-
მანულენოვან ლიტერატურულ გარემოში
მისი საქმიანობის სხვა მიმართულებების
შესახებ რომ არაფერი ვთქვათ, შეგვიძ-
ლია დავასკვნათ, რომ ბელა ჩეკურიშ-
ვილი ავტორთა იმ მცირე სიმრავლეს
მიეკუთვნება, საერთაშორისო ლიტერა-
ტურულ ასპარეზზე უკვე თავისი გზა-სა-
ვალი რომ აქვთ გაჭრილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული
ქვეყნებიდან სწორედ გერმანიამ გაუ-

ღო კარი ყველაზე უშურველად ქართულ კულტურას, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ზოგიერთი რუკაზე ძლიერ აგნებდნენ ჩვენს პატარა ქვეყანას და მანვე ჩვენს კულტურულ მეურვეობას მყარი საფუძველი ჩაუყარა.

აქ – გერმანიაში მოღვაწე ან განათლებამიღებული მთელი წარმატებული თაობის, უფრო ზუსტად, უკვე რამდენიმე თაობის წარმომადგენელთა დასახელება შეიძლებოდა, ჩვენი წერილების ციკლი ქართულ პოეზიის კი არა, ქართულ-გერმანული სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობის საკითხებს რომ ეხებოდეს.

მინდა ხაზგასმით აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი მომენტი:

როდესაც თითქმის ამ ათი წლის წინ ბელა ჩეკურიშვილმა გერმანიას მიაშურა, იგი საქართველოში უკვე შემდგარი, ცნობილი ჟურნალისტი და პოეტი იყო. ამ ხაზგასმის მერე აუცილებლად წამოიჭრება კითხვა: კერძოდ, რა მისცა ჩვენს ავტორს გერმანულ ლიტერატურულ-კულტურულ გარემოსთან უშუალოდ ზიარებაზე.

პირადად მე ბელა ჩეკურიშვილის ნაწერებს კარგა ხანია, ვიცნობ და შემიძლია ვთქვა, რომ მისმა შემოქმედებამ რამდენიმესაფეხუროვანი ტრანსფორმაცია განიცადა. რამდენადაც მახსოვს, ამის შესახებ უკვე გამოითქმული მაქვს აზრი, ორი წლის წინ გამოცემული, მისი ბოლო, ქართულენვანი კრებულისათვის („ნანას ცხენი“, 2020) დართულ გამოკვლევაში. მარტივად შემეძლო აქ ჩემი მაშინდელი დასკვნების გამეორება, მაგრამ მკითხველი რომ არ დავლალო თვითციტირებებით, უჯრედებისა, მოკლედ დავასახელო ორი რამ: მისი სხვადასხვა პერიოდის ლექსთა ერთი – მთავარი განმასხვავებელი და მეორე – მამსგავსებელი, გამჭოლი ნიშანი.

ამ საუკუნის დასაწყისში მისი პოეტური ხმა, განსხვავებით დღევანდელისგან, თუ შეიძლება ასე ითქვა, ხანგრძლივი მუტაციის ფაზაში იყო და ჯერ კიდევ გამოუკვეთლად ისმოდა ახალთაობელთა სიმრავლეში. იგი მოქცეული იყო იმდროინდელი, ტრანზიციული პერიოდის კოლექტიური ცნობიერისა და ასევე, კოლექტიური ქვეცნობიერის საზღვრებში, უტრიალებდა საერთო-პოეტურ გარემო-

ში აქტუალიზებულ თემებს მითოლოგიდან, ფოლკლორიდან თუ მითოლოგიზირებული დასავლური ლიტერატურებიდან. თუმცა ალუზიებითა და რემინისცენციებით გაჯერებულ მის იმდროინდელ ლექსებში იმთავითვე იგრძნობოდა გამორჩეულად წრფელი ინტონაცია, რომელიც დღემდე მისი სამარკო ნიშანია. ბოლოდროინდელი ლექსები კი საცნაურს ხდის, რომ ყოფითი რეალიზმი – მისი ნიშა აღმოჩნდა. მისი სოციალური პოეზია, რეალისტური ნარატიული ლექსი, რომელსაც თავისუფალი ფორმა აქვს, უპირველესად ყურადღებას იპყრობს ლირებულებითი თვალსაზრისით. ...აქ მინდა სიცხადისათვის დავაზუსტო ერთი რამ – მასზე თქმული ყოველი აზრი შეეხება დღევანდელ ბელა ჩეკურიშვილს, მე არ ვიცი, შეიცვლის თუ არა იგი ლირებულებით თუ სოციალურ ორიენტირებს, ესთეტიკურ სტატუსს ხვალ, რა გზით წაიყვანს საკუთარ შემოქმედებას და ამ მომენტში არც რაიმეს პროგნოზირება და ამით მისი თავისებური პროგრამირება მიმაჩნია სწორ საქმედ.

სდექ! როდესაც ბელა ჩეკურიშვილის გულწრფელ ინტონაციასა და ხმაზე ვამახვილებ ყურადღებას, ამით ხომ არ ვენინაალმდეგები საკუთარსავე, მრავალგზის გამოითქმულ აზრს, რომ პოეზიაში, როგორც ხელოვნების დარგში, როდესაც გულწრფელობას ვეხებით, ხელოვნების თამაშური ბუნების გათვალისწინებით, საქმე გვაქვს „ნათამაშევ“ გულწრფელობასთან.

მგონი, აქ აზროვნებით ჩიხს მივადექით და გამოსავალი, ალბათ, შემოქმედებითი პროცესის სპეციფიკაშია საძიებელი. როგორც წესი, ლექსის თავდაპირველი ჩანაწერი, „დრაფტი“ ან „პრეპოემი“, როგორც მას უწოდებენ, საბოლოო სახის მიცემამდე ინდივიდუალურ შემოქმედებით გადაწყვეტილებათა რთულ გზას გადის. უკვე გამოცდილი ავტორი ირჩევს, რა დატოვოს ტექსტში ხელუხლებელი, რა ამოაკლოს, რა ჩაამატოს, რომელი ნაწილი ტექსტისა რა დონემდე და როგორ დაამუშაოს, როგორ გამართოს კომპოზიცია, ხოლო საბოლოო ტექსტი არის ავტორის გადაწყვეტილებათა საბოლოო შედეგის მაჩვენებელი (ეს წესი ნაკლე-

ბად ან საერთოდ არ ვრცელდება დამწერება ავტორებზე, ასევე ფოლკლორით ნასაზრდოებ, კლიშე-სახეებით აგებულ ლექსებზე, რომელთაც იქნება საკუთარი მომხობლაობა არც აკლდეთ) ამის გახსენება მაფიქრებინებს, რომ თავდაპირველი გულწრფელობა, რომელიც ბელა ჩეკურიშვილის ლექსების დამახასიათებელი, თანმომყოლი თვისება იყო ოდესაც, დღეს უკვე არა ძველი ინერციის, არამედ შემოქმედებითი არჩევანის შედეგადაა ექსპლიცირებული მის ლექსში, ანუ ამჯერად საქმე გვაქვს არა – ბუნებრივ, არამედ მხატვრულ გულწრფელობასთან, რომელიც ზედმინევნით ერგება მის პოეტურ იმიჯს. ადრე სხვა სიტყვებით ნათქვამი მაქვს და ახლა ვიმეორებ, რომ ბელა ჩეკურიშვილს – პოსტსაბჭოთა გარემოს პირმშოს, გერმანულმა, უცხო ლირებულებითმა გარემომ, ბოლოდროინდელმა პიროვნულმა, ესთეტიკურმა და სოციალურმა ზრდა-განვითარებამ, ახალმა დისტანციამ საშუალება მისცა, ახლიდან „გადაეკითხა“ არა მხოლოდ საკუთარი ბავშვობა, არამედ მთელი წარსული, როგორც პოეზიის ნედლეული. ახლიდან, ახალი სამზერიდან შეეფასებინა და გადაეფასებინა იგი. მაგალითად, ახლიდან გააზრების შედეგად, ბავშვობის იდილიური ოჯახური გარემო, ლექსის „მანანის ფაფა“ მიხედვით, სინამდვილეში, თანამედროვე ევროპული თვალთახედვით, ძალადობრივი ყოფილა და პოეტის ნატურაზე ასეთი ლრმა, სამუდამო კვალი დაუმჩნევია:

ნებოვანი და ტებილი ფაფა –
ჩვენი ბავშვობის სასჯელი,
მამის ხათრით, ბებოს ხათრით, მწვანე
მატარებლის ხათრით გადაყლაბული
მთელი ცხოვრება ყიპურებს ყელში,
და მახსენებს,
თუ მინდა, რომ ვუყვარდე და არ
მომისულონ,
ანდა, რაც მიყვარს, არ დამინგროონ,
არ წამართვან, არ დამიმალონ,
უნდა ავდგე და უსიტყვოდ
გადავყლაბო
რაც დადგენილი და დანერილია,
რაზეც თაობები გაზრდილან და
დაბერებულან,
რაც ნაცადია.

უნდა მოვითმინო,
თვალები დავხუჭო და თავი
მოვაჩვენო

რომ მიხარია,
ოძოლი რომ არა ვარ და თან
ფაფაც მაქვს,
რომ მათი ოჯახის ნანილი ვარ,
მათი მსვავი, უტყვი ნანილი,
თორებ სასჯელს ვერ გადავურჩები,
შემისულებები, დამინგრუვენ,
ნამართმევენ, დამიმალავენ...

ლექსი „რა ვიცი მამაჩემზე“, მკითხველის სულის სიმებს მტკივნეულად რომ ეხება, შეიძლება გავიაზროთ, როგორც ჩაბრუნება საკუთარ გენეზისსა და ქვეცნობირში, საკუთარი თავის წაკითხვის, ახლებურად თვითშემცნების ცდა „მამის კოდიტ“. სხვაგან, ლექსში „მორჩილება“, იგი, როგორც ლირიკული სუბიექტი ამბობს:

ნავიდეთ, საკუთარ თავს მაინც
შემოვუაროთ,
თუ გზას ვერ ვიპოვით, ნერ
მაინც შევკრათ,
აქამდე ხომ მხოლოდ მის
გარშემო დავდიოდით,
მოდი, ახლა ჩვენი თავი აღმოვაჩინოთ.

წელან აღვნიშნე, რომ ადრეულ შემოქმედებაში მას არცთუ მცირე რემინისცენციები და ალუზიები ჰქონდა, ამ ეტაპზე კი ლამის მეტაფორულ სახეთქმნადობაზე მთლიანად თქვას უარი. რეალობის ასახვის ასე ვთქვათ, რაც შეიძლება, „ფოტოგრაფიულ სტილს“ ირჩევს. ახლა პოეტური ფრაზა მთლიანად განტვირთული აქვს ორნამენტიკისაგან.

ჩამეთვალოს ამ ავტორისადმი პირადი სიყვარულის გამოხატულებად, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა, რომ იშვიათია ჩვენში პოეტი, მეტადრე ქალი, რომელსაც შეუძლია, ასე წრფელად გველაპარაკოს რაზე და სიგარეტის „ბიჩოკებზე“, რომელიც მხოლოდ ფასადია და რომლის მიღმიდან ჩვენი გაუხარლობით სავსე, ტკივილიანი ყოფა თვალს თვალში გვიყრის. ეს არის ლექსი „ნამწვავები“, რომლის აქტორიც უცხოეთში ქვაფენილზე დაყრილ ნამწვავებს შესცექის და მწეველის თვალით ზომავს, თან კი იხსენებს მძიმე დროს და როცა გეკითხებიან, რა ხდებოდა შენს ქვეყანაში,

როცა ერთ დღესაც საბჭოთა
კავშირი აღარ იყო,
როცა ნანატრი თავისუფლება
შენს თაობას ფანტიზით ერგო,
ის სიგარუტის ნამწვავები გახსენდება
ქუჩაში, ტროტუარის კიდედან
აღეძული.

ეს არის უბრალოდ, „არაესთეტურის ესთეტიკა“, რომლის პრეცედენტებიც ლიტერატურამ გაცილებით ადრეული საუკუნეებიდან იცოდა და რომლის მოდაც თან სდევს პოეზიას მოდერნიზმის დასაწყისიდან დღემდე, ეს ტყივილია, რომელსაც ლექსის ფინალი ასეთ განზოგადებამდე მიჰყავს:

ჩვენი სიყვარულიდან
ჩვენი სტუდენტობიდან
ჩვენი თავისუფლებიდან
მხოლოდ სიტყვები დაგვრჩს
რომლებიც აი, ლექსებად ვაჯციეთ
და ვცდილობთ,
იქნებ ახალ სამყაროს
სიტყვების ამ ნარჩენებით მოვულოთ
გული,
სივარუტის ფული რომ გვქონდეს.



ქეთევან ნათელაძის (1993) სახელი უცხო არ არის ქართველი მკითხველი-სათვის. იგი, სკოლის ასაკიდან მოყოლებული, ხშირად აქვეყნებდა საკუთარ ნანარმოებებს და დღეს რამდენიმე კრებულის ავტორია. რამდენადაც ჩიმთვის ცნობილია, მისი ლექსების ახალი წიგნიც მაღალ იხილავს დღის სინათლეს.

მისი ლექსების კითხვისას მეფიქრება, რომ ჩვენს თხუთმეტსაუკუნოვან ლიტერატურას, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეში და იქნებ ადრეც, უამრავი თეთრი ლაქა დაუგროვდა და ეს თეთრი ლაქები მომავლის „გამფერადებლებს“ მოელიან. ვგულისხმობ იმას, რომ მუდმივი, საფეხურებრივი განვითარებისთვის არახელ-საყრელმა პირობებმა არ მისცა ჩვენს ლიტერატურას შესაძლებლობა, სრულყოფილად, ორმხრივად ყოფილიყო ჩართული, გნებავთ ევროპულ, გნებავთ აზიურ კულტურულ კონტექტში. მუდმივად გვქონდა ხანმოკლე ჩართვებისა (განათებებისა) და ხანგრძლივი ამორთვების ფაზური მონაცვლეობა. ამ მოვლენას დღეს რაღაც და-

დებითი მხარეც ეძებნება. თანამედროვე ავტორს აქვს იმისი საშუალება, რომ საკუთარი, ახალი ქმნილებებით შეავსოს ეს თეთრი ლაქები. ამგვარი პოეზია არავითარ შემთხვევაში არ იქნება ჩვენთვის უკან გადადგმული ნაბიჯი, უფრო პირიქით, ძალზე თანამედროვედაც კი შეიძლება ულერდეს, როგორც ქეთევან ნათელაძის შემთხვევაში. ჩემი ფიქრით კი, მის ლექსებს ადგილი იქ ეძებნება, სადაც მამაკაცი ავტორები: პ. იაშვილი, ი. გრიშაშვილი, გრ. რობაქიძე და ა. შ. მაშინდელი ქართული კულტურის რეცესიული ბუნების გამო, რომელსაც ისინი უპირისპირდებოდნენ, მონადინებულნი იყვნენ, მოეგონებინათ პოეტური სახე-კონცეპტი ქალისა, რომელიც საკუთარ ეროტიკულ განცდებზე გულწრფელად ილაპარაკებდა, თუმცა ილაპარაკებდა იმდროინდელი „ადრემოდერნისტული“ ესთეტიკის შესაბამისად, სიმბოლურ-ალეგორიული ენით. მათ შექმნილ ქალს, როგორც პოეტურ კონცეპტს ადგილი უნდა დაეკავებინა ედგარ პოსა თუ ოსკარ უაილდისებრ ცხად-სიზმრულ გარემოში, რომელსაც შესაბამისი ანტურაჟიც ექნებოდა და ეს, დასახელებულ ავტორთაგან თითოეულმა საკუთარი ინდივიდუალობის კვალობაზე განახორციელა.

არ იქნება მართალი, რომ ვთქვა, თითქოს საქანებით ვიცნობ ქეთევან ნათელაძის პოეზიას. ჩემს ხელთ არსებული ოციოდე ლექსით კი ამგვარი ფიქრისკენ მიბიძებს და არც ისაა გამორიცხული, რომ ვცდებოდე, რაკი დინამიკას მისი შემოქმედების განვითარებისა სრულად ვერ ვაწვდენ თვალს. ჩემი ფიქრით, მისი ლექსებს ტექსტურ დონეზე, ალაგ-ალაგ დამუშავება უნდა აკლდეს. დაოსტატებისკენ სწრაფვით ეს რთული დასაძლევი არ არის.

სალექსო ფორმის მხრივ – მისი ნოვაციები არ არის იმდენად თვალშისაცემი, რომ მათზე მკითხველის ყურადღების მიმართა ღირდეს. უფრო საყურადღებოდ მესახება ინტონაციური პლანი, პოეტური ლოგიკა, რომელსაც იგი სახე-კონცეპტთა ბმისთვის იყენებს. მის სტილურ თავისებურებად უნდა ჩაეთვალოს ლექსის კომპიზიციის შეკვრა ფინალში მომარჯვებული მახვილგონივრობით;

მახვილგონივრული ფრაზა-კონსტრუქ-
ციის მეშვეობით ძლიერი აქცენტის დას-
მა ფინალში, რაც თავისთავად უძველესი
ხერხია, თუმცა ჩვენში – შედარებით მი-
ვიწყებული. აღსანიშნავია, რომ მას აქვს
ე.ნ. ორმაგფინალიანი ლექსებიც. კლასი-
კური მუსიკის მოყვარულები უფრო ად-
ვილად მიხვდებიან, რას ვგულისხმობ.

მაგ. ლექსში „გოგოები საკვირაო წირ-
ვებიდან“ ეს არის პირველი ფინალი ლექ-
სისა:

მათი ცხოვრების მუსიკა ქარი
ხეებში,
მათი ცხოვრების პეიზაჟი – ხეები
ქარში,

ამას უშუალოდ ებმის მეორე ფინალი:

და იბზარებიან ლავანდებივით,
და ჭერებიან ლავანდებივით
გოგოები საკვირაო წირვებიდან –
გაათავისუფლე, ღმერთო!...

ქეთი ნათელაძე – ლირიკოსია... მახ-
სოვს ერთხელ ვცდილობდი, რაც შეიძლე-
ბა მარტივად ამესნა ჩემი ბავშვისთვის,
რა განასხვავებს ეპიკასა და ლირიკას და
ასეთი რამ მოვიფიქრე. რა ფორმაც არ
უნდა ჰქონდეს მხატვრულ ტექსტს, თუ
გრძნობებს გადმოგვცემს – ლირიკაა, ხო-
ლო თუ მოქმედებებს – ეპიკა. ნებისმიერ,
თვით ყველაზე ლირიკულ ნაწარმოებსაც
კი ეძებნება რალაც, თუნდაც მკრთალად
შემონერილი ნარატიული ჩარჩო. მარტი-
ვად რომ ვთქვათ, ყოველთვის არსებობს
რაღაც ამბავი ტექსტშივე ან ტექსტსგა-
რეთ. განსახილველი ლექსების ერთია-
ნი ნარატიული ჩარჩო ასე შეიძლებოდა
შემოგვენერა. ეს არის ამბავი ვნებიანი
ქალისა, რომელიც იგონებს მარტობის
ღრებზე აგებულ საკუთარ წარსულს:

ჰვავდა ბავშვობა მზეში გამდანარ
ცვილის ფივურას,
უცლიდა ფერებს და განწყობას,
როგორც კლიმატი,
როგორც მთავრდება ფოთოლკვენა,
ისე დამთავრდა...
და ჩემში დარჩა, რადგან იყო
გენეტიკური,
ის ცის ნაპირი, ის ღრუბლები, ის
კომეტები,
რომელთაც დიდხანს თეთრ თოახში

დედა ხატავდა.

ხოლო მოქმედებათა არე – ანმყოს
ეროტიკული ველია. ეს – გრამატიკუ-
ლად – ანმყოსა და მყოფადის – პირველი
სერიის ზმნები სიჭარბით გადმოიცემა.
მომავლისდმი – მისი დამოკიდებულება
ბრძანებითი ინტონაციებით არის სავსე.
საბოლოოდ, იკვეთება ახალი ტიპის –
ძლიერი ნების ქალი, რომელიც უკვე ჩვე-
ნი პოეზიისთვის ტრადიციულ უმწეობას
კი არა, საკუთარ მძაფრ, ვნებიან ნებას
ავლენს... ეს ორი სიტყვა თითქოს სიტყვა
ვნებაში მიმალულ მნიშვნელობას (ვნებას)
აღმოგვაჩინიებს:

ვნება, როგორც ნება!
სუვით ჰაერი ცოტავდება, არ
იძვროს ქარი,
სათქმელს კი, როგორც პურის
ნატებს, ედება ობი...
ჩაიუსე შენი სიყვარული, რომ
ვიყო ქალი,
რომ სასწაული მოვაკლინო და
ღმერთი ვშობო.



ნინა სამხარაძე (1994), ჩემთვის ცნო-
ბილ იმ ავტორთა შორის, ვისზეც ახლა
ვსაუბრობთ, ყველაზე ახალგაზრდაა, ფი-
ზიკური ასაკითაც და შემოქმედებითი
სიმწიფის თვალსაზრისითაც.

და თუ მართლა არსებობენ პოეტი-
ბავშვები და პოეტი-ჭაბუკები, მაშინ შე-
იძლება ვთქვათ, რომ იგი ამჟამად პოეტ-
ბავშვთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ.

ამ რიგს ზოგჯერ ასე ახასიათებენ:

მათი პოეტური მზერა ძირითადად სა-
კუთარი ბავშვობისადმია მიპყრობილი და
მკითხველის ნინაშე გამოაქვთ ნაწარმო-
ებში ინტერპრეტირებული თავისი ფსი-
ქობიოგრაფია. ისიც ნამიკითხავს სად-
ლაც, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ,
უნდა დავეთანხმო თუ არა, რომ ბავშვო-
ბისადმი გამძაფრებული ყურადღება პო-
ეტური ნატურის იმ ადამიანებს ახასია-
თებთ, ვისაც რაიმე ხასიათის ფსიქიკუ-
რი ტრამვა აქვთ გადატანილი ადრეულ
ასაკში. შეიძლება, ის ტრამვა ცნობიერად
აღარც ახსოვდეთ, მაგრამ საკუთარი
ქვეცნობიერი რაღაც, ტაბუირებულ ზო-
ნებს მუდმივად უტრიალებს, ინტერპრე-
ტაცია და ვერბალიზაცია კი იმისა ხდება,

რაც ქვეყნობიერებიდან ამოტყორცნილი ინფორმაციიდან ავტორის ცნობიერ კონტროლს ექვემდებარებათ.

ნინა სამხარაძის ლექსებში გვხვდება მომენტები, რომელიც ბავშვური ფობიების ამბავს გადმოგვცემს. ერთი ასეთი ფობიას სიპრელის შიში. ერთგან იგი საკუთარ, შინაგან ბავშვს ასე მიმართავს:

ნუ გეშინია.

*ეს სიბრელე დამეა მხოლოდ,
ზამთარგამოვლილ ფოსლებივთ
დახვრეტილ ფარდებს განევს
ვიღულ და
დარწმუნდები, რომ ლოგინის ქვეშ
არავინ ცხოვრობს,
რადგან ურჩხულებს პინა მოსწონთ
(ლოგინის ზემოთ) –
ადამიანთან.*

ასეთი ავტორები ძირითადად წარსული დროის ზმნებს იყენებენ, ცხადია, ანტყო დროის ზმნებიც აქვთ, მაგრამ როგორც წესი, ეს ზმნები უფრო მდგომარეობას გამოხატავს, ვიდრე მოქმედებას. მომავლის გაგების მქონე ზმნები კი უიშვიათესია. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ნინია სამხარაძის პოეტური ფრაზა მსუბუქია, სადა, არ არის გადატვირთული არც ხშირი ალუზიებით, მისი პოეტური მეტყველება ნაკლებად მეტაფორულია, ეპითეტებიც კი მინიუმამდეა დაყვანილი, მისი რაფინირებულობისკენ მიმართული სტილი უფრო შედარებებისაკენ იხრება.

ძნელი წარმოსადგენია ავტორი, პოეტი, რომ არ რჩებოდეს გარკვეული დაუკამაყოფილებლობის გრძნობა, საკუთარი შემოქმედების შესახებ თუნდაც საქებარ აზრს რომ წაიკითხავს და ამას თავისი ახსნა აქვს. გამოქვეყნებამდე ლექსი ავტორის საკუთრებაა, დაისეჭდება და იგი უკვე ფოსტის ყუთში ჩაგდებული, რაიმე ფორმით მკითხველთან გაგზავნილი წერილია, მესიჯია, რომელსაც თუკი გზავნი, ვეღარც გაეკიდები და ვეღარც ყუთიდან ამოიღებ. ვეღარ წაშლი.

მოდის მკითხველის ჯერი. მკითხველს კი თავისი თეზაურუსი და მოლოდინები აქვს. შესაძლებელია და მოსალოდნელი, მან ავტორისაგან განსხვავებული, სრულიად სხვა რამ წაიკითხოს და დაინახოს ტექსტში. მეტსაც ვიტყვი. თეორიულა-

დაც კი წარმოუდგენელია, ვინმე X მკითხველმა ზედმინევნით ისე გაიგოს პოეტური შეტყობინება, როგორც ავტორმა ჩაიფიქრა ან გამოუვიდა. აი, მაგალითად, ხომ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამ ლექსში, რომელსაც ახლა გაგაცნობთ, ვინმე ისეთი პიროვნება იგულისხმება, ვისდამიც მტკივნეულად ახლო ურთიერთობა უნდა აკავშირებდეს ლექსის ლირიკულ გმირს და ლექსში მისი სიკვდილის შესახება საუბარი?! მაინც, ერთი სიტყვა, სულ ერთი სიტყვა მიბიძგებს, რომ მკვდარში – საქართველო ამოვიკითხო და ლექსი პატრიოტული ლირიკის უანრს მივაკუთვნო. ეს სიტყვაა მრავლობითში დასმული „საფლავებს“.

ეს რომ შედარებით სუსტი ავტორის ტექსტი იყოს, იქნებ ასე არც ჩავლრმავებოდი და მეფიქრა, უბრალოდ, ლექსის რიტმული ქარგისთვის ინერციის მოსარგებად მარცვალი დასჭირდა და „საფლავი“ მრავლობითში იმიტომ გადაიყვანა-მეტქი. სცადეთ, წაიკითხოთ ეს ლექსი ისე, რომ „შენ“-ში სამშობლო ჩასვათ! ლაგდება და ჯდება თუ არა ყველაფერი თავის ადგილზე?

*შენ მე მომიკვდი,
მაგრამ სხვები გმარხავდნენ ნუხელ.
ჩემი მკვდარი ხარ,
მაგრამ სხვები მოხვეუნ სამძიმარს
და ბავშვის სახით
შენს საფლავებს დამცველად უზის,
მათი სიბრაზე,
მათი შერი, მათი დაცინვა...*

თუ არა ამგვარი ინტერპრეტაცია, ვფიქრობ, მკითხველისთვის სრულიად გაუგებარია, იმ მკვდრის საფლავზე (საფლავებზე), რომელსაც ლირიკული გმირი, როგორც „ცოცხალს“ ესაუბრება, „ბავშვის სახით“ მაინც რატომ უნდა იჯდეს ვინმე სხვათა სიბრაზე, შური და დაცინვა.

ნაწილობრივი შენიშვნა, რომელიც სხვა ლექსს ეკუთვნის: დაახლოებით ერთი საუკუნის წინ გრიგოლ რობაქიძემ თავის ცნობილ ეროტიკულ ლექსში თქვა, „ტანს გეტმასნება სველი ალერდიო“.

„ალერდი“ ენოდება სიმინდის ნედლ ჩალას, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ სიტყვამ თანამედროვე ქართულ პოეზიაში ზოგადად, ეროტიკულობის კოდი შეიძინა და

სამაგიეროდ, სემანტიკური მხარე გამოეცალა. ეს რომ იყოს პირველი და ერთადერთი შემთხვევა, ყურადღებას არ გავამახვილებდი, მაგრამ სხვაგანაც, ბევრგან შემხვედრია ეს ამბავი. ვნახოთ ლექსი:

ავდარს გააჩნია.

დარი არ მადარდებს,
წვიმს და რა ხანია,
ვლებები აღერდებით,
ხელებს გააჩნია,
თვალებს გააჩნია,
ძკლავებს გააჩნია,
ვისშიც დავბერდები.

ჩვენს გულგამოციებულ დროში ნინა სამხარაძის ლექსი „ანგელოზებმა გაკოცეს“, ისეთ სიმებს ეხება, მეეჭვება, უგრძნობლად დატოვოს რომელიმე მკითხველი, ხოლო ფინალური, გულისტყივილიანი ამოძახილი, რომელიც მრავალზროვნად არის გამოთქმული, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს მკითხველს: ზემოთ ორმაგი ფინალის მხატვრული ხერხის შესახებ გვქონდა საუბარი. ვფიქრობ, ეს ლექსი კიდევ ერთ ასეთ ნიმუშად გამოდგებოდა.

„ანგელოზებმა გაკოცეს“

ამბობდა დიდი ბებია ყოველ ჩემს
ვალიმებაზე,
უყურებდა ღრმულს ლოგაზე.
მას შემდეგ გველი რომ ტყავს
რცვლის,
იმდენჯერ შევიცვალე.
„ანგელოზებმა ნაიყანეს“
მითხრეს, როცა დიდი ბებია
ვარდაიცვალა.
ყოველ დღე ანგელოზებს ვეძებ.
მარჯვენა მხარზე, ადამიანში,
ცისარტყელაზე...
ძალიან მინდა ნამიყვანონ.
იქ, სადაც ღიმილისგან ლოგა
დამეჩვრიტება.
„ნახე კიდევ მარტო მოვიდა“
ჩაილაპარაკა ბავშვმა მამების
კრებაზე,
იქაც გავიღიმე რატომძაც..
სამაგიეროდ, მე ანგელოზები
ძკლუნიან...
და მაინც.. რომ არსებობდნენ..
საბოლოოდ კიდევ ერთ მომენტს შე-

ვეხები.

ეს არის პოეზიის ველში შემოტანილი ყოფითი სიტყვისთვის („ჭარბი“) ახალი სიცოცხლის, ახალი გამომსახველობის მინიჭება, მასში ჩადებული, დღემდე დაუნახავი რაღაც პოტენციის, რესურსის პოეტური აქტუალიზაცია... ადრე პროზაიზმებად ინოდებოდა ასეთი სიტყვები, მაგრამ დღესდღეობით ისეთ მძლავრ ნაკადად მოაწყენენ თანამედროვე ქართულ პოეზიას, რომ რაოდენობრიობა უკვე თვისებაში გადავიდა. მეტსაც ვიტყვი, ადრე თუ პოეტურ მეტყველებაში აქაიჯ გამორეული პროზაიზმები იპყრობდა მკითხველის ყურადღებას, ახლა მცირე პოეტიზმებიც კი თანამედროვე ქართულ პოეზიაში – უკვე არათანამედროვედ და ნაკლად მიიჩნევა. მეტიც, პოეტური მეტყველების პროზაიზაცია – შეიძლება დროის ნიშნადაც კი მივიჩნიოთ.

ვიკმაროთ თეორიული მსჯელობა და კონკრეტულ მაგალითს მივუბრუნდეთ:

არ გამომდის ჭარბი ჰაერის დროს
სუნთქვა,
პუბელაც ჭარბი სამყაროს ვამო
კვდება.

პეპელაც ჭარბი სამყაროს ვამო კვდებაო. ეს ახალი ხედვაა, მარადსისობისა და უკვდავების ფონზე მოფართატე სამდლისიცოცხლინი პეპლის საუკუნობით ხანდაზმული პოეტური კლიშეს დაძლევაა. აქ და ამის მსგავს არაერთ მომენტში ჩანს სწორედ, რომ ჩვენს ნინაშე ნინა სამხარაძის სახით, საინტერესო და იმედისმომცემი ახალგაზრდაა, მზარდი შემოქმედი, რომელსაც შეუძლია, მიმართვისა ობიექტს ასე უბრალოდ და სადად „მიაშველოს“ რჩევა-პარადოქსი:

„თუ ვერ გაცურავ, ზღვა დააშრე!“



რაც შეეხება ნატა ვარადას, ამ ნიჭიერებით გამორჩეულ აეტორს, მის შესახებ უკვე გამოქვეყნებული მაქვს ვრცელი წერილი სათაურით „გაშლილი ფრთები“ კუზიანი ნატატოსათვის“. ამჟამად ახალ, ცალკე წერილზე ვმუშაობ და არ მინდა მოვლენებს გავუსწრო.

სერგეი პვერინცევი



ოიდიპოსის მითის სიმბოლის განართებისათვის

საყოველთაოდ ცნობილია, რამდენად ხშირად და გაბედულად ხდებოდა ანტიკური ლიტერატურის მემკვიდრეობის ცალკეული ნაწილების გადასინჯვა საუკუნეთა განმავლობაში. ამ ფონზე კი საოცრად გამძლე აღმოჩნდა სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფის“ მიმართ დამოკიდებულება. არისტოტელესა და ფსევდოლონგინესათვის, გვიანი ანტიკურობის რიტორებისათვის, აგრეთვე აღორძინების ეპოქის შუა პერიოდის მკვლევართათვის, რომ არაფერი ვთქვათ რასინსა და შილერზე, „ოიდიპოს მეფე“ თავისთავად წარმოადგენდა ტრაგედიას – კათ – εξοχήν (ზესრულყოფილს), ასე ვთქვათ, თავად ჟანრის აბსოლუტურ განსხვეულებას. ეს დებულება არ ექვემდებარებოდა განხილვას ეპოქიდან ეპოქაში გადასვლისას, პირიქით, ეს მოსაზრება უფრო და უფრო მეტ სიცხადეს იძნდა. ამასთან ფილოლოგების, ფილოსოფოსების და პოეტების ცონსენსუს-ი, როგორც წესი, მას აღიქვამდა და აღიქვამს არა მხოლოდ განსაკუთრებულ ლიტერატურულ მიღწევად, არამედ რაც

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მთელი ეპოქის აზრობრივი შინაარსის პოეტურ რეალიზაციად.

თუკი ეს ასეა, ცხადია, რომ თავად მითოლოგიური სიუჟეტის სქემის, ესოდენ მთლიანისა და ორგანულის არჩევანი ვერ იქნებოდა შემთხვევითი და უმნიშვნელო მისავე აზრთან მიმართებაში. გავიხსენოთ, რომ ბერძნული ტრაგედიის საფუძველი, არისტოტელეს მიხედვით, არის არა ჩ'თიც-ი (ხასიათი), არამედ ჩ'თიც-ი (ამბავი)¹, ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ თავად ოიდიპოსის მითის სტრუქტურაში არსებობდა ანტიკური აღქმისთვის ფრიად საგრძნობი, რაღაც განსაკუთრებულად კონცენტრირებული აზრობრივი შესაძლებლობანი. მკვლევარები კიდევ და კიდევ დასვამენ შეკითხვას – რა უქნა სოფოკლემ მითოლოგიურ ფაბულას? ამ სტატიის თემა მაინც სხვაა: რა დაინახა სოფოკლემ ამ ფაბულაში როგორც მოცემულობა. ჩვენი მიზანია ამოვიცნოთ, თუნდაც ნაწილობრივ ის აზრობრივი ბმულები, რომლებიც ტრაგედიის სიმბოლური სტრუქტურის წანამძღვრებს

1. De art. poet., 6, p 1450a;

წარმოადგენდნენ და რომლებზეც მოუწია მუშაობა სოფოკლეს. შესაბამისად მთელი პრობლემატიკა, რომელიც ტრაგედიის მხატვრულ იერსახესთან არის დაკავშირებული, სტატიაში შეგნებულად არის უგულებელყოფილი.

არის კიდევ ერთი თვითშეზღუდვა: რომ შევინარჩუნოთ კონკრეტულობის სათანადო დონე, შეგნებულად გავურბივართ განსახილველ სიმბოლოებში „ზოგადადამიანურის“ შესახებ საკითხის დაყენებას. საუბარი შეეხება მათ მნიშვნელობებს მხოლოდ და მხოლოდ ანტიკური კულტურის სემანტიკის წილში. ამასთანვეა დაკავშირებული უარი შედარებითი მითოლოგიის მონაცემთა მოხმობაზე. ამავე მიზეზით ჩვენ არ შეგვიძლია არც ანგარიში გავუწიოთ და არც ვეკამათოთ ფილოსოფიური თუ ფსიქოლოგიური ხასიათის უახლოეს ვარაუდებს, რაოდენ გონიერამახვილური ან ლრმააზროვანიც არ უნდა იყოს ისინი. საკითხის ნათელ-საყოფად მოხმობილი ყველა პარალელი კლასიკურ სიძველეთა სამყაროს კუთვნილებაა. მეორე მხრივ, თავს უფლებას ვაძლევთ ამ სამყაროში სრულიად თავისუფლად გადავაადგილდეთ და დავიმოწმოთ ავტორები ჰომეროსიდან პროკლემდე. მაგრამ ამ თავისუფლებას აქვს გამართლება და მით უფრო მეტიც, იგი ივარაუდება საკითხის დაყენების დონეზე. მართლაც ძალიან უცნაური იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს განსახილველი სიმბოლური სქემების კონკრეტული შინაარსი არქაულ მითსა და კლასიკურ ტრაგედიაში, ბერძნულ ფილოსოფიასა და რომაულ ყოფაში ერთი და იგივე რჩებოდა. რა თქმა უნდა არა, ეს სქემები ექვემდებარებოდა გადააზრებას, მაგრამ გადააზრება რომ გახდეს შესაძლებელი, საჭიროა არსებობდეს ეს გადასააზრებელი: სტატიური აზრობრივი საფუძველი, აზრობრივი მატრიცა, გადმოცემული ენით და თავად ცხოვრების უმარტივესი

სიმბოლური სისტემებით. სწორედ ასეთი მატრიცების პოვნა გვინდა ჩვენ ისე, რომ ეს მოკრძალებული წინასწარდასახული ამოცანა არ ავურიოთ სხვაში, მაგალითად სოფოკლესეულ ტრაგედიებში „ჭეშმარიტის“ და „სილრმისეულის“ გამორკვევაში. კულტურის ისტორიის ამოცანაა იკვლიოს გადააზრებანი, მაგრამ მაგრამ ოდესმე ხომ უნდა ვნახოთ, რისი გადააზრება ხდებოდა ხოლმე.

თვით სოფოკლე ოიდიპოსის მითს რაღაც ზოგადი კანონის პარადიგმად განიხილავს (παράδειγμα)². ეს კანონი ჩამოყალიბებულია „ოიდიპოს მეფის“ მეოთხე სტასიმონში, რომელიც შეიცავს საგუნდო პარტიებისთვის დამახასიათებელ სენტინციონურობას შემდეგნაირად: ყოველგვარი წარმატება (εύδαιμονία) არის მხოლოდ მოჩვენებითობა (δικαιοւ) და ამ მოჩვენებითობისთვის ასხივებს ყალბ ბრწყინვალებას (δικαιοδότη) და „მოჩვენებითობისა“, და მას აუცილებლად მოუწევს „ჩასვენება“ ისე, როგორც ჩადის მნათობი (άποκλεισμα). ასეთია ყოველი ადამიანის ბედი, უფრო სწორად კი „მამაცისა“ (ανη), ვინაიდან სოფოკლეს სამყაროში მხოლოდ მამაკაცებისთვის არსებობს ისეთი საგნები, როგორებიცაა: დიდება, პრწყინვალება, ხელისუფლება: ასეთი ზოგადმამაკაცური ბედის პარადიგმაა ოიდიპოსის ბედი და ჩვენც ასეთი ფუნქციით უნდა განვიხილოთ იგი.

რას წარმოდგენს ოიდიპოსის ბედი? ის შედგება ორი მომენტისაგან – გაუცნობიერებლად ჩადენილი დანაშაულისა და გაცნობიერებულად მიღებული სასჯელისაგან. მართლაც, ოიდიპოსი გაუცნობიერებული დამნაშავეა. ეს გამოთქმა კეთილგონივრულია და უნდა ვამჯობინოთ ისეთ გავრცელებულ ფორმულებს, როგორებიცაა: „უცოდველი დამნაშავე“, „დამნაშავე“, თავისი ნების

გარეშე“, „დამნაშავე, შემთხვევითობის ნებით“) და ა. შ. ცხადია, ოიდიპოსმა არ იცის, რას აკეთებს, მაგრამ მისი არცოდნა აბსოლუტური არ არის და არ შეიძლება დახასიათდეს ისეთი კაზუისტიკის ტერმინებით, როგორიცაა *ignorantia invicibilis* (უცილობლად შესაწყნარებელი „გადაულახავი არცოდნა“) ოიდიპოსი გააფრთხილეს არასასიმოვნო ინციდენტით, რამაც ის აიძულა, დელფოში ნასულიყო, რომ შესაძლოა, პოლიბიოსი და მეროპე მისი ნამდვილი მშობლები არ ყოფილიყვნენ; ის გააფრთხილა თვით დელფოს ორაკულმა, რომ მას ემუქრებოდა მამის მკვლელისა და სისხლის აღმრევის ხვედრი. ასეთი გაფრთხილების შემდეგ შეიძლებოდა ის ასაკით უფროს ქალთან ქორნინებას, რომელიც მას დედად ერგებოდა, უფრო სიფრთხილით მოჰკიდებოდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ იოკასტე მხოლოდ სასძლო არ არის. ის, იოკასტე, ჯილდოა ოიდიპოსისთვის, მისი სიბრძნისა და სიმამაცისთვის. იოკასტეში არის დიდება და არის თებეს მართვის უფლებაც. ამ ყოველივეთი ოიდიპოსის დანაშაულის გაუცნობიერებელი ხასიათი სულაც არ იცვლება, მაგრამ ეს დანაშაული უკვე აღარ არის უბრალო, ცარიელი შემთხვევითობა. ოიდიპოსი, როგორც ცნობილია, ძალიან გულმავინტია³. ის მოქმედებს როგორც სიზმარში მყოფი, ვინაიდან დამთვრალია თავისი სიბრძნით, თავისი დიდებით, თავისი ძალაუფლებით. ჯერ ის გმირია და სარგებლობს გმირის პრივილეგიით – აღასრულოს

„საქმენი“, მაგრამ ეს საქმენი აღმოჩნდება პრმა და პასიური დათმენა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ოიდიპოსი გმირიდან გადაიქცევა ტანჯულად, მისი ტანჯვა იქნება პირველი გაცნობიერებულად აღსრულებული საქმე. გონება რომ გაუნათდეს, მან თვალები უნდა დაითხაროს. ასეთია წინასწარ მონახაზში ოიდიპოსის დანაშაულისა და სასჯელის ორონიული პერსპექტივა. დავინცით დანაშაულით. ის ორნაწილიანია: მამის მკვლელობა და სისხლის აღრევა. თუმცა თავისი შემადგნლობის მიუხედავად, ეს მაინც ერთი დანაშაულია და არა ორი განსხვავებული, შემთხვევითობის თამაშით, ერთი და იმავე პიროვნების ბედში შეყრილნი. ოიდიპოსის ბედის პერსპექტივაში მამის მკვლელობა სისხლის აღრევის მხოლოდ წინა პირობაა. ლაიოსი მეტოქეა, რომლის მოცილება აუცილებელია, რათა შედგეს სისხლაღრევითი ქორნინება. ანტიკური აღქმის აზრობრივი ცენტრი იყო სწორედ ინცესტი, რაც შემდეგი გარემოებებიდანაც შეიძლება დავინახოთ:

1. როდესაც „ოიდიპოს მეფის“ მეოთხე სტასიმონში გუნდი გლოვობს გმირის ბედს, ის საერთოდ არ ახსენება მამის მკვლელობას. მისი გლოვის განსაკუთრებული საგანია ბეგამიც გამიც⁴. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რადგან თებელების მტანჯველი ჭირი სხვა არაფრითაა გამოწვეული, თუ არა ლაიოსის მკვლელობით. ასე რომ, ამ მკვლელობის შესახებ ფიქრი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს, მაგრამ არა, გუნ-

3. ძველი ფილოლოგია არჩევდა „ოიდიპოსის სრულიად დაუჯერებელი ხარისხის გულმავინტი“ (W. Schmid, O. Stählin. Geschichte der griechische Literatur, I Teil. B. 2. München, 1934, S. 362), უშინაარსო ფსიქოლოგიური უზუსტობა დაენახა. თუმცა, ბერძნული ტრაგედიისთვის ასეთი დამაჯერებლობითი წესების თავსმოხვევა, რომელიც XIX საუკუნისთვის არის დამახასიათებელი, არაისტორიულია, რომ აღარაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ ფსიქოლოგია, რომელმაც არაფერი იცის „განდევნის“ (ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმი. პირველმა აღწერა ფროიდმა ქ. ჯ.) შესახებ, სანდო არ არის.

4. Oed. R., 1208-1222.

დის გულისთქმა სხვა მხარესაა მიმართული.

2. თავის დროზე, როდესაც საქმიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ ჰომეროსს დასჭირდა ეთქვა ოიდიპოსის დანაშაულის შესახებ ლაკონურად და სრული შინაარსით, მან მამის მკვლელობა გადმოსცა აორისტის მიმღეობით, როგორც წანამძღვარი და წინაპირობა, ხოლო სისხლის აღრევის, როგორც მთავარი ამბის გადმოსაცემად გამოიყენა ზმნა-შემასმენელი: ბ' ი მატერ' ე ხენარ ი ხაς γήμεν: „ბ' ი მატერ' ი მამის ე ხენარ ი ხას ი ხენარ ი ხას ბრძოლაში მოკვლას ნიშნავს და არა უბრალოდ მოკვლას და აორისტის მიმღეობაა) γήμεნ – დაქორწინდა – (ზმნა-შემასმენელი): მოკლა რა მამა საკუთარი, იქორწინაა“.

3. გვიანდელ, მეცნიერებას მიმსგავსებულ-პარადოქსოგრაფიულ (დაუჯერებელ) ვერსიებში სოკრატე არგოსელთან⁵, პალეფატოსთან (Παλαιά φατος)⁶, მალალასთან⁷ – მკვლელობა საერთოდ ამოვარდნილია და რჩება მხოლოდ ინცესტი. სავარაუდოა, რომ პარადოქსოგრაფებს ჭეშმარიტი მითის ლოგიკის მიმართ არ ჰქონდათ განსაკუთრებული ალლო. და მაინც, უინტერესო როდია, რომ მათთვის ოიდიპოსი მოიაზრება მამის მკვლელობის გარეშე, მაგრამ არ მოიაზრება, ინცესტის გარეშე.

ამრიგად, ოიდიპოსის დანაშაული – დედასთან ქორწინება განპირობებული და დამძიმებულია მამის მკვლელობით. მაგრამ დედასთან ქორწინებას, ანტიკური „ონეიროკრიტიკის“ (სიზმრების ახსნა), სიმბოლურ სისტემათაგან ყველაზე პოპულარულის ნიშანთა ენაზე მკვეთრად დაფიქსირებული აზრი აქვს. მივმართოთ არტიტიდოროს დალდიელს. ეს კლასიკური სიძველის მარტინ ზადეკა, განიხილავს რა ოიდიპოსის სიზმარს, აღნიშნავს: „ეს კრიგი სიზმარია ნებისმიერი სახალხო გმირისა და პოლიტიკური მოღვაწისთვის (παντι დეμაγωგ კან პილ ესტუ); დედა ხომ სამშობლოა. კაცი, რომელიც დაეუფლება ქალს, გამგონესა და თავისი ნებით მორჩილს აფროდიტეს კანონის თანახმად, ბატონობს მის სხეულზე. ასევეა სიზმრის მხილველიც, ისიც ეუფლება სახელმწიფო საქმეთა მთელ ერთობლიობას⁸. ტირანი დედა სამშობლოსთან დამოკიდებულებაში მოქალაქე ძის როლიდან მეუღლე-მბრძანებლის როლზე გადადის. ის ისე „იბყრობს“ და „ეუფლება“ მშობლიურ მინას, როგორც მინდობილ ქალს. მართლაც ოიდიპოსი ხომ ტირანია – τύραυνος¹⁰. ხოლო ოკასტეს წარმომავლობა მიწიდან შობილ ერთ „სპარტაგან – დათესილთაგან“ აქცევს მას განსაკუთრებით თებეს მიწის აშკარად შემცვლელად¹¹. შეიძლება შევედავოთ, რომ

5. *Odyss.*, XI, 273-274.

6. *Schol. Eurip. Phoen.*, 45.

7. *De incredib.*, 4.

8. 49ff. Bonn.

9. *Onirocr.*, I, 79, 91-92 Pack.

10. შეიძლებოდა შეპასუხებაც, რომ ოიდიპოსის ტრაგედიაში სიტყვა τύραννος გამოყენებულია მისი თავდაპირველი მნიშვნელობით კირანის და იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ტერმინს ვასილენს. (როგორც უკვე შენიშვნაც აღნიშნავს, „ოიდიპოს მეგის“ ხელნაწერებში წამდვვარებული და დასათაურებული: διὰ τί τύραννος ἐπιγέγραπται), მაგრამ, საკმარისია, გავიხსენოთ 873-ე სტრიქონი („შვის ფოთენ ტრანს-ამპარტავნება წარმომობს ტირანს“), რომ ამ სიტყვაში სრულიად სხვა აზრობრივი შესაძლებლობა გამოვლინდეს.

11. შდრ. C. Robert. *Oidipus: Geschichte eines poetischen Stoffs in griechischen Altertum*, B. I. Berlin, 1915, 8, 44-45.

არტემიდოროსის მიერ დაწერილი სიზმ-
რების ახსნის სახელმძღვანელო, შექმნი-
ლი ადრიანეს ეპიქაში, სოფოკლეს საუ-
კუნეს, დროითი თვალსაზრისით, ძალიან
დაშორებულია; მაგრამ ონეიროკრიტიკა
– უაღრესად კანსერვატორული დის-
ციპლინაა და დიდ სირთულეს არ წარ-
მოადგენს, დავრწმუნდეთ იმაში, რომ
არტემიდოროსი მხოლოდ აფიქსირებდა
ტრადიციას, რომელიც მომდინარეობდა
ბერძნული კულტურის საწყისი პერიოდი-
დან. „ოიდიპოსისებრ“ სიზმრებს ბერ-
ძნები სოფოკლეს დაბადებამდე ძალიან
დიდი ხნით ადრეც ხედავდნენ. „ოიდიპოს
მეფეში“ იოკასტეს აქვს სრული უფლება
ამტკიცოს:

πολλοὶ γὰρ ηδε τοῖς ὄνειρασιν
βροτῶν

μετρὶ ξυνησυνάσθησαν¹².

(ბევრი ხედავს სიზმრებში ჯერაც, დედასთან ერთად როგორ წევს).

სხვა ამგვარ სიზმარს ხედავდა ტი-
რანი ჰიპიასი, პისისტრატეს ძე – 490
წელს, როცა ცდილობდა სპარსელთა
ჯარის აღალით დაბრუნებულიყო ათ-
ენში. ჰეროდოტე როგორც იმონმება¹³,
ჰიპიასი ზუსტად ისე განმარტავდა
მინიშნებას, როგორც იმ შემთხვევაში
გააკეთებდა ამას, თუკი მას არტემი-
დოროსის რეკომენდაციებში ჩახედვა
შეეძლებოდა. მან წარმოიდგინა, რომ
ის ახლა უკვე ნამდვილად დაბრუნდე-
ბოდა სამშობლოში და დაუუფლებოდა
მას. არტემიდოროსის მეთოდით უფრო
წარმატებული იქნება სხვა პატივმოყვა-
რის სიზმრის ცხოვრებასთან მისადაგება,
ამ შემთხვევაში არაბერძნის – იულიუს
კეისრისა. „მას ეზმანა – როგორც სვე-
ტონიუსი მოგვითხრობს – თითქოს ის

ძალადობდა საკუთარ დედაზე, მაგრამ სიზმრის ამხსნელებმა მისი იმედები კიდევ უფრო გააცხოველეს, განუცხადეს რა, რომ სიზმარი ძალაუფლებას უწინაას-წარმეტყველებდა მას...ვინაიდან დედა, რომელიც მან თავის ქვეშ იხილა, სხვა არაფერია, თუ არა მიწა, მთელი სამყაროს დედად პატივდებული¹⁴. სვეტონიუსს თუ მის წყაროს მიაჩნდათ, რომ ასეთი ზმანება უახლოეს ღამესვე უნდა და-სიზმრებოდა ოცდაცამეტი წლის პატივ-მოყვარე ადამიანს ალექსანდრე დიდის დიდებაზე დაძაბული ფიქრების შემდეგ. სხვა ვერსია გვიყვება არანაკლებ მნიშ-ვნელოვან ღამეზე რუბიკონის გადალახ-ვის წინ. კეისრის სიზმარი ნახსენები აქვთ პლუტარქეს¹⁵, დონ კასიუსს¹⁶, ზო-ნარას¹⁷ და სხვა ანტიკურ თუ ბიზანტი-ელ ავტორებს¹⁸. მათი უნარი ამ სიზმრის ინფერნალურ ხასიათით შეძრნუნებისა პირდაპირ კავშირშია იმ საკითხთან, როგორ აღიქვამენ იმას, რასაც კეისარი აკეთებდა ცხადლივ. მორალისტი პლუ-ტარქე, პრაგმატისტი სვეტონიუსისგან განსხვავებით, განსაკუთრებით ცხადად გრძნობს სახელმწიფო გადატრიალების ზეობრივ საძრახისობას და ამიტომ დე-ბულობს ინცესტური სიზმრის საშინელე-ბასაც: „ამბობენ, რომ კეისარმა რუ-ბიკონზე გადასვლის წინა ღამეს იხილა ბილნი სიზმარი (ბიაρ ჰქმება); მას ეზმანა, რომ ენით უთქმელ სისხლის აღ-რევით შეერთო საკუთარ დედას“. თუკი ხელისუფლების უზურპაცია დანაშაულია (თუნდაც პლუტარქესეული კეისრისთვის „კეთილმობილური“ დანაშაული), ინცეს-ტის სახე ბილნია და „ენითუთქმელი“. ხელისუფლების უზურპაცია თუ ისეთი საქმეა, არავის სინდისს რომ არ ამძიმებს,

12. *Oed.*, R., 982-983.

13. *Herod.*, VI, 107.

14. Caes., 7, 2 (თარგმანი ლ. მ. გასპაროვა).

16. *Vita. Caes.*, 32, 9.

17. *Dio Cass.*, 37, 52, 2, 41, 24, 2.

18. Cedren. *hist. compend.* (J. P. Migne. *Patrologia Graeca*, t. 121, col. 336 (C).

მაშინ ინცესტი მხოლოდ კეთილი ნიშანია. ვინაიდან ერთი სიმბოლურად გატოლებულია მეორესთან.

ასეთი სახის დატოლება expressis verbis მხოლოდ ანტიკური ონეიროკრიტიკის მიმოქცევაში როდი იყო. ჩვენ ეს შეიძლება შეგვხვდეს ბერძნული კულტურული ტრადიციებისა და სიმბოლოთა ისეთ აღლოიან და ღრმად მოაზროვნე განმმარტებელთან როგორიც არის პლატონი... საუბარი ეხება „სახელმწიფოს“ იმ განყოფილებას, რომლის თემაცაა ტირანიუზურპატორი – ანუ ტსახუან თაბა. სიტყვას როცა იღებს სოკრატე, ის ამბობს, რომ ტირანი ისე ცხოვრობს, თითქოს სიზმაში იყოს; ის თავისუფალია ყველას შემბოჭავი საერთო კანონის ძალისგან, და ხვდება ისეთ სიტუაციაში, სადაც ყველაფერი ნებადართულია და არ არსებობს პასუხისმგებლობა. მისი თვითნებობა თავისუფლდება ყველა აკრძალვისა და აღთქმისაგან, როგორც ეს შეიძლება მოხდეს სიზმრულ თავდავიწყებაში. და აი, ასეთ კონტექსტში პლატონი იხსენებს სიზმარს, რომელიც ზუსტად ოიდიპოსის ცოდვას იმეორებს! აღმოჩნდება, რომ ცხოვრება ტირანადქცეული კაცისა არის ანალოგი არა რომელიმე სხვა სიზმრისა, არამედ სწორედ ისეთისა, რომელშიც მას არაფერი უშლის ხელს, შეერთოს დედას¹⁹. უფრო კონკრეტულად ოიდიპოსის დანაშაულსა და ოიდიპოსის ხელისუფლებას შორის სიმბოლური შესატყვისობის გამოხატვა შეუძლებელია. იყო სისხლის აღმრევი იოდიპოსი, ნიშნავს, იყო იოდიპოსი ტირანი.

ყოველივე თქმულის შემდეგ ჩვენ, მართლაც აღარ გაგვიკირდება, როცა

გავიხსენებთ, რომ კეისარმა ახალგაზრდობის წლებში დაწერა ტრაგედია, და უწოდა მას „ოიდიპოსი“²⁰.

ამრიგად, დედასთან შერთვის ინცესტი მოტივი სიმბოლურად შეუდლებული იყო უზურპირებული ხელისუფლების დაუფლებისა და დაპყრობის იდეასთან. მაგრამ ის მხოლოდ ხელისუფლების სიმბოლიკასთან როდი ავლენდა კავშირს, არამედ ცოდნის სიმბოლიკასთანაც, ამასთანავე ექსტრაორდინალური, საკრალური, აკრძალული ცოდნის სიმბოლიკასთან. ჯერ კიდევ -IV ს-ის ავტორ ქსანთოსის ნაშრომში – მაგ თარ — მტკიცებითი ფორმით იყო ნათევამი, რომ სპარსელ მაგებს წეს-ჩვეულება ავალდებულებს საკუთარ დედებსა და ასულებთან შერთვას²¹ – არადა, საუბარი ეხება სწორედ იმ მაგებს, რომელთაც ციცერონი „ბრძენთა და სწავლულთა (შუამავალთა) მოდგმას“²² უწოდებს და რომელიც, თვით ამ სიტყვის ჩვენეული გაგებითაც, იყვნენ „მაგები“. კატულუსი (-87-54 წწ.) ერთ ლექსში, რომელშიც უსვი სიტყვებით ამ-ათრახებს პოეტისთვის საძულველ გელიუსს მისი სავარაუდო ცოდვის გამო დედასა (თუ დედინაცვალთან), იძლევა უაღრესად კოლორიტულ სურათს იმისა, თუ ოიდიპოსისებრი შერთვის გზით როგორ უნდა შემოვიდეს სოფელში ოკულტური დაფარულთმეცნიერება და მაგიური ღვთისმსახურება²³. მაგს თუკი სურს, „სპარსული მკითხაობის შესწავლის გზით (Persicum aruspicium)“ განდობილთა უდიდეს საიდუმლოთ ეზიაროს, რათა შეძლოს არაამქვეყნიურ ძალთა დაურვება, როგორც სასიკეთოდ (gratus) მოქმედმა, რიტუალური ქებათა ქებითა

19. Resp., IX, 531 d.

20. სუეტ. ძივ. Iულ., 7. უკეთილგონიერესმა და უწინდახედულესმა იმპერატორმა ოქტავიანე ავგუსტუსმა (-63+14) მკაცრად აკრძალა კეისრის ეს ტრაგედია, რათა ის ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი არ გამხდარიყო.

21. Clem. AleeX, Strom., 3, 515.

22. DE dIV, I, 23

23. Carm., XC.

და ქმედებით, აუცილებელია – ამბობს კატულუსი – ეს მაგი დედის ძესთან შეუღლებით დაიპადოს. სისხლის აღრევა ასეთ კონტექსტში საკრალური წეს-ჩვეულების ხასიათს იძენს. მართალია, ეს ბილწი წეს-ჩვეულებაა, *impia religio*, მაგრამ, თავის მხრივ, ბილწი ტრადიციაც შეიძლება იყოს „ჭეშმარიტი“ *vera (რწმენა)*, თუკი მისი მეშვეობით ადამიანი უფრო სწრაფად შეაღწევს ღმერთების საიდუმლოში. სისხლის აღრევა აკრძალული და საშინელია; მაგრამ ღმერთების საიდუმლოც აკრძალული და საშინელია. ასეთია სიმბოლური კავშირი ინცესტ-სა და ცოდნას შორის. თუმცა, კატულუსთან დაფარულთმეცნიერის უნარი ერგება, არა ცოდვილს, არამედ მის ძეს; მაგრამ მითისა და სიმბოლოს სამყაროში ძე იოლად ენაცვლება მამას, ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის სულაც არ არის შობილი იმავე დედობრივი წიაღიდან, როგორც აქ. სხვათა შორის, მოგვინევს დავინახოთ, რომ ოიდიპოსისებრი ცოდვა შეიძლება წარმატებას აღნიშნავდეს საიდუმლოს შეცნობაში თვით სისხლის აღმრევისთვისაც, როდესაც ის ჯერ კიდევ არ გახლავთ ძის ფიგურით ჩანაცვლებული.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ არტემიდოროსის წიგნის იმავე განყოფილებას (I, 79). ჩანს, რომ ინცესტური სიზმარი კეთილს უქადის არამხოლოდ პირადი ხელისუფლების პრეტენდენტებს, არამედ „ის კარგია ნებისმიერი ოსტატისა და ხელოსნისთვის, ვინაიდან მიღებულია ხელობას ერქვას დედა“ (τέχνη – მდედრობითი სქესისაა!). ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ამ ადგილს არაფერი აქვს საერთო ჩვენ მიერ კატულუსის ახლახან განხილულ ლექსთან. იქ გროტესკულ – საზეიმო ეგზოტიკაა, აქ კი – პროზაულ-ცხოვრებითი ჩვეულებრიობა, იქ – საკრალური, აქ – საერო, იქ ღმერ-

თების იდუმალებანი, აქ ხელობის საიდუმლონი. არქაული ცნობიერებისთვის კი ყოველგვარი ხელობა ჯადოქრობაა, ხოლო ოსტატი – მოკრძალებული, მაგრამ ღეგიტიმური თანამოძმე მაგისა: ორივემ „იცის სიტყვა“, ორივემ შეაღწია განსაკუთრებულ საიდუმლოში, პროფანებისთვის მიუწვდომელში, ორივეს შეუძლია დემონურ ძალებთან ურთიერთობა. (ფსევდო-ჰიმეროსის „მეთუნის სიმღერიდან“ ჩვენ ვიცით, თუ როგორ ველურ დემონებთან ჰქონდათ ხოლმე საქმე ბერძენ მეთუნეებს და ასევე სხვა პროფესიების ხელოსნებსაც). თვით სიტყვა – „τέχνη“, არტემიდოროსის მიერ გამოყენებული, ერთნაირად მიესადაგება როგორც ხელობას, ასევე მაგისა. თვით ახალევრობულ ეპოქას, როდესაც ხელით შრომას მაგიური შარავანდედი შემოძარცული ჰქონდა, შეუძლია, საინტერესო პარალელი შემოგვთავაზოს: საკმარისია გავიხსნოთ, ტერმინი „მასონი“, რომელიც აღნიშნავს „ქვისმთლელს“, რათა გავითვალისწინოთ რამდენად მტკიცეა ჩვევა, ხელობა ოკულტურ განდობილობასთან ასოცირდეს. ამის შემდგომ უკვე ხდება ცხადი, რომ არტემიდოროსის და კატულუსის ტექსტები მართლაც დგანან ერთ აზრობრივ სიბრტყეზე და ამიტომაც შეუძლიათ ერთმანეთის ახსნა, ასევე ოიდიპოსის მითის ახსნაც.

აი კიდევ ორი მტკიცებულება, რომლებიც ნათელყოფენ ინცესტისა და ცოდნის კავშირს. პირველი მაგალითი ენიდანაა. ყველასთვის ცნობილია პიბლიის მიერ გამოყენებული ზმნა „შეცნობა-პიზნავათ“ ((jdi), რომელიც აღნიშნავს ქალის ხორციელ „საიდუმლოში“ შელწევას (ხოლო ადამ იცნა ევა, ცოლი თვისი)²⁴. ასეთი სიტყვახმარება საკმაოდ ჩვეულებრივი ჩანს ბერძნული ენისთვისაც. მაგალითად, მენანდრესთან ქალწული აღიარებს, რომ

24. შესაქმე, 4, 1. საოცარია, რომ ქართულშიც ზუსტად ცნობა ზმნა გვაქვს გამოყენებული, რომელიც ძველისძველი ჩანს (მთარგმნელი).

მაცდუნებელმა „იცნა“ ის (ძგვω)²⁵; ზმნა ყოველი ეროტიკული მნიშვნელობით მუდმივად იყენებს პლუტარქე²⁶, ასეთი შემთხვევები გვხვდება პერაკლიდე პონტოელთან²⁷, კალიმაქესთან²⁸ და სხვა ავტორებთანაც. თუკი ბერძნული ენა ყოველგვარი ეროტიკული დაუფლებისას ავლენს აზრობრივ ობერტონს ცოდნასთან, საკრალურში შეღწევასთან, მაშინ ეს ობერტონი, ცხადია *a potiori* არსებობს ოიდიპოსის ინცესტშიც, რომელიც ცხოვრებისეულ საიდუმლოთაგან უიდუმალესსა და უსაკრალურესში შეღწევას წარმოადგენს. მეორე მტკიცებულება თვით მითია და მისი გვიანი გადამუშავებანი. მართლაც, ოიდიპოსის ექსტრაორდინალური ცოდნა, რომლის მეშვეობითაც ის თავის ექსტრაორდინალურ ხელისუფლებას მოიპოვებს, დამტკიცებულია მითური არსების წინაშე, რომელსაც ჩვენ მივეჩვიეთ „სფინქსი“ ვუწოდოთ. ბერძნულად სფრიკი – მდედრობითი სქესის სიტყვა და როგორც სქოლიასტი წერს, მდედრობითი სქესის არსებას აღნიშნავს „ქალწულის სახით“²⁹ – პარადოქსოგრაფებიც ამ არსებას ქალის სახით გამოხატავენ: ხან კადმოსის ასულად, როგორც პალეფატოსი, ხან ლაიონის ასულად, როგორც ლისიმაქე³⁰; მაშინაც კი, როდესაც ის ინარჩუნებდა თავის ნახევრად მხეცურ იერს, როგორც ეს თვით „ფინიკიელი ქალების“ სქოლიობშია წარმოდგენილი, ის მხეც მენადად გადაქცეული აღმოჩნდება. ოიდიპოსი ხვდება არა მამრ „სფინქსი“, არამედ მდედრ „η Σφιγξ“-ს, ამიტომ ჩვენ არ გვაოცებს ის, რომ მი-

თის მოგვიანო პერიოდის რედაქციებში, პარადოქსოგრაფების ზემოქმედება რომ განიცადეს, ივარაუდება ოიდიპოსა და გამოცანის დამყენებელს შორის ეროტიკული კავშირი³¹. მაგრამ მთავარი სხვა რამაა. მითოლოგიური სიმბოლოს ლოგიკის თანახმად, პი-ჰეთს (ყოველს რანციამა, გაგება...) გამოცანისა და პი-ჰეთს (ყოველს რანციაზე დაპყრობა, დაჭერა) დაუფლება ყველაზე შეუცნობისა – ერთი და იგივეა. ამ ლოგიკას ეყრდნობა, სხვათა შორის, გავრცელებული მოტივი სასტორი, რომელიც თავისი ხელის მთხოვნელებს უყენებს გამოცანას. გამოცნობა გამოცანისა, საქორნინო ლამის საწინდარია, ან მისი ანალოგი. თუმცა, ოიდიპოსის მითის პერსპექტივაში სფინქსის გამოცანის გამოცნობა პირობაა არა მასთან ქორწინების, არამედ – იოკასტესთან. ეს კი აჩენს უცნაურ აზრს, რომ სფინქსი და იოკასტე ერთგვარად გათანაბრებულია. ჩვენ ვალდებული ვიქებოდით ეს აზრი უკუგვეგდო, როგორც სუბიექტური, რომ არა ერთი გარემოება: დაფიქსირებულია ოიდიპოსის შესახებ მითის ახალბერძნული ფოლკლორული ვერსია, რომელშიც იოკასტა და სფინქსი მართლაც ერთ სახეშია შერწყმული³². ცხადია, ეს ძველი მითის დამახინჯებული ვერსიაა, მაგრამ დამახინჯება გამოვლენილია ელინურ ნიადაგზე. როგორც ჩანს, მომდინარეობს უხსოვარი დროიდან და რაც მთავარია, იმავე ფოლკლორული სფეროს შიგნითაა მომხდარი, სადაც მითოშემოქმედების იმანენტური ძალები ინარჩუნებენ თავის ძალას.

25. *Fragm. 382 Koert.*, cp. *Hermog. de invent.*, IV, II, სადაც ეს სიტყვათხმარება განსაკუთრებით არის გარჩეული.

26. *Alex.*, 21, *Galba*, 9.

27. *Polit. fragm.*, 64.

28. *Epig.*, LVIII, 3.

29. *Schol. Eurip. Phoen.*, 45.

30. *Palaeph.* IV, 11 *Festa*; *Schol. Eurip. Phoen.*, 26.

31. C. Robert. *Oidipus*, ., S. 502.

32. B. Schmidt. *Griechische Märchen, Sagen und Volkslieder*. Leipzig, 1877. S. 143.

რაც შეეხება თვით მითს და მის კლასიკურ ფორმას, მასში ხომ სფინქსის და იოკასტეს ფიგურებს შორის აშკარა თანაფარდობა: მათი როლი იმაში მდგომარეობს, რომ თვითონაც რაღაც საიდუმლოს მატარებელი და მოშიშარი მისი ამოხსნისა, რიგრიგობით აღმოჩნდნენ ოიდიპოსის წინაშე, ხოლო როდესაც გამოიცნობა გამოცანა, თვითმკვლელობის გზით უხმოდ გაუჩინარდნენ. სფინქსთან შეხვედრა აუცილებელია, რათა მოხდეს შეხვედრა იოკასტესთან; გამოცანის ინტელექტუალურ საიდუმლოში შეღწევა აუცილებელია, რათა მოხდეს „აკრძალულ ხორციელ საიდუმლოში შეღწევა“ და ამ გზით დაყენებულ იქნას კვლავ ახალი გამოცანა. ევრიპიდე ხატოვნად აკავშირებს „გამოცანაში ჩაწვდომას“ „სიცრუესთან შეხებას“, აიძულებს რა იოკასტეს „ფინიკიელი ქალების“ პროლოგში გაიხსენოს, კრეონტმა როგორ გასცა განვითარება:

ὅστις σοφῆς ἀιγιγμα παρθένου
μάυσοι,

τούτῳ ξυνάψειν λέκτρα³³
გამომცნობს თავსატეხ სიტყვათა
სამეფო სარეკლო აღუთება ჭილდოდ.

ამავე „ფინიკიელი ქალების“, ეგრეთ წოდებული, პისანდროსის სქოლის მუხლში (1760) ოიდიპოსის ბედი მოკლე შეკუმშული ფორმულითაა გადმოცე- მული: „**ე**γημε τὴν μητέρα λύσας τὸ ἀινειγμα — οქτωνίδα δέδαθε, გამომც- ნობმა გამოცანისა“. ოიდიპოსური ცოდ- ნა — როგორც პირობა და ანალოგი — რეალიზდება უკვე სისხლის აღრევის აზ- რობრივ ფონზე.

ამრიგად, სისხლის აღრევის სიმბოლო
დაკავშირებულია ორ სემანტიკურ ხა-
ზთან: ერთი მიემართება ტირანის ექს-

ტრაორდინაციური ხელისუფლების იდე-ისკენ, მეორე – დაფარულთმეცნიერების ექსტრაორდინაციური ცოდნის იდეისკენ. იმ ოიდიპოსის ბედში, რომელმაც შეაღ-ნია სფინჯის საიდუმლოში და მწირი-დან ტირანად იქცა, არა ვასტაცია – მეფედ, არამედ სწორედ თურაუიც – ტირანად³⁴, ერთდება ერთიც და მეორეც, ის ხომ „ჩასწვდა სახელის მოხვეჭის გა-მოცანებს და იყო მძლეუთამძლე კაცი“:

ὅς τὰ κλείν' αἰνιγματ' ἔδη καὶ
κράτιστος ἦν ἀνήρ³⁵.

ვინც ამ ცნობილ გამოცანების

შესძლო ამოხსნა

და ვინც თეძ

და უდიდესი
მაგრამ ორივე ხაზი ძალიან მჭიდრო-
დაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული. სიმ-
ბოლური პერსპექტივა, რომელიც ხე-
ლისუფლებისა და ცოდნის იდეას ინცეს-
ტის მოტივს უტოლებს, მათ ერთმანე-
თის მიმართაც ათანაბრებს. ვფიქრობთ,
ასეთია საქმის ვითარება. გამოდის, რომ
ცოდნა, რომლის მეშვეობითაც ოდიპოსი
სფინქსის გამოცანას გამოიცნობს, მა-
გრამ ვერ მოახერხებს საკუთარი ბედის
გამოცნობას – განსაკუთრებული სახის
გამოცანაა: ცოდნა – ძალაა, ცოდნა ძა-
ლაუფლებაა, ცოდნა წარმატებაა, ხოლო
შესაძლებლობაში – ძალით დაბრმავება,
ძალაუფლებით დაბრმავება, დაბრმავება
წარმატებით. გავიხსენოთ არტემიდორო-
სი და კატულუსი: ისინი ხომ უფლებას
იძლევიან, ინცესტის სახესთან დაახა-
ლოონ არამც და არამც ცოდნის იდეა
„ზოგადად“, არამედ ამ იდეის სრულიად
განსაზღვრული მოდუსები – ან მაგიური
უნარის მოდუსი, ან ხელოსნური უნარის
მოდუსი. ორივე შემთხვევაში ეს არ გახ-
ლავთ თვითშემეგრუნება, არკ საკუთარი,

33. *Phoen.*, 48-49. სტრიქონების ქართული თარგმანი ჩვენია (მთარგმნელი); ქართულად ტრაგედია თარგმნა 6. ტონიამ.

34. იხ. შენიშვნა 22: *Документы*, 37, 52, 2, 41, 24, 2.

35. ଫେବ୍ରୁଆରୀ, 1525.

მაგრამ დავიწყებული ცოდვის სინდის-იერი აღიარება, არამედ ეს გახლავთ შელნევა გარემომცველ სამყაროს საიდუმლოებებში, მათი დაუფლებისა და გამოყენების მიზნით. მაგია და ხელოსნობა – ეს არის მატერიალური წარმატებისთვის გასალების მორგება, პრაგმატული ცოდნა მიმართული გარეთ. ასეთია ოიდიპოსის ცოდნაც. მისით შეიძლება დაძლიო საფრთხის შემქმნელი ურჩხული, მაგრამ ეს არ იძლევა იმის გარანტიას, რომ გამარჯვებული თვითონ იქცევა ურჩხულად. არაერთხელ შეუნიშნავთ მკვლევარებს ოიდიპოსის ბუნების სანინააღმდეგო „გულმავიწყობა“ – ეს მისი გამარჯვებული აზრის (ყოველი) შებრუნებული მხარეა, მისი ნამდვილი ელინური უნარია „გამოგონება“, „გამოკვლევა“, რითაც ასე ამაყობს ის სოფოკლესთან³⁶.

როგორც ცნობილია, ოიდიპოსი მამას ჰქონდა სამი გზის გადაკვეთაზე. ხაზი, რომელსაც ის ინცესტის იდეისკენ მიჰყავს; ხაზი, რომელსაც ის ხელისუფლების იდეისკენ მიჰყავს, გაგებულია, როგორც ეროტიკული დაუფლება და დაპყრობა. ხაზი, ცოდნისკენ მიმავალი, გაგებულია კვლავ როგორც მოურიდებელი შეღწევა იდუმალში, წმიდაში და ამ გზით ისევ დაუფლება და დაპყრობა – ასეთია სამი გზის საბედისწერო გადაკვეთა, რომელსაც ახორციელებს ოიდიპოსის შტრიც – ამპარტავნება. ანტიკურობის დასასრულს, როდესაც ავგუსტინე ახალი სარწმუნოების სახელით განსჯას დაუწყებს წარმართული დროის „კაშკაშა“ ცოდვებს, ამ სამ გზას ის მოიხსენიებს მნიშვნელოვანი სახელებით: *Lobido carnalis* – ხორციელი ვნებანი, *Lobido dominandi* – ხელისუფლებისმიერი ვნებანი(სინტაგმები აღებულია სალუსტიუსისგან და ტირანულ „ახირებასა“ და ეროტიკულ „ავხორცობას“ შორის ურთიერთ გადადინებაზე მიუთითებენ)

და curiositas – ცნობისმოყვარეობა – ცოდნა, რომელსაც არ მოაქვს ხსნა და მოსვენება. ამ სამივე გზას ოიდიპოსი ერთსა და იმავემდე – თვითგაღმერთებამდე მიჰყავს. თავისითავად გასაგებია, ექსტრაორდინალური ხელისუფლებისა და ექსტრაორდინალური ცოდნის ასოციაციური კავშირით ადამიანი როგორ გადადის ყოფიერების ღვთაებრივ საფეხურზე. მაგრამ ესადენ ექსტრაორდინალური სასიყვარულო კავშირი, როგორიც ინცესტია, ზეადამიანურ ტაბუს გადამლახველი, გახლავთ ასევე ადამიანურსა და ღვთაებრივს შორის საზღვრის დარღვევა. მაშასადამე, ესეც თვითგაღმერთების აქტია, თვითმარქვიობის მეტაფიზიკური აქტი. ანტიკური ადამიანი ამას უაღრესად ცხოვლად შეიგრძნობდა. როდესაც ჩვენ სვეტონიუსის „კეისართა ცხოვრებებს“ ვკითხულობთ, გვეჩვენება, რომ ოულოუს – კლავდიუსთა სახლში მძვინვარებდა ინცესტუოზური ჟინის ნამდვილი ეპიდემია, თანაც ისეთი, რომ რამდენადაც მეტად დაიუინებდა კალიგულასა და ნერონის ტიპის თვითმშერობელი საკუთარი თავს ღვთაებრიობას სიცოცხლეში, იმდენად მეტად ვარდებოდა განდიდების მანიაში, სწეულების ყველა კლინიკური ნიშნით. და იმდენად მეტად ხდებოდა მისთვის საჭირო, „განეცხადებინა თვითნებობა“, როგორც ეს დოსტოევსკის შეეძლო ეთქვა, სახელდობრ, ამ პუნქტზეც (ინცესტი). არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, სვეტონიუსის მიერ გადმოცემული დედაქალაქური ჭორები შეესაბამება თუ არა ჭეშმარიტებას და თუ შეესაბამება – რამდენად. უფრო არსებითია ის, რომ ზოგადი რწმენით, ის, ვინც თავს ღმერთად აცხადებდა, უნდა გაებედა ინცესტიც, ვინაიდან ერთი არის მეორის ნიშანი.

სოფოკლემ უბადლოდ შეძლო გამოესახა თუ როგორ მიჰყავს უცილო-

36. *Oed. r.*, 398:

ბლად ამ გზაჯვარედინის სამივე გზას გმირი ცრუ-ლმერთის ბაზოც – ამპარტავნებამდე, და ეს მით უფრო დაუძლეველია, რამდენადაც კეთილსინდისიერი ოიდიპოსი, კარგი მოქალაქე და ადამიანი კეთილი ზრახვებით უპირისპირდება მას. როგორია პირველი სიტყვა, რომელიც ჩვენ ოიდიპოსის პირით გვესმის? ესაა სიტყვა-მიმართვა“-ო, შვილებო, (ა, τ ეკნა), რომლის წარმოთქმის დროსაც ის თავს წარმოგვიდგენს ყველა მოქალაქის საერთო მამად, ისეთ ადგილას აყენებს თავს, რომელიც შეესაბამება ან ღვთაებას, ან ხალხის გაღმერთებულ წინაპარს. შეუძლებელია არ ვიფიქროთ, რომ ოიდიპოსი ტირანი ან საერთო მამა, ან საერთო მამინაცვალია, ვინაიდან ის არტემიდოროსის თანახმად, არის სისხლისამღვრევი მეუღლე საყოველთაო დედა-სამშობლოსი – ასეთი მიმართვა დაუყოვნებლივ მოტივირებული და ნეიტრალიზებულია იმით, რომ ოიდიპოსი ჯერ ერთი, მართლაც მიმართავს ყრმებს (ასევე ახალგაზრდების მეთაურ ქურუმებსაც), მეორე, ჩქარობს „შვილები“ ჩააყენოს მამაშვილურ ურთიერთობაში არა თავისთან, არამედ თებელთა წინაპარ „ძველ კადმოსთან“.

Ω τ ეკნა, Κάδμοις τ ου πάλαι τ νέα τροφέ...³⁷.

ჩემო შვილებო, ძველი კადმოსის ახალო მოდგმავ,..

შემდეგ ამას მოსდევს ქურუმის მონოლოგი, რომელიც ოიდიპოსს მიაკუთვნებს ლმერთის ეპითეტს – σωτήρ – მხენელი³⁸ და თან განსაკუთრებულად გამოკვეთს, რომ მეფეს არ უთანასწორებს ლმერთს³⁹, მაგრამ შესწორებანი უკვე უსარგებლოა. ოიდიპოსი სწორედ უკანასკნელი კატასტროფის წინ ნადგურდება მონოლოგით, რომელშიც საკუთარ თავს უწოდებს ბედისწერის ძესა და თვეთა მოძმეს⁴⁰. ხოლო გუნდი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ოიდიპოსი ლმერთთა მოდგმას მიეკუთვნება⁴¹. ოიდიპოსის კაცთა მოდგმიდან ამოვარდნა ბოლოვერ გაგებულია როგორც მისი ზეადამიანური სამყაროსადმი კუთვნილება.

თუმცა, ოიდიპოსის ცოდნა, რომელითაც მას თავი ასე მოაქს, საკუთარ თავს ააშკარავებს როგორც უმძიმესი არცოდნა. მისი ძალაუფლება გადაიქცევა განდევნად, მისი დიდება – სირცხვილად, მისი ქორწინება იოკასტესთან – ჯილდო ცოდნისთვის და წინაპირობა ხელისუფლებისთვის – სისხლის აღრევად. ახლა მისმა მამრის ნებამ საიდუმლოებათა გამომაშკარავებლისა, მოუკრძალებლად შელევემ იდუმალში (რომელთანაც ასე გამომსახველობითაა დაპირისპირებული იოკასტეს საიდუმლოს დაფარვისა და დადუმების მდედრული ნება, ერთდროულად ბრძნული და ამავე დროს მაცდურად მხდალი), უნდა გამოისყიდოს თა-

37. სოფოკლეს პოეტური ტექნიკა სწორედ „ოიდიპოს მეფეში“ მიისწრაფის ისეთი თამაშისკენ, როდესაც აზრი მერყეობს, როდესაც ამოტივტივებული მრავალმნიშვნელოვანი აზრი კელავ იძირება მომდევნო სიტყვებში და ნეიტრალიზდება მათით, განსაკუთრებით განსაცვიფრებელი გახლავთ მაგალითებიდან ერთი, სტრიქონი 928, როდესაც გუნდი იოკასტეს უწოდენს: „γυνὴ δὲ μῆτηρ ἥδε - ἐσ კი ცოლია მისი და დედა (საშინელება უკვე ნათქვამია, მაგრამ) τῶν κείνων τέκνων – მისი შვილების“. აქაც იგივეა.

38. *Oed. r.*, 48:

39. *Oed. r.*, 31: „ ლმერთების სწორად არც მე გთვლი და არც ეს ბალდები“. უპასუხებს რა ამ მონოლოგს, ოიდიპოსი კვლავ იწყებს თავის სიტყვას ა παιδεს (58): „როგორ არ ვიცი, კარგად ვიცი, საბრალო შვილნო,..“.

40. *Oed. r.*, 1080-1084:

41. *Oed. r.*, 1098-1109: “ვინ გშობა ნეტავ, ვინ გშობა, შვილო, სულით ნეტართა და უკადავთაგან...“

ვისი თავი. ის, საკუთარი თავისადმი მიმართვისას, სასჯელს ადებს საკუთარ პიროვნებას.

სოფოკლეს გმირის როგორც დანაშაული, ასევე სასჯელი ორშემადგენლიანია: თვითდათხრა თვალთა და მწირობა. მეორე თავისთავად გასაგებია⁴² და ახსნას არ საჭიროებს. ქალაქი უნდა განიწმინდოს ბილნებისგან. სწორედ იმ ოდიპოსმა, რომელმაც იხსნა თებე სფინქსისგან გმირული თვითდამკვიდრების აქტით, ახლა კვლავ უნდა იხსნას ისინი შავი ჭირისგან თვითგანკვეთის გმირული აქტით. თვალების დათხრა პირიქით, ოიდიპოს მეფის კომისში ხასიათდება, როგორც უაღრესად გაუგებარი⁴³. მას ასახსნელად სჭირდება სიმბოლური ფონის შერჩევა.

ოიდიპოსის მიერ თვით თვალთა-
დათხრა – ეს არის მისი მსჯავრი სა-
კუთარი ცოდნისადმი, რომელიც შეი-
ჭრა იდუმალში, მაგრამ არ გაუმხილა
აუცილებელი: დაე, არასდროს არ იხ-
ილონ, რაც არ ხამს ხილვად

...οὓς μὲν οὐκ ἔδει

όψοιαθέ, οὓς δ' ἐχρηζεν οὐ γνωσοίατο⁴⁴.

და რაც თვითონ სურთ, ნურასოდეს
ეხილოთ მეტად.

თვალები, მაცქერალნი გარეთ – ცოდნის მქონენი, მიმართულნი გარეთ, საგნების ზედაპირზე. ბერძნული ენა და ბერძნული აზროვნება განსაკუთრებით ინტიმურად და ღრმად აკავშირებდა ცოდნას თვალებთან, „გონიო ჭვრეტიას“ ფიზიკური თვალის ჩინთან; საკმარისია გავიხსენოთ, რომ ჩვენი „თეორია“ და „იდეა“ მიღებულია ბერძნული „მზერა-ჭურეტისა“ და „სახე-იერისგან“ და რომ მთელი პლატონური „ნათლის მეტაფიზიკა“ წარ-

მოუდგენელია თვალსა და გონს შორის გრძნობიერი კავშირის გარეშე⁴⁵. პლუ-ტარქე ქერონეელი თავის მცირე ზომის ანტიეპიკურულ ტრაქტატში „კარგადაა თქმული: „იცხოვრე შეუმჩნევლად – ეს კალავ ე ირთავ თი ლაზე ც დასია?“ – პათეტიკურად უმღერის თვალის ჩინს, როგორც ყოველგვარი ცოდნის სიბოლოს: „მე ვფიქრობ, რომ კაცს ძველები იმიტომ უწოდებდნენ ფიც-ს – ნათელი, რომ თითოეულ ჩვენგანში ბუნებისგან ცხოვრობს სურვილი შევიცნოთ სხვანი და ვიყოთ თვითონაც შეცნობილი“⁴⁶. მაგრამ ამის საპირისპიროდ ბერძნულ კულტურაში ადრევე ჩნდება მძაფრი განცდა ხილვადობის შესახებ, თითქოს ის არის „მოჩვენებითობა“ (δόκις ἐπὶ τέτυκται, როგორც ამბობს ქსენოფანე)⁴⁷. ამ ლოგიკის თანახმად, ბრძენი, მაშასადამე, ხილვადობის მამხილებელი და არსის მჭვრეტელი უნდა იყოს ბრძა. ჯერ კიდევ მითსა და ლეგენდაში ნათელმხილველი ტირესიასი, ნათელმხილველი დემოდოკოსი და ნათელმხილველი ჰომეროსი ბრძები არიან. ამასთანვე, ტირესიასი ნათელმხილველობის ნიჭი სიბრმავესთან ერთად ებობა. დემოდოკოსის შესახებ კი ჰომეროსი წერს, რომ ის სხვას არავის დაუბრმავებია თუ არა მუზას. თვით ჰომეროსის შესახებაც მსგავსს ჰყვებიან ხალისით. ამ სიმბოლიკას დიდი ინტერესით გაიაზრებს მოგვიანებით ბერძნული ფილოსოფია. პროკლე დიადოხოსი მითოლოგიურ და ლეგენდარულ ბრძებს უძღვის ქება-დიდების მთელ თავს პლატონის „სახელმწიფოსთვის“ დართულ თავისეულ კომენტარებში. (ეს მონაკვეთი ასეა დასათაურებული: „როგორი გამართლებების მოყვანა შეიძლება „ფედრაში“

42. Ծգըն., տղթէց: А. Ф. Лосев, Диалектика мифа, М., 193, 102-104.

43. *Oed. r.*, 1327-1328: „ჰოი, ამ ცოდვის ჩამდენელო, როგორ გაძედე თვალების
დათხრა? 1367-1368: „არ ვიკი, სწორად ვით ჩავთვალო, რაკ თავს უყავი...“

44. *Oed. r.*, 1273-1274.

45. Щоф. А. Ф. Лосев, *Античный космос и современная наука*, М., 1927, 269-272.

46. De Lat. viv., 6.

47. *Frgm. B 34, 4 Diels.*

... program to run.

თქმულის საპასუხოდ; საიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს [პლატონი] უპირატესობა ანიჭებს სტესიქორეს, „როგორც მამრს უფრო მემუსიკეს“). პლატონთან პოლემიკისას, რომელიც პომეროსის სიბრძავეს ელენეს წინაშე ჩადენილ ცოდვას აპრალებდა, უკანასკნელი დიდი ნეოპლატონიკოსი აღნიშნავს: „პომეროსმა გამოამუდავნა მეტი სულიერი სიმტკიცე, ალამალა რა თავისი აზრი ყოველგვარი ცხადი ჰარმონიის სიკეთებზე, საკუთარი სულის გონი მიმართა არაცხადი ჭეშმარიტარსისეული ჰარმონიისკენ და დაეუფლა სრულ სილამაზეს, რა მიზეზითაც მითში პომეროსი წარმოდგენილია იმის განმცდელად, რასაც თვითონ განაცდევინებს ფეაცელ მომძერალ დემოდოკოსს:

თვალი დაუბნელა, ტკბილმომძერლობა ნაცვლად ამისა, მიჰმადლა მას...

დემოდოკოსში ჰარმოროსმა წარმოადგინა საკუთარი ღვთივ შთაგონებული ცხოვრების პარადიგმა და ამიტომაც ამბობს მის შესახებ, რომ დემოდოკოსი, როგორც მუზის მიერ შეპყრობილი, მოკლებულია ყოველგვარ ცხად ჰარმონიას და სილამაზეს⁴⁸.

განსაკუთრებით კოლორიტულია დემოკრიტეს შესახებ არსებული ცნობილი ამბავი, რომელმაც თვალები დაითხარა, რათა უფრო ცხადად დაენახა არახილვადი. პლუტარქე, რომელსაც არ სჯერდა ამ ლეგენდის, მის ასეთ შინაარსს გვთავაზობს: „დემოკრიტემ თითქოს თავისი წებით დაიშრიტა თვალთა სინათლე... რათა უწესრიგობა არ შეეტანათ თვალებს მის აზრებში. საქმეებსაც გარედან რომ უხმობდნენ მას, მიეცათ უფლება მშვიდად მჯდარიყო სახლში და დაკავებულიყო გო-

ნითმისაწვდომი საგნებით⁴⁹. ავლიუს გელიუსი (დაახლ. 130-170 წწ.) ემონმება: „ბერძნული ისტორის წიგნებში ჩანერილია, რომ ფილოსოფოსმა დემოკრიტემ... თავისი წებით დაიბნელა თვალთა სინათლე, ვინაიდნ ფიქრობდა, რომ მისი სულის (πυχ) აზრითი და გახსენებითი მოძრაობანი გახდებოდნენ უფრო მახვილი და ზუსტი, თუკი მათ გაათავსუფლებდა მხედველობითი ცდუნებისა და თვალისმიერი დაბრკოლებისაგან⁵⁰. ტერტულიანეს ცნობილი ვერსია კი ნაკლებ ფილოსოფიური, მაგრამ მეტად მორალიზებულია. დასაძლევი curiositas ადგილას ის აყენებს დასაძლევ ლაბიდო carnalis-ს: დემოკრიტემ დაიბრმავა თავი იმ მიზეზით, რომ არ შეეძლო ქალების კიდევ ერთხელ დაუბრუნდეთ ბერძნული სიმბოლიკის განმარტებას პლატონთან და კვლავაც მისი „სახელმწიფოდან“. ამ თხზულების მეორე წიგნში საუბარი მიმდინარეობს ჭეშმარიტებას, რომელიც სათნოებად არ არის მიჩნეული და სათნოების ბრწყინვალე, მაგრამ ცრუ ხილვადობის ურთიერთ მიმართებას შორის. პლატონი განიხილავს ხილვადობის დამცველის ხვედრს და ხვედრს ჭეშმარიტების დამცველისა: და აი, აღმოჩნდება, რომ ამ უკანასკნელს სხვა სატანჯველთან ერთად⁵¹ მოუწევს დაბრმავებაც (έκκαθιστε τα ἡ ὀφθαλμού)⁵². ქრისტიანობამ, რომელიც მოვიდა წარმართულ სიძველეთა განსჯად, კიდევ ერთხელ დაიჭირა ის სიტყვაზე: მონამესა და მსაჯულებს შორის პაექრობის ერთ ადრექრისტიანულ აღწერაში პირველი (მონამე) პლატონის ამ სიტყვებს მოიხმობს, როგორც ხილვადობის შესახებ წარმართული ეთიკის განაჩენს⁵³.

48. In rem publ., 398, 174 Kroll.

49. De curios., 12, p. 521 d.

50. Noct. Att., X, 17.

51. Resp., 361 c

52. გამაოგნებელია, რომ ამ ტანჯვათა ფინალი ჯვარცმაა: აქ ატიკელ მობაასეთ თითქოს წამიერად ეცემათ გოლგოთის აჩრდილი! შდრ.: E. Benz, *Der gecreuzigte Gerechte bei Plato, im Neuen Testament und in der alten Kirche*, Mainz, 1950.

53. Mart. S. Apollonii, c. 40.

დავუბრუნდეთ ოიდიპოსს, როგორც ის სოფოკლემ გამოსახა. ტრაგიული ირონია მხედველი პრმა ოიდიპოსის, საუბარი პრმა შორსმჭვრეტელ ტირესიათან⁵⁴ და გუნდის დასკვნითი გოდება ხილვადობის ძალაზე (δοκεῖν)⁵⁵ – გვაიძულებენ ოიდიპოსის თვითდაბნელება თვალთა ხილვადობისა და არსის დაპირისპირებულობის იმავე კონტექსტში დავინახოთ. თვალისჩინისგან მოტყუებული და უხილავის გონითდამნახველი, ოიდიპოსი ითხრის თვალებს, რომლებმაც უდალატეს მას. მისი ცოდნა მიემართება თვით მას, მისი მხედ-

ველობა მიემართება შიგნით. აღმოჩნდება, რომ ცოდნა – ძალა, ცოდნა – ძალაუფლება – ეს დანაშაული და სიბრმავეა, უშავესი უხილვადობის წყვდიადი. ახლა ის, (ოიდიპოსი) უხილვადობის წყვდიადში ეძებს სხვა სიბრძნეს, თვითშემეცნების სიბრძნეს. მას უნდა ძალიან ფხიზლად ხედავდეს სწორედ იმას, რასაც საჩინო (ფიზიკური) თვალები ვერ ხედავენ. თუკი ოიდიპოს-სისხლისაღმრევისთვის ისტორიული ანალოგი კეისარია, ფილოსოფიური ლეგენდის ანალოგი ოიდიპოს-ბრმისთვის დემოკრიტე გახლავთ.

თარგმნა
ქეთევან ჯერვალიძემ



54. *Oed. R.*, 370-373: 371:

55. *Oed. R.*, 1191 sq:



ამირან გომართელი

ოიდიპოსის მითი და ქართული რომანი

1. წინათქმა

„კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი“ – ასე ჰქვია აკაკი ბაქრაძის წიგნს. მას ერთგვარი საშუალო ხაზი უკავია ბიოგრაფიულ რომანსა და მონოგრაფიას შორის, თუმც არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს რას დავარქმევთ, იმდენად მრავალმხრივი და საინტერესოა იგი, ისევე, როგორც მისი ავტორის ნებისმიერი ქმნილება. აკაკი ბაქრაძემ სხვა სიმაღლეზე აიყვანა ქართული ლიტერატურათმცოდნება და კრიტიკა, ამავდროულად, კომუნისტური დიქტატურის პირობებში იდეოლოგიური არტახებისგან გაათავისუფლა ჩვენი აზროვნება. „კარდუ...“ აკაკი ბაქრაძის ბოლო წიგნია. მე მქონდა შესაძლებლობა, თანაავტორთან, თინა ჩხაიძესთან ერთად გამომეთქვა მოწოდება აღნიშნული თხულების გამო, რომელიც შესულია აკაკი ბაქრაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ გამოცემაში – „და აღვამაღლე რჩეული ერისაგან ჩემისა“ (2002 წ. გვ. 329-333). ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, არ მიზღვდავს უფლებას, ჩემი პოზიცია გამოვხატო ერთ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. აკაკი ბაქრაძის

წიგნის სქოლიოში ვკითხულობთ: „სხვა ჩემის იდეა მთლიანად გამორიცხავს ქართულ ლიტერატურათმცოდნებაში გამოთქმულ აზრს – თითქოს „გველის პერანგში“ ოიდიპოსის მითის გამოძახილი ისმოდეს: მ. ხომერიკი – „ჰიერატიული „გველის პერანგსა“ და „ფალესტრაში“ („განთიადი“, 1990 წ. №2); ა. გომართელი – „ქართული სიმბოლისტური პროზა“; დ. კიზირია – „გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ რუსულევროპული სიმბოლიზმის კონტექსტში“ („ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ. № 22). არც ერთი მოტივი ოიდიპოსის მითისა „გველის პერანგში“ არ არის. მით უმეტეს, გაუგებრობაა და შეცდომა ინცესტის დანახვა ხსენებულ რომანში. ამ საკითხის გამო პოლემიკაც კი იყო გამართული დ. კიზირიასა და თ. ჩხაიძეს შორის. („ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ., №51; 1990 წ., №34). აკაკი ბაქრაძე, „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი“, თბილისი, 1999 წ., გვ. 237.“

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ არც მანანა ხომერიკი და არც მე ფრონდის ფსიქოანალიზის, ე.წ. „ოიდიპოსის

კომპიუტერული „შუქრი“ არ ვკითხულობთ „გველის პერანგს“. მანანა ხომერიკი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას გრიგოლ რობაქიძის ირონიულ დამოკიდებულებაზე ფრონდის მიმართ: „ფალესტინი“, – წერს მ. ხომერიკი, – ვხვდებით „ფრონდიზმით“ ზედმეტად გატაცების აშკარა დაცინვას: „კაბარიკში“, სადაც რობაქიძის თქმით, მართლაც გამართლდა „41 გრადუსის“ ლოზუნგი, სწავლული გიორგი არტემიჩ ხარაზოვი, სპეციალობით მათემატიკოსი და „განხრით“ ფრონდიანელი, ყველაფერს ფრონდის მეთოდით ხსნიდა. პუშკინის ტატიანას სიზმრის ახსნას შემთხვევით მოისმენს ერთი მოქალაქე, რომელიც საზოგადოებას გადასძახებს: სიზმრის ახსნა თუ გინდათ, ავლაბრელ ვანუას ქვრივს კითხეთო. ხარაზოვს ამ შეძახილის ახსნაც ფრონდის მეთოდით უნდოდა: „მოქალაქეს წინ ერთი სქელი ქალი იჯდა დაყურსული და ამ მეთოდისთვის ეს ბევრს ნიშნავდა“ – ირონიულად აღნიშნავს გრ. რობაქიძე“.

წიგნში „გველის პერანგის კოდი“ (2010 წ.) მანანა ხომერიკი ასევე საგანგებოდ აღნიშნავს: „რაც შეეხება „ოიდიპოსის მითს“, ჩემს წიგნში იგი საერთოდ არ იხსენიება“.

ოიდიპოსის მითთან გრიგოლ რობაქიძის რომანის მიმართებაზე საგანგებო საუბარია ჩემს წიგნში „ქართული სიმბოლისტური პროზა“ (1997 წ.) მეტიც, მას საკმაოდ ვრცელი თავიც კი ეძღვნება, რომლის სრულად მოხმობას ამჯერად არ ვაპირებ, თუმც ვფიქრობ, ოიდიპოსის მითთან „გველის პერანგის“ მიმართების გააზრების გარეშე რომანის სტრუქტურაცა და აზრობრივი შინაარსიც ხელიდან გაგვისხლტება.

აკაკი ბაქრაძე „გველის პერანგის“ ვრცელ და საგანგებო ანალიზს არ იძლევა. ის, რაზეც ახლახან გავამახვილეთ ყურადღება, სქოლიოში წერია, თუმც, პუნქტირივა, სქოლიოში გამოთქმული აზრიც გასათვალისწინებელია და პა-

სუხსაც მოითხოვს. მიმართია, რომ აკაკი ბაქრაძის შენიშვნაზე დუმილით გვერდის ავლა ჩემი მასწავლებლის უპატივცემულობა უფრო იქნებოდა, ვიდრე მისი ხსოვნის პატივისცემა. აკაკი ბაქრაძის „კარდუ...“ ლიტერატურის მოყვარული მკითხველისათვის დღესაც ღირებული წიგნია და ასეთად დარჩება მომავალშიც, მიუხედავად იმისა, გავიზიარებ თუ არა მის შენიშვნას. მინიშვნელოვანია ისიც, რომ აკაკი ბაქრაძის შენიშვნამ გადამაწყვეტინა სერგეი ავერინცევის ნარკვევის თარგმანის გამოქვეყნება, რითაც ქართველ მკითხველს, განსაკუთრებით ანტიკური მითოლოგით, ლიტერატურითა და ფილოსოფიით დაინტერესებულ სტუდენტ ახალგაზრდობას, ეძლევა საშუალება, კლასიკური ფილოლოგისა და ფილოსოფიის ისტორიის ისეთი გამოჩენილი მკვლევარის ნარკვევს გაეცნოს, როგორიც სერგეი ავერინცევია. სწორედ ს. ავერინცევის გამოკვლევის ფონზე შევეხები რამდენიმე არსებით საკითხს ოიდიპოსის მითის მიმართებისა გრიგოლ რობაქიძის რომანთან.

ფსიქოანალიტიკოს ზიგმუდ ფრონდის მიერ დამკვიდრებული ტერმინის – „ოიდიპოსის კომპლექსი“ – წყალობით ანტიკური მითისა და შემდგომში ანტიკური ტრაგედიის მთავარი გმირის სახელი, XIX საუკუნის დასასრულიდან დღემდე, ყველაზე ხშირად, აღბათ, ხელოვნების სფეროში იხსენიება. „ოიდიპოსის კომპლექსი“ აღნიშნავს ბავშვის არაცნობიერ ან ცნობიერ სექსუალურ ლტოლვას საწინააღმდეგო სქესის მშობლისადმი და ეჭვიანობასა და შურს თავისივე სქესის მშობლის მიმართ.

იბადება კითხვა, რა შინაარსის გამომხატველია და როგორია სიმბოლიკა ოიდიპოსის მითისა, რომლის მეშვეობითაც ზიგმუნდ ფრონდმა ხატოვნად გადმოსცა თავისი თეორიის არსი და დაამკვიდრა ტერმინი – „ოიდიპოსის კომპლექსი“. სერგეი ავერინცევის

ნარკევი სწორედ ამ კითხვაზე იძლევა პასუხს. უნდა ითქვას, რომ ავერინცევის აღნიშნული სტატია გამოქვეყნებისთანავე იმდენად პოპულარული გახდა, რომ ანტიკური ფილოსოფიისა და ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარი ჩიოდა, ამ არც თუ ღრმა მეცნიერულმა ნაშრომმა ჩემი ყველა მნიშვნელოვანი გამოკვლევა გადაფარაო. ჩემი აზრით, ეს მომეტებული დაინტერესება ოიდიპოსის მითის ფსიქოანალიტიკოსთაგან სრულიად განსხვავებულმა ინტერპრეტაციამ გამოიწვია.

ჩვენთვის, ქართველი მკითხველისათვის, სერგეი ავერინცევის სტატიას არა მხოლოდ კულტუროლოგიურ-სამეცნიერო ღირებულება აქვს, არამედ მითის იმგვარი ინტერპრეტაცია, როგორიც ავერინცევის სტატიაშია, უაღრესად მნიშვნელოვანია „გველის პერანგის“ აზრობრივი შინაარსის ამოსახ-სნელად. გრიგოლ რობაქიძის რომანში მითის ფრონიდისტული გააზრებისაგან

აბსოლუტურად განსხვავებულ ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე, რომელიც ნაწარმოების მთლიან სტრუქტურაში საცნაურდება და რომლის ამოკითხვის შედეგადაც ხდება გასაგები რომანის აზრობრივი შინაარსი.

როგორც სერგეი ავერინცევის ნარკევიდან ჩანს, მითის თავდაპირველ შინაარსს, სადაც დედის ფლობა სიმბოლურად სამშობლოსა და ძალაუფლების ფლობას გამოხატავდა, არაფერი აქვს საერთო ფრონიდის „ოიდიპოსის კომპლექსთან“. მითის ამგვარი სიმბოლიკა განმარტებული იყო ძველი თუ ახალი დროის არაერთ ავტორთან. ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე განსწავლული გრიგოლ რობაქიძე კარგად იცნობს მითის ამგვარ განმარტებებს, საკუთარი რომანის სტრუქტურასაც მისი მეშვეობით აგებს და მისივე მეშვეობით გამოხატავს ნაწარმოების აზრობრივ შინაარსს.

2. ვნებული დიონისეს ქართული ნიღაბი

ოიდიპოსი „ვნებული დიონესეს ნიღაბია მხოლოდ და მხოლოდ“
(ფრიდრიხ ნიცშე, ტრაგედიის ნაწარმოშობა მუსიკის სულიდან“)

„გველის პერანგის“ სიუჟეტური ქარგა ოიდიპოსის მითს იმეორებს. ანტიკური მითი ახალ დროშია გადმოტანილი. თუ ეს არ გავიაზრეთ, გაგვიჭირდება ბოლომდე ამოვხსნათ ღრმა სიმბოლიკით აღსავსე რომანის აზრობრივი შინაარსი. აკი ამბობდა გრიგოლ რობაქიძე, „ვისაც „სიმბოლო“ და „მითოსი“ არ ესმის, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს“-ო.

ოიდიპოსის მითი, სოფოკლეს დიდებული ტრაგედიის წყალობით, კაცობრიობის წიგნიერი ნაწილის მეხსიერ-

ბაში მკაფიოდაა შემონახული, მაგრამ ამჟამინდელი მიზნისათვის მაინც აუცილებლად მიმაჩნია მისი ხელახალი გახსენება. ამასთან ტრაგედიის სიუჟეტურ თანამიმდევრობას მცირეოდენ ვცვლით შეგნებულად.

ქალაქს (თებეს) ურჩებული დაპატრონებია, რომელსაც თავი და მკერდი ქალისა აქვს, ტანი კი ლომისა. ამ საზარელ არსებას სფინქსს უწოდებენ. ყველას, ვინც მის სიახლოვეს გამოჩენდება, დაღუპვა ელის, რადგან ვერავის გაუცია პასუხი მის შეკითხვაზე. ბო-

ლოს მაინც გამოჩნდა გმირი, რომელ-
მაც ამოხსნა გამოცანა. ეს კი, პირო-
ბის თანახმად, სფინქსის აღსასრულის
მომასწავლებელი იყო. იმ ახალგაზრდა
კაცს, ვინც ქალაქი ურჩხულისაგან იხ-
სნა, ოიდიპოსი ჰქვია. ოღონდ მას სხვა
უბედურება სჭირს. საკუთარი ჭეშ-
მარიტი წარმომავლობა არ იცის. „....
არც დედა არც მამა არც ძმა არც და
არც სხვა ნათესავი...“ (როგორც ამ-
ბობს გრიგოლ რობაქიძე საკუთარი
რომანის პერსონაჟზე), სამშობლოც კი
არ იცის თავისი. კორინთოელი ჰგო-
ნია თავი, თუმც კორინთოდან გამოქ-
ცეულა. ეშინია, დელფოს ორაკულის
წინასწარმეტყველება არ აუხდეს: მამას
მოკლავ და დედას ცოლად შეირთავო.
სამშობლო მამის ნებით დაატოვებინეს
ოიდიპოსის. მამამისმა ბრძანა, თებედან
მოშორებით გადაეგდოთ ახალშობილი,
მოეკლათ, რათა არ ახდენოდა საზარე-
ლი წინასწარმეტყველება, მაგრამ ვინ
გაქცევია ბედისწერას, ვერც ოიდიპოსი
და მამამისი გაექნცნენ მას.

თებესკენ მიმავალ გზაზე ერთი
ჭარმაგი დიდებული შემოაკვდა ოიდ-
იპოსის. მერე ირკვევა, ეს კაცი მამა
ყოფილა მისი – თებეს მეფე – ლაი-
ოსი, ოღონდ, არც თებელებმა იციან
ვინაა მკვლელი და არც ოიდიპოსმა
უწყის მოკლულის ვინაობა. სფინქსის-
გან თავდახსნილმა თებელებმა, მად-
ლიერების ნიშნად, ოიდიპოსს ლაიოსის
ქვრივი შერთეს ცოლად – იოკასტე და
მეფედ დაისვეს იგი. ასე გახდა საკუ-
თარი დედის თანამეცხედრე. როდესაც
ეს ამბავი გამომზეურდება და ოიდ-
იპოსი სიმართლეს შეიტყობს, უნებლიე
დამნაშავე თვალებს დაითხრის...

ჰამადანში, ძველ ექბატანაში, ქვის
ლომი აღმართულა. ქვის ლომთან ზის
ახალგაზრდა კაცი. არც მან იცის საკუ-
თარი წარმომავლობა. როგორც მწერ-
ალი გვეუბნება, „არც დედა არც მამა
არც ძმა არც და არც სხვა ნათესავი...“
სამშობლოც კი არ იცის თავისი. ინ-

გლისელი ჰგონია თავი და სახელად
არჩიბალდ მეკეშს უხმობენ. სამშობლო
მამის ნებით დატოვა. მამამისმა გა-
ნარიდა იგი „ნაზრახ ადგილს“ – მშობ-
ლიურ კერას. ახლა არჩიბალდი ჰამა-
დანში ზის და ხელთ ხვლიკისფერი ქვა
უპყრია რომელზედაც სფინქსის გამო-
ცანაზე არანაკლები თავსატეხი კითხვა
უწერია: „ჩემი ძმა არყოფილი ვითარ
მიყვარდის უმეტეს მზისა და უმეტეს
ხმალისა რამეთუ იყო იგი სხვა ჩემი“. ეს ამბავი, როგორც მკითხველმა
იცის, უკვე მოთხრობილია გრ. რობაქ-
იძის „გველის პერანგში“.

„გველის პერანგისადმი“ მიძღვნილ
მანანა ხომერიკის წერილში „ჰიერა-
ტიული „გველის პერანგსა“ და „ფალ-
ესტრაში“ აღნიშნულია, რომ ჰამადა-
ნის ქვის ლომი იგივე სფინქსია. ქვაზე
ამოკვეთილი წარწერა კი, დავძენ, ჩე-
მის მხრივ, ისევე მოითხოვს ამოხსნას,
როგორც სფინქსის გამოცანა. მეტიც,
მასზე რთულიცაა და ღრმა შინაარ-
სის შემცველიც, მაგრამ ამჯერად ისევ
ოიდიპოსის ამბავს დავუბრუნდეთ და
სფინქსის გამოცანა გავიხსენოთ. ელინ-
ისტური ხანის ტექსტი გიროგი ხომერი-
კის თარგმანში სიტყვა-სიტყვით ასე
უძერს ქართულად:

„არის დედამინაზე ორფეხა,
ოთხფეხა და სამფეხა არსება,
რომელსაც ერთი ენა აქვს,
იგი ერთადერთი იცვლის იერს
იმ არსებათა შორის,
რომელნიც მინაზე,
ცაში და ზღვაზე მოძრაობენ.
მაგრამ როდესაც იგი ჩქარობს
და მეტი ფეხით დადის,
მისი სიჩქარე, კიდურთა
რიცხვს გამო,
უფრო ნაკლები ხდება“.

ოიდოპოსმა გამოიცნო სფინქსის
გამოცანა – ადამიანს გულისხმობო,
ოღონდ შეუძლებელია იმის თქმა, რომ
ამ ამოხსნით რაიმე განსაკუთრებული
გვითხრა ადამიანის ბუნების შესახებ.

მან თქვა ის, რაც ყოველი თვალხილულისათვისაა ნათელი: ვიდრე ფეხს აიდგამდეს ჩვილი, ოთხზე დაფოფხავს, მერე ორ ფეხზე იწყებს კაცთა მოდგმა სიარულს და სიბერის უამს კვერთს ებჯინება მოხუცებული. ის რაც ოიდიპოსმა ამოიცნო, ადამიანის არსებობის ფიზიკურ მხარეს, ემპირიულ სინამდვილეს ეხება მხოლოდ.

მიუხედავად გამოცანის ამოხსნისა, შეუძლებელია ვილაპარაკოთ ოიდიპოსის სიბრძნეზე, ვინაიდან „მას საკუთარი ბედისწერის საიდუმლოს ამოხსნაც კი არ შეუძლია“, – ამბობს სერგეი ავერინცევი გამოკვლევაში, რომელშიც ოიდიპოსის მითის სიმბოლიკას განმარტვს. სხვათაშორის, ოიდიპოსის სიბრძნეს ეჭვის თვალით პირველმა ბრძა მისანმა, ტირესიასმა, შეხედა. მას სასაცილოდ არ ჰყოფნის სფინქსის გამოცანის ამოხსნა. გავისხენოთ სოფოკლეს ტრაგედიის ეს ადგილი.

„შენ რა ყველაფერს დაფარულს და არაცხადს ამბობ“, – ეუბნება გაგულისებული ოიდიპოსი ტირესია.

ტირესიასის პასუხი ირონითა სავსე;

„მათს ამოხსნაში შენ არა ხარ განაპირველი“.

ასე რომ, ოიდიპოსმა შეძლო სფინქსის გამოცანის ოდენ პირველი შრის გახსნა, მაგრამ ანტიკური მითოსი საზოგადოდ და ოიდიპოსის მითი კერძოდ, რომელსაც სოფოკლეს ტრაგედია ემყარება, გაცილებით ღრმა შინაარსს შეიცავს.

ოიდიპოსის მითი „შეცნობის მითაო“, უთქვამს ამერიკელ სწავლულს, ალისტერ კამერონს. მითის ამგვარ ფილოსოფიურ შინაარსს, უწინარეს ყოვლისა, გენიალური დრამატურგი ითვალისწინებდა. ამიტომ შექმნა „ოიდიპოს მეფის“ კვალდაკვალ ტრაგედია „ოიდიპოსი კოლონისში“, სადაც ვნებული, თვალისჩინდაკარგული ოიდიპოსის შემდგომი თავგადასავალია ალწერილი. თვალებდათხრილი, სინათლედაშრეტილი ოიდიპოსი სწორედ იმის შეცნობას

ცდილობს, რაც ემპირიული, ფიზიკური სინამდვილის მიღმაა. ამისათვის შინაგანი მზერაა საჭირო (ის, რასაც ვაუა ფშაველამ „თვალი მეცანი“ – შემმეცნებელი თვალი უწოდა). ბრძა მისანთან, ტირესიასთან დიალოგში კი ოიდიპოსის წინაშე გაცილებით რთული საკითხი დგება. მან ადამიანის არსი უნდა შეიცნოს. საკუთარ მოდგმას, გვარს (ბერძნულად „გენოს“) ვეძიებო ეუბნება ტირესიას. საკუთარ გვარსა და მოდგმას ეძიებს რობაქიძის რომანის პერსონაჟიც, არჩიბალდ მეკეში. საკუთარი მოდგმის შეცნობა მითოპოეტურ ენაზე ადამიანის არსის შეცნობის, სამყაროს შემეცნების – კოსმიურ პირველსაწყისთან მიმართების მისტიკურ გზას გულისხმობს. ეს მიზანი საერთოა სოფოკლეს ტრაგედიისა და რობაქიძის რომანის გმირებისათვის.

„გველის პერანგში“ მთავარია ნიც-შესეული თვალთახედვით დანახული დიონისე და აპოლონი, რომელთა სტიქიები გაცოცხლდნენ და ამეტყველდენენ არჩიბალდისა და ვამეხის ბუნებაში. ვამეხი არჩიბალდის მეორე „მე“-ა, მისი „ალტერ ეგო“. ამდენად, შემეცნების გზაზე ისინი ერთად მიღიან. დელფოს სამისნოს კარიბჭეზე ეწერა: „შეიცან თავი შენი“. დელფოს სამისნოს კი ერთად განაგებდნენ ძმები – აპოლონი და დიონისე. არჩიბალდმაც (დიონისემ) ვამეხის (აპოლონის) დახმარებით უნდა გასცეს პასუხი კითხვაზე: ვინ არის ადამიანი, რა კავშირშია იგი გარემომცველ სინამდვილესთან, საკუთარ ერთან თუ თანამოძმესთან, და, რაც მთავარია, სამყაროს პირველმიზეზთან – ღმერთთან, ანუ საზოგადოდ რა მიმართებაშია ადამიანი (მიკროკოსმოსი) მაკროკოსმოსთან? ყოველივე ეს „გველის პერანგის“ უმთავრეს პრობლემად შემეცნების პრობლემას აქცევს. ასე რომ, „გველის პერანგიც“ შეცნობის რომანია ოიდიპოსის მითის მსგავსად.

ოიდიპოსის მითი კი გრიგოლ რობა-

ქიძესთან, ნიცშეს კვალდაკვალ დიონისურ რკალში მოიაზრება. ნიცშეს თანახმად, ოიდიპოსი „ვნებული დიონისეს ნიღაბია მხოლოდ და მხოლოდ“. კიდევ ერთხელ მივაცყროთ ყურადღება „ტრაგედის დაბადების“ ავტორს: „ბერძნული სცენის ყველა სახელოვანი ფიგურა – პრომეთე, ოიდოპოსი და ა. შ. წარმოადგენენ ნიღაბს ამ ძირეული გმირისა – დიონისესი“. არჩიბალდის სახის იდენტურობა დიონისესთან რობაქიძის რომანში წინსვლის, განახლების, მეორედ შობის, პერსონაჟის სულიერი ზეობის გარანტია.

ანტიკურ მითში მთავარია მამისმკვლელობა და ინცესტი (დედის ცოლად შერთვა), დანაშაული, რომელიც, რათქმა უნდა, შეგნებულად არ ჩაუდენია ოიდიპოსს. „გველის პერანგშიც“ მეორდება იგივე, ოღონდ, გრიგოლ რობაქიძე იძლევა მის ვარიაციას, განსხვავებულ გადაწყვეტას. სოფოკლეს ქმნილებაში მამისმკვლელობა და ინცესტი ტრაგედიას ბადებს, რობაქიძის რომანში კი სიცოცხლის ფუძედ იქცევა. იქ ყველაფერს წარმართავს ღმერთების ნება, აქ – სამშობლო და სისხლის სიმღერა.

თამაზ მაყაშვილმა მიატოვა სამშობლო, რათა საშინელი საგვარეულო სენისაგან ეხსნა ერთადერთი ვაჟი. ტაბუირების შედეგად შეიცვალა სახელი. დაირქვა თამუნჩი. არჩილი გახდა არჩიბალდი, მაგრამ მამა-შვილის გზებიც გაიყო. მათ ერთმანეთი 15 წლის წინათ დაკარგეს. მას შემდეგ არჩიბალდი ექებს მამას, საკუთარ დაკარგულ თუ არარსებულ სამშობლოს. ნელნელა გამოდის ნისლეულიდან, პოულობს წინაპართა კვალს, თანამოძმეუბს, ჩადის საქართველოში, ეწვევა საირმეს, იხილავს ერთ ხედ ქცეულ ცხრამუხას, გაიცნობს და შეიყვარებს მატასის – ვამეხ ლაშების დას. იგებს „ანგლიჩნებში“ წასული თამაზის სახელს და მოსვენებას კარგავს. მოხუცი სარიდანი ამბობს, რომ გადაშენდნენ მაყაშ-

ვილები. დარჩა მხოლოდ ერთი და ისიც უცხოეთში წავიდა, მათი ნამოსახლარი „ნაძრახი“, დაწყევლილი ადგილა, სადაც ჭინკები დარბიან ღამე და ნაშიერი არ ხარობს. არჩიბალდმა გაიგო, რომ ეს „ნაძრახი ადგილი“ „საშოა მისი“. მალე მაყაშვილების ნამოსახლარში უცხო კაცი, „ბასკი“ გამოჩნდება. ღამე იქ სძინავს. იგი მოხუცია, იცის ქართული, რიონის სადგურთან რატომლაც ატირებულა, ჩანს, მასაც მორევია წინაპართა სწეულება. შეშლილივით დაერევა სოფლის ახალგაზრდებს. ხელთ უცყრია ხმალი, რომელსაც აწერია „ირუბაქიძე“. ეს მახვილი არჩიბალდმა სპარსეთში აჩუქა ვამეხს. ვამეხს მოეწონა და ისე გახელდა, როგორც ახლა აქ, საირმეში, უცხო თამუნჩი. თამუნჩიობ წაიკითხა წარწერა და ტვინი აემლვრა. ხმალშემართული „ბასკის“ წინააღმდეგ შიშველი ხლებით მიდის ვამეხი. შეტაკებისას ორივენი თხრილში გადაცვივდებიან და მსუბუქად დაიჭრებიან. დაჭრილ მოხუცს პატრონობს არჩიბალდი. ხალის მიხედვით კაცი იცნობს თავის ვაჟს – არჩილ მაყაშვილს (არჩიბალდ მეკეშს). ახლა ის აინტერესებს, ვინ იყო მორკინალი ვაჟი და იგებს, რომ ის არის ვამეხ ლაშები, წინოს შვილი. თურმე თამუნჩი საკუთარ ვაჟს შებმია. მოხუცი მეორე დღესვე გარდაიცვალა. ასე რომ, ვამეხს შეიძლება ეწოდოს მამისმკვლელი. ეს შერკინება და ჭრილობა რომ არა, თამუნჩი ცოცხალი დარჩებოდა.

ოიდიპოსივით არც ვამეხმა იცოდა ნამდვილი მამა. მან მომაკვდავი კაცის ბაგეთაგან შეიტყო, რომ ის ლაშები კი არ ყოფილა, არამედ – ირუბაქიძე-მაყაშვილი. სწორედ ბედისწერა იყო, განგების ნება, მამა შვილს მთელს ევროპასა და მესოპოტამიაში დაეძებდა, ჩამოვიდა მშობლიურ მხარეში და აქ შვილის მახვილს წამოეგო. ეს მახვილი, წინაპართა იარალი, ერთმა ძმამ აჩქა მეორეს და მამის სისხლი დაიღვარა. ასე რომ, თამუნჩი (თამაზი) და ვამეხი იმეორებენ

ოიდიპოსის მოდელს, მამისმკვლელობის უძველეს მისტერიას.

მართალია, თამაზ მაყაშვილის სიკვდილის მიზეზი ვამეხია და არა არჩიბალდი, მაგრამ ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ვამეხი ხომ არჩიბალდის მეორე „მეა“, მისი „ალტერ ეგო“. ამიტომ ოიდიპოსის მითის რობაქიძისეულ ვარიაციაში იოლად მონაცემელებენ ძმები ვამეხი და არჩიბალდი (აპოლონი და დიონისე). რაც მთავარია, „გველის პერანგს“ მითოლოგიური საფანელი აქვს და ამგვარი მონაცემელება სრულიადაც არ უნდა ეუცხოოს მკითხველს, რომელიც იცნობს მითოპოეტურ სინამდვილეს, მითის სიმბოლოთა ენას. გრიგოლ რობაქიძე კი სწორედ ასეთ მკითხველს გულისხმობს. ოიდიპოსის მითის კვალდაკვალ, მამისმკვლელობის გარდა „გველის პერანგში“ სისხლის აღრევის – ინცესტის ვარიაციასთანაც გვაქვს საქმე. ამ ცოდვას არჩიბალდი ჩადის. მას ცოლად მოყავს მატასი, ვამეხის და. თუმც არჩიბალდსა და მატას სისხლისმიერი ერთობა არა აქვთ, ზნებრივი უხერხულობა აშკარაა... მაგრამ „გველის პერანგი“ ნაკლებ ყურადღებას აქცევს ყოფითი სინამდვილის ლოგიკას, მთავარია ნაწარმოების იდეური კონცეფციის ლოგიკა. არჩიბალდისა და მატასის შეუღლებაც რომანის აზრობრივი კონცეფციის აუცილებლობიდან გამომდინარეობს. მეტიც, რომანში არა მხოლოდ საკუთარი ნახევარძმის დის ცოლად შერთვის საჩითირო მომენტთან გვაქვს საქმე, არამედ ამ შეუღლებაში ინცესტის ის ვარიანტიც იგულისხმება, რომელიც ოიდიპოსის მითში გვხვდება – დედის, ანუ ქვეყნის, სამშობლოს ფლობა.

საქმე ისაა, რომ მატასის სახეს მრავალპლანიან რომანში რამდენიმე პიპოსტასი აქვს. უმთავრესი გახლავთ ის, რომ მატასი დედამინასთან, მინის საშოსთან – როგორც სიცოცხლის საწყისთან და წყაროსთვალთან არის გაიგივებული.

ეს სიმბოლიკა აშკარადაა გაცხადებული რომანში. ფეხმძიმე მატასიზე ნათქვამია: „დადის: მუცლით თითქოს მიწის საშო მიაქვს“, დედამინასთან, სიცოცხლის სათავესთან აიგივებს მატასის არჩიბალდიც: „თქვენ ხართ წყაროსთვალი“, – ეუბნება ვაჟი ქალს.

მიწის ნაყოფიერების ქალღმერთს, დედამინის („დიდი დედის“) კულტს ბერძნულ მითოლოგიაში დემეტრა განასახიერებდა. ასე რომ, მატასის სახის მეორეულ შინაარსს დემეტარა გამოხატავს. ამ სახეს სხვა შინაარსიც აქვს. მატასი წმინდა ნინოსაც განასახიერებს, წმინდა ნინოს, რომლის თმებით შეკრული ვაზის ჯვარი ქართული მსოფლიგანცდის გამოხატულებად მიაჩნდა გრიგოლ რობაქიძეს. ვაზის ჯვარი – მიწიურ-დიონიუსრი სიმბოლოა. „ვაზი ხომ სახეა: მიწის – ნიადაგის სიცოცხლის. სხვაგან ჯვარი წამებისა და დასჯის ნიშანია. ჩვენში ჯვარი ლხინია თვითონ“.

მატასისა და წმინდა ნინოს სახის იდენტურობაზე რომანში არაერთი დეტალი თუ ეპიზოდი მიუთითებს: პანტომიბაში, რომელიც ქართულ სინამდვილეს ასახავს, მატასი წმინდა ნინოს ასახიერებს. ამ სპექტაკლმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არჩიბალდის ქართველად მოქცევის გზაზე. სხვა დროსაც აგონებს არჩიბალდს მატასი წმინდა ნინოს. არჩიბალდის ფიქრი: „მატასი – ნინოა, თუ დახატა მატასი – ნინო იქნება“.

მატასია ის ძალა, რომელიც საირმიდან გამოქცეულ არჩიბალდს აბრუნებს მშობლიურ წიაღში. ამდენად, მატასი=დემეტრა კონკრეტულ გარემოს, საქართველოს წიაღს განასახიერებს. „გველის პერანგის“ აზრობრივი შინაარსის ამოსაკითხად იმის გარკვევაც გვმართებს, თუ რა კავშირია დემეტრასა და დიონისეს შორის. საქმე ის გახლავთ, რომ ანტიკური მითის ზოგიერთი ვერსიის თანახმად, დიონის-

ეს დედა დემეტრაა და არა სემელე – ტიტანებისაგან დაფლეთილი დიონისის სწორედ დემეტრამ შვა ხელმეორედ. ასე რომ, არჩიბალდი (დიონისე) მატასის (დემეტრას) ცოლად შერთვით ინცესტის აქტს იმეორებს და „გველის პერანგში“, როგორც აღვნიშნეთ, ოოდიპოსის მითის ვარიაციასთან გვქონია საქმე. მატასის სახის აზრობრივი შინაარსის სიმბოლიკაც (დედამინის, მშობლიური წიაღის განსახიერება) ოიდიპოსის მითის თანახმად მოიაზრება. ოოკასტე პერძნულად „იებმორთულს“, ანუ დედამინას ნიშნავს და მითის კომენტატორთა აზრით, დედის ფლობა სამშობლოს ფლობას გულისხმობს. ასეა განმარტებული მითის სიმბოლოთა ენაზე და ასევე ხსნიდა მას ანტიკური „ონიროკრიტიკა“ (სიზმართვანმარტება), ასე რომ, მითის ასეთ ინტერპრეტაციას არაფერი აქვს საერთო ფრონტისულ ფსიქოანალიზთან, ფრონტისულ „ოიდიპოსის კომპლექსთან“.

სერგეი ავერინცევის გამოკვლევის კვალდაკვალ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, თუ რას მოგვითხრობენ რომაელი ისტორიკოსები იმ სიზმრის შესახებ, რომელიც იულიუს კეისარს რუბიკონის გადალახვის წინა ღამით უნახავს. კეისარი საკუთარ დედაზე ძალადობდა თურმე. სიზმართმეტყველებს დაუმშვიდებიათ და რწმენით აღუვსიათ იგი – ეს სიზმარი განუსაზღვრელ ძალაუფლებას გიქადისო, რადგან დედა, რომელიც მის ქვეშ მდებარე იხილა კეისარმა, სხვა არაფერია, თუ არა დედამინა, მშობელი ყოველივე ცოცხლად არსებულისა. ასეთსავე შინაარსობრივ პლასტს შეიცავს ოიდიპოსის მითიც. როგორც სერგეი ავერინცევი დაასკვნის, ოიდიპოსი „თავის დამოკიდებულებაში დედა-სამშობლოსთან მოქალაქე – შვილის როლიდან გადადის მბრძანებელი – მეუღლის როლში. ისევე უუფლება მშობლიურ მინას, როგორც ქალს, რომელიც ნებდება“.

როცა „გველის პერანგის“ მი-

თოლოგიურ სტრუქტურას ვაკვირდებით, აშკარაა, რომ გრიგოლ რობაქიძე ანალოგიურ შინაარსს დებს მატასისა და არჩიბალდის ინცესტურ ქორნინებაში (საერთოდ, „გველის პერანგის“ ავტორის აზროვნება, მითოპოეტური აზროვნებაა, ეს დროის წრეპრუნვით მოაზრებაშიც აშკარად ჩანს).

„ეროტიულია“ არჩიბალდის დამოკიდებულებაც მშობლიური მინისადმი. გამოთქმას – „ეროტიულია“ – „გველის პერანგის“ ავტორს დავესესხეთ. რუსულად დაწერილ ესსეში – „ანდრეი ბელი“ (წიგნიდან – Портреты) გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავს, რომ არის პოეტების კატეგორია, „რომელთა დამოკიდებულება მინისადმი ეროტიულია (ამ სიტყვის ანტიკური შინაარსით)“. რობაქიძის სიტყვით, „ელადის მხატვრულმა გენიამ ეს სიყვარული პლასტიკურად გამოხატა. აფროდიტეს სახეში, რომელიც ზღვის ქაფიდან იბადება“. იქვე იმასაც დასძენს, რომ „დემეტრას კულტიც მინის კულტია“.

„გველის პერანგშიც“ წყლის ქაფიდან დაბადებული აფროდიტე მატასის სახეს უკავშირდება. ბაბუა სარიდან უყვება ახალგაზრდებს ქვის ვაჟის ზღაპარს, რომელმაც მდინარის ქაფიდან წარმოშობილი ქალი შეიყვარა. ამ დროს ყველანი ისე აღიქვამენ მატასის, როგორც წყლის ქალს, ვამეხი ხმამაღლადაც აცხადებს: „მატასი მდინარის გოგოა უთუოდ“.

დემეტარასა და მატასის სახის იდენტურობაზე ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ. ასე რომ, მატასის მითოლოგიურ ჰიპოსტასთა (აფროდიტე – დემეტრა) მითოპოეტური სემანტიკის გათვალისწინებით კიდევ უფრო ნათელია – არჩიბალდის ინცესტური ქორნინებით გამოხატულია ანტიკური მსოფლალემისათვის ნიშანდობლივი ეროტიკული სიყვარული მინისადმი. ეს მინა კი, როგორც ითქვა, ქართულ წიაღს განასახიერებს. ამდენად, ინცესტის მოტივი მი-

თის სიმბოლიკის ენაზე „გველის პერანგ-შიც“ სამშობლოს ფლობას გულისხმობს და არაფერი აქვს საერთო ფრონტის ულ „ოიდიპოსის კომპლექსთან“.

ინცესტის მოტივი ცოდნის შეძენა-საც უკავშირდება – ღვთაებრივი ცოდნის, საკრალური საიდუმლოს წვდომას. „სისხლისაღრევა აკრძალულია და შემაძრნუნებელი, მაგრამ ღმერთების საიდუმლოც ხომ ასევე აკრძალულია და საშიში. ასეთია სიმბოლური კავშირი ინცესტსა და ცოდნას შორის“ (სერგეი ავერინცევი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოიდიპოსის მიერ სფინქსის გამოცანის ამოხ-სნა მხოლოდ ემპირიული სინამდვილის ცოდნას გულისხმობს. ინცესტის შედეგად ღვთაებრივ ცოდნას ეზიარა ოიდიპოსი და თვალებდათხრილი ისეთივე მისანი გახდა, როგორიც ბრძან ტიერსია-სი იყო, რომელსაც ადრე სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა თვალხილული ოიდიპოსის სიბრძნე. შემეცნების ასეთივე გზა უნდა გაიაროს ქართული რომანის პერსონაჟები – მან უნდა „იგზნოს“ (სიტყვის ამგვარი ფორმა რობაქიძეს ეკუთვნის), რა მიმართებაშია მამასთან, მამულთან, მამა უზენაესთან.

გრიგოლ რობაქიძე თავად ასე გადმოგვცემს „გველის პერანგის“ დედააზრს: „შვილი, რომელსაც საქართველო სიზმრად ახსოვს, დაექებს დაკარგულ მამას; „მამის“ ძებნაში იძვრის თანდათან, მეტი სიმძაფრით, შორეული ფესვი „მამული“, „მამულის“ ნახვაში იელვებს ხანისხან: თაური ყოვლისა, „მამა“ უზენაესი. ერთი რკალი მოიცვის მეორეთი, მეორე მესამეთი... აქ „მოცვა“ სრულდება. გმირის თავგადასავალი: გარეგან-წინსვლა, შინაგან-უკუქცევა. განცდა: „მარადი მყოფადი“. მწერლის განცხადებაში ფაქტობრივად რომანის მთავარი გმირის თავგადასავლისა და ნაწარმოების შინაგანი აზრის სქემაა

მოცემული. არჩიბალდ მეკეშის ოდისეა მესაპოტამიიდან საქართველომდე ძიება ყოფილა. ძიება არა მხოლოდ კონკრეტული მშობლისა, მამისა, არამედ უფრო მეტისა, ძიება კავშირისა საკუთარი მოდგმის (ამ შემთხვევაში ირუბაქიძეთა) თავგადასავალთან, როგორც შემადგენელ ნაწილთან ქართველი ერის ისტორიისა. ერის ისტორია კი, თავის მხრივ, ნაწილია საკაცობრიო ისტორიისა. ესეც უნდა გაიცნობიეროს არჩიბალდ მეკეშმა (არჩილ მაყაშვილმა), მაგრამ აქ არ მთავრდება ძიება. მთავარია, შეცნობა მისტიკური, მეტაფიზიკური საიდუმლოსი – აღმოჩენა საკუთარ თავში ღვთაებრივი პირველსაწყისისა, ყოვლისა თაურისა, იმ საყოველთაოსა, რითაც კაცი სხვა ადამიანს, კაცობრიობას, სამყაროს უკავშირდება, ანუ პოულობს თავს „სამყაროულ მთლიანობაში“ (როგორც ამბობს გრიგოლ რობაქიძე).

სწორედ ეს, „სამყაროული მთლიანობის“, კოსმიური ერთიანობის აღქმაა მთავარი და არსებითი „გველის პერანგ-ში“. ამ მხრივ, გრიგოლ რობაქიძეს მიაჩნია, რომ ნინამორბედიც ჰყავს – ვაჟა-ფშაველას სახით. „მინდია ისწრაფვის, იპოვოს თავითგამოხატვა სამყაროულ მთლიანობას“, – ამბობდა გრ. რობაქიძე – გრიგოლ კავკასიელის ფსევდონიმით 1911 წელს დაწერილ ნარკევში „ვაჟა ფშაველა“, რომელიც გამოქვეყნებულია რუსულ უურნალში „Мыслъ“ (ამ წერილის ქართულ თარგმანში „თვითგამოხატვის“ მაგიერ არის „თვითგასრულება“. ასეა თარგმნილი რუსული „Самоосуществоование“. ვფიქრობ, „თვითგამოხატვა“ უფრო მართებულია). არჩიბალდ მეკეშიც ისწრაფვის იპოვოს თვითგამოხატვა ანუ თავისი „მე“ „სამყაროულ მთლიანობაში“, მაგრამ ეს უკვე სხვა მსჯელობის თემაა.



ძანანა ყიფიანი

„უდაბნო გაცოვები“

(სიმონ ჩიქოვანის პოეტური გზა)

„მე რა დამრჩება ლექსების გარდა,
ბევრჯერ ვყოფილვარ სიცოცხლის მეფე,
მე ჩემი თეთრი მიმინო მყავდა
და წმინდა გული აქამდე ვკვებე!“

დეკემბერში სრულდება 120 წელი სი-
მონ ჩიქოვანის დაბადებიდან. მან ქარ-
თულ პოეზიაში ერთ-ერთმა პირველმა
შემოიტანა რთული აზრობრივ-ემოციუ-
რი დატვირთვის ასოციაციური პოეტუ-
რი სახეები.

პოეტი, პირველ რიგში, ინდივიდუალია
გარკვეული ფსიქიკური წყობით, პიროვ-
ნებაა, განსხვავებული ხასიათითა და მი-
მართებებით (როგორც საკუთარი შიდა,
ასევე გარესამყაროსადმი). ამდენად, პო-
ეტის თავისებური მიმართება საგნებსა
და მოვლენებთან, სამყაროს მისეული
აღქმა, საფუძველია მისი პოეტური ინ-
დივიდუალობის. პოეტური ინდივიდუა-
ლობა მარტო აღქმის თავისებურებაში
არ მუღავნდება. იგი გულისხმობს აგ-
რეთვე გამოხატვის შესაბამის ხერხებსა
და პოეტურ ტექნიკას. სიმონ ჩიქოვანის,
როგორც ფსიქიკური ინდივიდუალის, შე-
მოქმედად ჩამოყალიბების პროცესი და-

კავშირებულია ფუტურიზმის ლიტერა-
ტურული სკოლის გაკვეთილებთან.

რით შეიძლება აიხსნას სიმონ ჩიქოვა-
ნის მისვლა ფუტურიზმის ესთეტიკასთან,
უფრო სწორად, ფუტურიზმის პოეტიკის
მთელ რიგ თავისებურებებთან?

ფუტურისტული მსოფლგაგება იკ-
ვებებოდა ინტუიტივიზმის თეორიით,
რომლის თანახმადაც შემოქმედებით
პროცესს საფუძვლად უდევს ინტუიცია,
რომელიც სრულიად დამოუკიდებელია
ცნობიერი სფეროსგან და უპირისპირ-
დება ინტელექტს, ცოდნას. ამგვარად,
პოეტი, პირველ რიგში, უნდა ყოფილიყო
ინტუიტი და უნდა ჰქონოდა ასოციაცი-
ური აღქმის დიდი უნარი. „თუ ინტუიტი
არა ხარ, ნუ გაეკარები პოეზიას!“ – აც-
ხადებდნენ რუსი ფუტურისტები.

სიმონ ჩიქოვანის, როგორც ინდივი-
დუალის, ფსიქიკური წყობის თავისებუ-
რებას წარმოადგენდა სწორედ მდიდა-

რი ასოციაციური ფანტაზია და გამახ-ვილებული ინტუიცია, რომელიც კიდევ უფრო გამოააშკარავა ფუტურისტულმა ექსპერიმენტებმა; „მე, რომელმაც საკ-ვირველება დავიჭირე სინამდვილეში“ – ეს იყო ამ სკოლის ყველაზე დიდი დამ-სახურება პოეტის წინაშე.

„კოლუმბიც ზღვაში სდევდა
ინდოეთს
და გემის ლოტოლვამ სხვა მხარე
გახსნა“

აღსანიშნავია, რომ სიმონ ჩიქოვანის ადრინდელი პერიოდის ლექსები იმთა-ვითვე გამოირჩეოდა სხვა ფუტურისტი პოეტების ლექსებისაგან. მასში ნამ-დვილი პოეტი იზრდებოდა და მის მიერ მემარჯვენე პოეტებზე ნათქვამი – „მე თქვენში ვჩანდი, ვით ხეებში სდგას მაგ-ნოლია“, მის თანამებრძოლებს უფრო ეხებოდა.

ფუტურისტებისათვის მნიშვნელოვა-ნი იყო არა მარტო საგნებისა და მოვ-ლენების მეტად თავისებური აღქმა და ნარმოსასვა, არამედ მათი აღმნიშვნელი სიტყვების მეტად თავისებური გაგე-ბაც; ისინი ტრადიციულ სახეს უკარგავ-დნენ არა მარტო საგნებს, არამედ მათ აღმნიშვნელ სიტყვებსაც. პოეტისთვის პირველხარისხოვანი იყო, რას კარნა-ხობდა ესა თუ ის სიტყვა, აკუსტიკური თვალსაზრისით და შემდეგ ის შინაარსი, რაზეც იგი მიუთითებდა. რადგან პოე-ტებმა სიტყვებს დაუკარგეს საკუთარი მნიშვნელობა და ბგერების თავმოყრად გამოაცხადეს, ამიტომ სიტყვაში ცალკე-ულ ბგერებს მისცეს თავისუფლება და ლექსის ბგერითი ფონოლოგია თემის რაობის ფონს შეუთანხმეს (სხვა მხრივ, ამას ბგერების შენება ეწოდებოდა); ყო-ველ პოეტში შემოდის ბგერების ფიზი-ოლოგიური განცდა და ეს განცდა ლექ-სში არ უნდა დაიკარგოსო – ამბობდნენ ისინი

სიმონ ჩიქოვანი წერილში „ახალი ხე-ლოვნების ფაქტები“ წერდა: ბგერების ფიზიოლოგიაზე დასვლით არამცთუ

მოვსპეც ჩვენ ქართული ხელოვნება, არამედ გავაცოცხლეთ მისი ძირეული განცდაო.

ოციანი წლების მეორე ნახევარი სავ-სეა ფუტურისტული ექსპერიმენტებით. სიმონ ჩიქოვანმა, თანამოკალმეებისგან განსხვავებით, შეძლო ფუტურისტული თეორიისა და პრაქტიკის შეხამება. ეს თავისებურ სირთულეს წარმოადგენ-და და პოეტის ნიჭმაც სწორედ აქ იჩინა პირველად თავი. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსი „პრიმიტივი სიმღერისა – მასა-ლა „ცირა“: ლექსის შინაარსობრივი ფო-ნი შემდეგია: იტაცებენ ცირას, მიჰყავთ შორს. ცირა სასონარკვეთილია, ცირა განიცდის. მთელი განწყობილება ამ სი-ტუაციის პოეტის მიერ იმგვარ ბგერით სამოსელშია გახვეული, რომლის აკუს-ტიკური უდერადობაც „შეესაბამება“ მო-ცემულ სიტუაციას:

„ბუდე ბაიდებს,
ბუდე ბაიდებს,
ცირა მუხლებზე გულ-ფილტვს
დაიდებს,
აიდა-ბაიდებს, აიდო-ბაიდებს
ცირა წარბა, ცირა წარბა,
ცირა წარბი წარბენილი
ცაჯუთხედი, ცაჯუთხერი, ხიდბოვირი
ოდელაიდო ბუდე, ოდელაიდო ცა –
მდინარის პირას ცხენების მოცდა“:

„ბუდე ბაიდებს, ბუდე ბაიდებს“ –
ცირას სიმშვიდესა და უშფოთველობაზე მიუთითებს, ცირა თითქოს ბუდეში ზის, საფრთხეს არსაიდან ელოდება; „ცი-რა მუხლებზე გულ-ფილტვს დაიდებს“ – შესაძლებელია იმის წარმოდგენაც, თუ როგორ ზის ცირა; „აიდო ბაიდებს“, „აიდა ბაიდებს“ – თითქოს ამ „ბუდის“ რღვევა იწყება, „ბ“ და „დ“ ბგერების ხშირი მონაცვლეობა „ბადის“ წარმოსახ-ვაში გვეხმარება, ცირას აშკარად მახეს უგებენ. „ცირა წარბა, ცირა წარბა, ცირა წარბი წარბენილი“ – ცირამ ეს წუთია თვალი მოჰკრა გამტაცებლებს, წარბი შეიკრა, სასონარკვეთამ შეისყრო, იგი უცებ მიხვდა თავის უბედურებას. „ცა-

კუთხედი, ცაკუთხერი, ხიდბოგირი“ – ცირას უკანასკნელი იმედი გამოსჭვივის, ის ჯერ კიდევ ხედავს ნაცნობ ადგილებს, თითქოს მზერით ეჭიდება მათ, თუმცა უკვე მეკობრების ხელშია... „ოდელაიდო ბუდე, ოდელაიდო ცა“... – მშვიდობით სიმშვიდევ და მშვიდობით მაღალო ცაო თავისუფლებისაო...

„და მდინარის პირას ცხენების მოცდა“ – ეს უკვე ყველაფრის დასასრულია – ცირა მოიტაცეს.

ეს ლექსი ერთადერთია პოეტის „ორკესტრული ლექსებიდან“, რომელიც შემორჩა მის პოეზიას. მასში პოეტმა მიაღწია იმ ბერით ულერადობას, რომელმაც შეძლო ლექსის შინაარსობრივი ფონის შესაბამისი განწყობის გადმოცემა.

„ცირას“ ერთგვარი შინაარსობრივი გაგრძელებაა 1924 წელს დაწერილი ლექსი – „სიდუ“. მასში გამომჟღავნდა პოეტის მიერ საგნებისა და მოვლენების ინტუიტური აღქმის, თავისებური აღბეჭდვის განსაკუთრებული უნარი. ცალკეულ სტროფებში პოეტმა შეუმცდარად გადმოსცა შვილის დაკარგვით შეძრწუნებული დედის ტრაგედია – სიბნელის წინაშე მდგარი დედა (ამ სიბნელემ მისი შვილი შთანთქა) გაურკევლობამ და იდუმალებამ საბოლოოდ გატეხა – „განვდილ მელავებით დედამ სივრცე მოიმდურია“; იმ წუთებში სიბნელე დედის-თვის ყველაზე დიდი მტერია: „მთელი ქვეყანა დედისათვის სიბნელით სტყუის“. აქ პოეტი დედის სულიერ განცდათა გადმოსაცემად არ მიმართავს ჩვეულ გზას – არ გამოხატავს დედის აქტიურ მოქმედებას. დედა ხმასაც არ იღებს; აქ ჩანს დედის მიმართება გარე სამყაროსადმი – დედა და სიბნელე, დედა და ზღვა და ამით ერთი ხელის მოსმით იქმნება სიტუაციური განწყობაც: „ბნელი ღამეა. ჩრდილოეთიდან ზღვაური ზმუის, ციდან ელვები ნატეხებით ალვებზე სტყუის“, „გზით გადადგმული ნაბიჯები ბნელში ქრებიან“.

საგნებით უონგლიორობა ფუტურის-

ტებთან ამ საგნების ახლებურად აღქმის საშუალებაა. რაც შეიძლება ბევრ საგანს უნდა მოავლოს თვალი პოეტმა, რაც შეიძლება ბევრმა საგანმა უნდა მიიღოს მონაწილეობა პოეტურ აქტში, რაც შეიძლება განსხვავებული და დაუკავშირებელი უნდა იყვნენ ისინი ერთმანეთთან და ფუტურისტი სიმონ ჩიქოვანიც ცდილობს, საკუთარ უნესრიგო ასოციაციებს ლექსში ადგილი მისცეს. შემდგომში გარეგნულად „თვალის მოვლების“ ამ ჩვევამ პოეტის განცდათა სილრმეში გადაინაცვლა. ერთმანეთს დაუკავშირდა სხვადასხვა მნიშვნელობისა და დანიშნულების საგნები, მაგრამ არა ზერელედ, გარეგნულად, არამედ შინაგანად აზრობრივ-ემოციურ უზოგადეს კავშირ-თვისებათა საფუძველზე. ერთი სახე პოეტთან შეიძლება „გაურულებაც“ იყოს, „აპრილის რტოც“, „განშორებაც“, „მთვარის ჩრდილიც“, „სიყმანვილის მოფონებაც“, „თვალის ჩინიც“ და „გაფრენილი მოგონებაც“:

„ახლა შირით შევდები მარტო,
ნუთუ შენ ხარ ადრინდელი
გაურულება,
მოტეხილი აპრილის რტო
და ცხოვრების ნაპურალზე
განშორება?
ნუთუ შენ ხარ მთვარის ჩრდილი
გაზაფხულზე სიყმანვილის
მოფონება,
დაკარგული თვალის ჩინი
და თეთრ ხიდზე გაფრენილი
მოვონება.“
(„თეთრი ხიდი“)

ამ სტრიქონებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ თავისუფლად ფლობს პოეტი „საგნებსა“ და „მოვლენებს“, როგორ თავისუფლად ახამებს მათ ერთმანეთთან. სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობის საგნები ერთმანეთის გვერდით თითქოს ჯადოსნურ კავშირს ამყარებენ და პოეტურ სასწაულებს ჩადიან:

„ხან მთესველი ვარ და ხან მეთევზე,
მეც ობლის კვერთხი ადრე ვიხემსე,

ალბეჭდილი ვარ გრემის კედელზე,
ხვამლის მთაზე და ომოგვის
ციხეზე.
არ მენატრება თეთრი სიძერე,
ისევ მკვებავენ მუხის ფესვები,
ფრთები მომცეს და მეც შევიფერე
და ცას ვარსკვლავებს დავესესხები".
(„არ დამმშვენდება“)
„აქლემებივით გამოდიან
მწუხრის ჩრდილები,
ციხის კედლები და ცაცხვები
ერთად გროვდება,
თითქოს ვარსკვლავები
ამოვკორტნე გრძელი ფრჩხილებით
და ფრინველივით შეღამება
მიახლოვდება".

(„შენი ჩრდილის საძებნად“)

თითქოს კალმის ერთი მოსმით ფეხ-
ზე დგებოდეს მთელი პოეტური სამყა-
რო. საგანთა ასეთი მრავალფეროვანი
მოძალება ლექსში უთუოდ ფუტურის-
ტული პოეტიკის ხანგრძლივი გავლენის
შედეგია. პოეტს თითქოს არ აკმაყოფი-
ლებს თავისი თავის შედარება მხოლოდ
„მთესველთან“, ის აუცილებლად „მე-
თევზეცაა“; ის არა მარტო „გრემის კე-
დელზე“ ალბეჭდილი, არამედ – „ხვამ-
ლის მთაზეც“, „თმოგვის ციხეზეც“. ეს
საგნები თითქოს თავისთავად ლაგდები-
ან ერთმანეთის მიყოლებით და ეს ასო-
ციაციები დაუსრულებლად გაგრძელდე-
ბოდა, პოეტი დროზე რომ არ უყრიდეს
მათ თავს. ამდენად, სიტყვებით უონ-
გლიორობიდან სათავე დაედო პოეტის
მრავალფეროვან შინაგან პოეტურ ხედ-
ვას.

პოეტის ასოციაციური ფანტაზიის
დახვენასა და გაფართოებასთან ერთად,
ფუტურისტულმა ასოციაციურმა სახე-
ებმაც მეტი პოეტურისტი შეიძინეს. 1930
წლის შემდეგ ათწლეულში პოეტის ლექ-
სებში ამ პოეტურ სახეებს კვლავ მოჰ-
ყვება ფუტურისტული სითამამე და ოდ-
ნავი სიუხეშე, მაგრამ მათ უკვე პოეტუ-
რი ღირებულება აქვთ:

„ღრუბელი კლდეზე მოფორთხავს

მუცლით“.

(„ხევსურული ძროხა“)

„მინდა მოვწყვიტო მნიშვე უურძენი

ან მნიშვე ვამლის ყბა მოვითალო“.

(„კახეთის შემოდგომა“)

„შენს ალაყაფთან ვბერდები მგონი,

ეს მთვარე ღრუბელს ყბაში გაჩრია“.

(„როცა თბილისში“)

„ჩემმა ოკნებამ თავი ჩაღუნა

და ცირას მუხლები თვალი განაბა“.

(„ცირას პაემანი“)

„და პატარძალიც აივნისაკენ

მუხამბაზივით ნაიღებს თეძმას“.

(„კახეთის შემოდგომა“) და ა. შ.

შემოქმედების შემდგომ პერიოდში
სიმონ ჩიქოვანის პოეტური სახეები ამ
მცირე „ხორკლისგანაც“ გათავისუფლდა
და მივიღეთ მაღალპოეტური ასოცია-
ციური სახეები. ეს სახეები გამოირჩე-
ვა მოულოდნელობითა და ამავე დროს
– დამაჯერებლობით, უშუალობითა და
ნიუანსობრივი მრავალფეროვნებით. შე-
სადარებელ საგნებს შორის შინაგან კავ-
შირ-თვისებათა აღმოჩენის უიშვიათესი
ნიჭით მიღწეულია ბრწყინვალე პოეტუ-
რი სახეები:

„მთები ანგდილან, როგორც

ლოცვები

და ზღვა გართხმულა, როგორც

ვედრება“.

(„მთების გაღობა“)

„ურმულივით ახლოვდება შეღამე-
ბა“...

„და ყურს გვიგდებდა ბუხარი თბილი
მეოცნებე და პირვალებული“.

(„ოქროს სახმისი“)

„და ღრუბელი ჰგავს რძევამშრალ
კამეჩს...“;

„ტყვია სტვენს თუ ყური ნივის“;

„ჩემი ბავშვობის ოცნება მაშინ

ნაკადულივით დახტოდა მთაში“.

(„ბაბუა“)

„მთებზე ყაჭივით ფიქრი აცოცდა“.

(„საუბრის გაგრძელება“)

„დაღლილი კვამლი მიოღვის

ცისკენ

და მეც კვამლივით გზაზე გავედი“.
„თოვლი“)

„ჩემმა ოცნებამ თავი ჩაღუნა
და ცირას მუხლზე თვალი განაპა.“
„ცირას პაემანი“)

„ჩემი ოცნებაც ჭაღარს ითმებს
და ჭაბუკივით გუნდაობს თოვლში“.
„თბილისის თოვლი“) და ა. შ.

სწორედ ამგვარმა მოულოდნელმა,
მაღალმხატვრულმა პოეტურმა სახეებ-
მა დაუმკვიდრეს სიმონ ჩიქოვანს ჩვენი
დროის ერთ-ერთი ყველაზე თვითმყოფა-
დი პოეტის სახელი. იგი გრძნობდა, რომ
ყველა გამვლელს არ შეიძლებოდა სჭე-
როდა ხელში მისი ლექსის „გასაღები“.
შემოქმედებას სირთულე უყვარს, გასა-
გებად და სიმძაფრით თქმულიო – წერდა
იგი.

„უგებ მარტივად ავხსენ ყოველი,
კელარ ვწვდებოდი სამშობლოს
დოდხანს,
მაშინ წამოდგეს ჩემი მგმობელი
და უფრო რთული ოცნება მით-
ხრას.“

(„პირველთქმა“)

„პო, მხედარო, ნინაპარო,
შენ მომერვენე,
შემომეშველე, შენ სამშობლოვ,
შემომეშველე!“

ფუტურიზმის ესთეტიკის გავლენა
მარტო პოეტის ასოციაციური ფანტა-
ზიის დახვენასა და განვითარებაში არ
გამომჟღავნდა. საგანში მრავალმხრივი
თვისებების გახსნისა და აღმოჩენის ფუ-
ტურისტულმა ექსპერიმენტებმა საოც-
რად მრავალმხრივი და ფართო გახადა
მისი პოეტური ხედვა.

რაზედაც არ უნდა წერდეს პოეტი,
ყოველთვის თავის განცდიდან, განწყო-
ბიდან გამოდის, ყოველთვის ახდენს თა-
ვისი სულის ანალიზს. ამგვარად, სიმონ
ჩიქოვანის პოეზია ხასიათდება „თავის
თავში ჩაბრუნებული“ ხედვით, საგნის
ლირიკული აღქმითა და ამ საგნიდან მი-
ღებული რთული ასოციაციების გამო-
ხატვით. ისეთი თემებიც კი სიმონ ჩი-

ქოვანის პოეზიისა, როგორიცაა პატრი-
ოტიზმისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის
თემა, ამ „ხედვის“ არქში მოექცა. პოეტს
„უბრალოდ“ არ უყვარს სამშობლო. ამ
გრძნობაში იგი თავის დასაყრდენს, თა-
ვის ძალას პოულობს. შეიძლება, ყველა
სხვა გრძნობა გაცვდეს, მაგრამ სამშობ-
ლოს სიყვარულის გრძნობას სიკვდილი
არ უწერია. ეს ის გრძნობაა, რომელიც
ყველაზე უტყუარი და „ნალდი“ აღმოჩ-
ნდება ადამიანში და რომლის წყალობი-
თაც ადამიანი პიროვნებად რჩება:

„პო, მამულო,
თუ დავინგრუ, კვლავ ამაშენე,
სიკვდილს გამთიშე, ჩავვერიე
და გაგვაშველე –
შემომეშველე, შენ სამშობლოვ,
შემომეშველე!“

ნიკოლოზ ბარათაშვილის თემაც ასე-
ვე გაიაზრება პოეტის შემოქმედება-
ში; ნინაპარი პოეტის მხატვრული სახე
რწმენის ღუზასავითაა ჩაშვებული მის
პოეზიაში. თუკი ვინმეზე უთქვამს პო-
ეტს – „რომ ჩემსა შემდგომ მოძმესა
ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“ –
ეს სიმონ ჩიქოვანიზე ნათქვამი. დიდი
ნინაპრის ბრძოლა და წამება, ეჭვი და
რწმენა საკუთარი რწმენის შენებაში ეხ-
მარებოდა პოეტს. ბარათაშვილის მიერ
პრძოლითა და წამებით განვლილი ეკ-
ლიანი გზა პოეტს არ აძლევს უფლებას,
თავის ძნელ გზაზე „ხმა ამოილოს“:

„ნებით გავშინჯე ჩემი იჭვის
ყველა კიდური
და მე უშენოდ სამშობლოში
გამოზირდება!“

●

„მარტო მიდიხარ, ფერი გადევს
გახუნებული...
იჭვმა და ტრფობამ, მეგობარო,
როვორ მოვშვილდა
აგრე თუ ივლი უკლიანზე
დალონებული
შენ ვერასოდეს ვერ მიაღწევ
ბარათაშვილთან“.
ამდენად, სამშობლო და ბარათაშ-

ვილი ეს ის ორი ფენომენია, რომელიც პოეტს არსებობის ძალას მატებს, საკუთარი თავისა და საერთოდ, ცხოვრების რწმენას უღვივებს. ანდერძივით ისმის პოეტის სიტყვები:

„თბილი აკვარი მე დაღატით არ
გამიყიდოთ,
ჩემი კერია არ ჩამიქროთ, არ
გამიყინოთ,
ჰო, მხედარო, ნინაპარო, შენ
მომეჩვენე,
შემომეშველე, შენ სამშობლოვ,
შემომეშველე!“

●
„ვრძნობა დავხარჯე, ფრთები
დაგვიცე
და ვიფურცლები ნაირ-ნაირი!“

●
„მამულის ტრფიალს კერ გავუძლი
და ვერც დაღმართის გზას
ვეზუები.“

●
„და მვონია ნუთისოფლის
მინურულში
ლოცვისა და რთველის დროა“. სიმონ ჩიქოვანის პოეზიის ზემოთ აღნიშნული თვისება, თუ შეიძლება ასე ითქვას, „თავის თავში ჩაბრუნებული ხედვა“, საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ მისი პოეტური სულის გზას, სულის ბიოგრაფიას. თავად სიმონ ჩიქოვანს პოეტისა და შემოქმედების ურთიერთმიმართება ასე ესმოდა: „ჩემთვის პოეზია ავტორის ბიოგრაფიის გამოხმაურებაა, პირადი ცხოვრება თუ არაა გადატეხილი ლირიკულ სამყაროში, ისე ჩემთვის პოეზია ლიტერატურ-შემინით არის დაავადებული. პოეტური ასოციაციები თუ პირადი ცხოვრებიდან არ იღებს სათავეს, ძნელია ტალანტის შეგუება, მე ვერ ვეგუები ასეთ ტალანტებს“. სწორედ ამგვარი შემოქმედებითი პროცესის შესახებ წერდა პოეტი:

„ამვეარი დამეში გული მაქე ზებს,
აძრალუძებს ფიქრებს შაირნი,
ვრძნობა დავხარჯე, ფრთები

დაგვიცე,
და ვიფურცლები ნაირ-ნაირი!“
(„მეთევზის სტუმარი“)

ამ „ნაირ-ნაირ გადაფურცლაში“ ნარმოდგება ჩვენ წინაშე პოეტი თავისი განცდებით: სიხარულით, ტკივილით, ეჭვით, რწმენით, გულისგატებით, იმედით. სწორედ ამ დროს ვგრძნობთ „მაღლალი პოეტური წენევის შემცველ შინაგან სულიერებას“. ამ „ნაირ-ნაირ გადაფურცლაში“ იკვეთება პოეტის სულის გზა; ამ გზაზე, რომელსაც ჩვენ პოეტის „სულის გზას“ ვუწოდებთ, სულ რამდენიმე ლექსი დადგება, რომელიც ნათლად წარმოგვიჩნის მის პოეტურ ბიოგრაფიას. სიმონ ჩიქოვანის პოეზია არის პოეტის სულიერ განწყობილებათა შუქ-ჩრდილების ზომიერი მონაცვლეობა, თუმცა შუქი მეტია ამ გზაზე, ვიდრე ჩრდილი, მაგრამ ეს მონაცვლეობა მაინც ზომიერია, რადგანაც თავად პოეტს აქვს ზომიერი მიმართება ყველაფრისადმი; იგი საკუთარ თავს ვერასოდეს „გადაახტება“, არსებობს სამშობლის უსაზღვრო ტრფიალი, „მოგიზგიზე სიყვარული“ ადამიანებისადმი, მაგრამ ამავე დროს არსებობს „გულის ჯამში დაგროვილი ჭვარტლი“ – ეჭვი საკუთარი თავის მიმართ და ეჭვი საერთოდ, რომელიც არაერთხელ ეწვევა პოეტს და რომელიც მას „ყველაფრის“ განადგურებით ემუქრება. 1935 წელს ამგვარი ეჭვის შესახებ პოეტი წერს:

„ჩემო მამულო, მაჩუქე ნამი,
უძველე მინდვრად გამოსულ
მთესველს,
მტირალი მოველ მინაზე დამზით
და მინდა მძერით ავიდე მთებზე
შემომაშველე მაისის თქორი,
გულში ყვავილი დამზენეს ლამის,
არის სიყრმის და სიმწიფის შორის
შესვენების და სიმორცხვის უამი!“
პოეტმა იცოდა, ეს იყო საკუთარ პოეტურ შესაძლებლობათა მსჯავრდების უამი:
„ეს უამი დადგა, მუცვლება ფერი,

ველი დაჭრნა და მცირე ხნით
მოთოვს,
მინდა მინა ზე ცხოვრება ჩემი
ჰელეს ქარიშხალს და არა
ფოთოლს".

(„არის სიყრმის და სიმწიფის შორის")

ამ მსჯავრდების უამს პოეტი მშვი-
დობიანად გადაივლის, დროებით და-
თოვლილი ველი ისევ გაცოცხლდება,
გაცოცხლდება შემოქმედებითი ძალები.
ამ პერიოდიდან შემოდის პატრიოტიზმის
ძლიერი განცდა პოეტის შემოქმედებაში
– პოეტი, სამშობლოს ნაწილი. „ჩემთვის
პოეზიაში ეროვნული თვისება ან უკეთ,
ეროვნულობა, აუცილებელია“ – წერს
პოეტი თავისი უბის წიგნაკში.

„მე არ ვიცოდი, კაცად ვინცა ვარ,
ახლა ვივრძენი, ერთი მუქა ვარ
და საქართველომ წილად მინამა“. („1942“)

პოეტი მშვიდება:

„ახლა მახარებს ყანა მაღალი,
ჩემი ფიქრის და იჯვის ღადარი,
თუ ვინმე მომეის, მეც დამატურებს,
ძნებს ამჟიდებს და შენ“

დამატრუნებს".

(„ჩემი ყანა“)

შემდგომ დგება უამი, რომელსაც
„სიმწიფის შნო და მოწყვეტის საფრთხე“
მოაქვს: „სიმწიფის შნო“ – საკუთარი შე-
მოქმედებითი ძალების რწმენა და „მოწ-
ყვეტის საფრთხე“ – სიკვდილის ჩემი
შიში:

„თქორი ვაქრა და შარა მშრალია,
მცირე სავ ზალი მიდევს აბვაში,
ჩემს სულში ქარვის ქარიშხლია,
მცირე ეჭვი და ჩემი ვანგაში...“

(„სულში ფოთლების ქარიშხლია“)

წლების მომატებასთან ერთად, იკ-
ლებს თვალის ჩინი და იმატებს სევდა
პოეტის ხმაში:

„ტყვია სტკენს თუ ყური წივის,
ველარ ვარჩევ ვანთიადს და დამეს,
მენატრება მხეფვი წვიმის
და ლრუბელი ჰელეს რძეგამშრალ
კამეჩს“.

(„ტყვია სტკენს თუ ყური წივის“)
მაგრამ ეს სევდა არასდროს მიდის
გაბოროტებამდე, „უაზრო“ საყვედურამ-
დე:

„კიდევ მინდოდა თხელი ნისლივით
შემოცხველი საყვარელ მხარეს,
გურამიშვილის მერვო წისქვილი,
როდესაც წილი მამულში ჰყარეს...“

(„კიდევ მინდოდა...“)

„არ შემიცვლია სახის ნაკვთები,
ვერ ვავაყუჩე სულში ნუგეში,
ვიცი წინასწარ, ხევში ჩავკვდები
და მკვდარი საფლავს ვერ ვევუები!“

(„არ შემიცვლია სახის ნაკვთები“)

მიუხედავად ამგვარი სულიერი გან-
წყობილებისა, პოეტის ლექსში მარტოო-
ბა არ ისადგურებს. მის ლექსში ყოველ-
თვის მოჩანს მეორე ადამიანი, „მოგიზ-
გიზე სიყვარული“ – რწმენა და „ჭვარ-
ტლი“ – ეჭვი, ერთმანეთის გვერდით:

„სად მოვდივარ, ან მოვდივარ საიდან
ნუთუ მართლა დამელია ჯადო
და სიცოცხლე მხოლოდ ერთი ციდა
ყველა გამჭღველს როგორ

ვუნილადო!

იანვარი, თუბერვალი, მარტი,
სამი თვეა მეტად უღიმდამო,
გულის ჯამში დამიგროვდა ჭვარტლი,
მოგიზვიზე სიყვარულის გამო“

(„არ მშორდება ჭირვეული მარტი“)

ეს ლექსი უსინათლო პოეტის უკა-
ნასკნელი ლექსია – 1966 წ. 13 მარტი,
დილის 10 საათი. 24 აპრილს სიმონ ჩი-
ქოვანი გარდაიცვალა.

„...რა არის სულის გარდაცვალება?
ფერისცვალება, გადასელა ხალხში.
გაზაფხულივით ვავჩნდებით ისევ
და ვრძნობა თუ არ დამეხავსება,
ჩემს სიყმანვილეს მეორე პპოვებს,
კაცი, რომელიც მე მემსვავსება.
მე აღარ წავალ მინისთვის ბარად,
საფლავს მმის გულში გადავიზომავ.
და დარახტული მერანის დარად
ვარეთ დამიცდის მარადისობა“.

ქეით შოპენი



ქეით შოპენი, იგივე ქეთრინ ო'ფლერეთი – (1850-1904) ფემინისტი მწერალი. დაიბადა სენტ ლუისში, მისურის შტატში. ცნობილია, როგორც ღრმად ემოციური, უშიშარ ქალთა შესახებ რამდენიმე რომანისა და მრავალი ნოველის ავტორი. 1892-1895 წლებში, ნოველებთან ერთად, საბავშვო მოთხრობებსაც წერდა და აქვეყნებდა უურნალებში: „ატლანტიკ მანთლი“, „ვოგი“, „სენჩერი მეგეზინ“ და „იუთსი“.

მის შემოქმედებაში ძირითადი ადგილი უკავია ორ რომანს: „გამოლვიძება“ და „ნაკლის შესახებ“. ნოველათა კრებულებიდან აღსანიშნავია „დეზირის ჩეილი“ (1893) და „ქარიშხალი“ (1898). 1870 წელს ოცი წლის ასაკში ცოლად გაჰყვა ასკარ შოპენს და საცხოვრებლად ნიუ ორლეანში გადავიდა, სადაც ოცდარვა წლისას უკვე ექვსი შეილი ჰყავდა.

1904 წლის 20 აგვისტოს, სენტ ლუისის მსოფლიო ბაზრობაზე სტუმრობისას, ინსულტი დაემართა და, ოცდათოხმეტი წლის ასაკში, ორ დღეში გარდაიცვალა.

გარდაცვალების შემდეგ ფართოდ აღიარეს, როგორც თავისი დროის ერთ-ერთი წარმატებული მწერალი ქალი.

ქარიშხალი

|

ფოთლები ისე გახევებულიყვნენ, რომ ბიბიმაც კი გაიფიქრა, გაწვიმდებაო. პატარა ვაჟიშვილთან თანატოლივით საუბარს მიჩვეულმა ბობინოტმა ბავშვის ყურადღება დასავლეთიდან წამოსულ, ავისმომასწავებელ ღრუბლებს მიაპყრო, – პირქეში, მუქარაშერუსული გრუსუნით წინ რომ მოიწევდნენ. ფრიდჰეიმერის მაღაზიაში იყვნენ და, ვიდრე ქარიშხალი გადაივლიდა, აქ თავის შეფარება გადაწყვიტეს. კარს მიღმა, ორ ცარიელ კასრზე ჩამოსხდნენ. ბიბი თოხი წლის იყო და ძალიან ბრძნული გამოხედვა ჰქონდა. – დედიკოს შეეშინდება! – თვალის ხამსამით თქვა ბავშვმა.

– სახლს ჩარაზავს. მგონი, ამ საღამოს დამხმარედ სილვია ჰყავს, – დარწმუნებით გაჰასუხა ბობინოტი.

– არა, სილვია არ ჰყავს. ის გუშინ ეხმარებოდა, – საქმიანად თქვა ბიბიმ.

ბობინოტი წამოდგა და დახლისაკენ კრევეტების საყიდლად გაემართა, რომელიც კალიქსტას ძალიან უყვარდა. მერე ისევ დაპრუნდა და, კრევეტების კონსერვით ხელში, ვიდრე ქარიშხალი მძვინვარებდა, კასრზე მყარად დაჯდა. ქარიშხალმა ხისგან ნაკეთი მაღაზია შეარხია და აშკარა იყო, რომ ახლო მდებარე მინ-

დორში გაშმაგებით ღრიალებდა. ბიბის პატარა ხელი მამის მუხლზე ჩამოედო და არ ეშინოდა.

||

კალიქსტა შინ იყო, ქმარ-შვილის უსაფრთხოების გამო ჯერ არ ღელავდა. ფანჯარასთან უჯდა საკერავ მანქანას და გამალებით კერავდა. საქმეში მთლიანად იყო ჩაფლული და მოახლოებული ქარიშხალი ვერც კი შეამჩნია, ძალიან სცხელოდა და სახეზე წვეთებად მომდგარი ოფლის მოსაწმენდად საქმეს ხშირად თავს ანებებდა. ყელთან მომდგარი, განიერი კაბის ღილი შეიხსნა. ბნელდებოდა და, როგორც კი მიხვდა, რაც ხდებოდა, წამოდგა და კარ-ფანჯრების ჩასარაზად სწრაფად გაემართა. სახლის წინ, პატარა ღია ვერანდაზე, ბობინოტის საგარეო ტანსაცმელი გასაშრობად ჰქონდა გაფენილი და ვიდრე წვემა წამოვიდოდა, სწრაფად ჩამოხსნა. გარეთ გასვლისთანავე ალსი ლაბალიერე დაინახა, რომელმაც ჭიშკართან ცხენით ჩამოიარა. ქალი კაცს გათხოვების შემდეგ იშვიათად ხედავდა და მარტოც არასოდეს შეხვედრია. იდგა, ასე, ხელში ბობინოტის პალტოთი და წვიმის მსხვილი წვეთებიც წამოვიდა. ალსიმ ცხენი სახლის გვერდით მდებარე ფარდულთან შეაჩერა, სადაც ქათმები იბუდებდნენ და კუთხეში ფარცხების და სახნისების გროვა იდგა.

— შეიძლება, ქარიშხლის ჩადგომამდე შემოვიდე და ვერანდაზე მოვიცადო, კალიქსტა? — ჰკითხა კაცმა.

— მოპრძანდი, M^esieur! alsi¹.

კაცის ხმამ და საკუთარმა შეშფოთებამ ქალი თითქოს გამოაფხიზლა და ბობინოტის საცვალი ჩაბლუჯა. პარმალზე ამომავალმა ალსიმ შარვალს და ბიბის სირმებიან ქურთუქს, რომელიც ქარის მოულოდნელ ტალღას უნდა გაეტაცა, ხელი სტაცა. ვერანდას თავი შეაფარა,

თუმცა თითქოს ისევ გარეთ იდგა, რადგან პარმალის ხისგან ნაკეთ, გრძელ ფიცარნაგებს თქეში წვიმა დასდიოდა და სველდებოდა. შინ შევიდა და კარი მიხურა. წყლის შევარდნისგან დასაცავად, კარის ქვეშაც რაიმის ამოდება იყო საჭირო.

— ღმერთო, როგორ წვიმს! ორი წელია, ასე აღარ უწვიმია! — წამოიძახა კალიქსტამ, როცა ტომრის ნაჭერი დაკეცა და ალსი ნაპრალის ამოქოლვაში მიეხმარა.

ქალს გათხოვებამდე, ხუთი წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით, ოდნავი სიმსუქნე შეპჰარვოდა, თუმცა ახალგაზრდული სიხალისე ისევ შერჩენოდა. ცისფერი თვალები ძველებურად უელვარებდა და წვიმისა და ქარისგან განენილს, ისე, როგორც არასდროს, ჯიუტად ჩამოყრილი ქერა კულულები ყურებსა და საფეთქლებზე ეფინებოდა.

დაბალ, ყავარგადაფარებულ სახურავს წვიმის თქეში დასდიოდა და შესასვლელს წარღვნით ემუქრებოდა. სასადილო ოთახში იყვნენ — მისაღებ ოთახში — ყოველდღიური სარგებლობის ოთახში. გვერდით ქალის საძინებელი იყო, სადაც მის საწოლთან ბიბის პატარა ტახტიც იდგა. საძინებლის კარი ღია იყო და ოთახი თავისი თეთრი, საოცარი საწოლით, დახურული დარაბებით ბინდშეპარული და იდუმალი ჩანდა.

ალსი სარწეველა სავარძელში ჩაეშვა და კალიქსტა იატაკიდან ბაბბის ზენრის წამოკრეფას, რომელსაც მანამდე კერავდა, ნერვიულად შეუდგა.

— ასე თუ გაგრძელდა, Dieu sait², ჯებირებს გადმოანგრევს! — წამოიყვირა ქალმა.

— ჯებირებთან რა საქმე გაქვს?

— ზუსტადაც რომ მაქვს! და ბობინოტი, ბიბისთან ერთად, გარეთაა, ამ ქარიშხალში. ნეტა, ფრიდჟეიმერში მაინც დარჩებოდნენ!

1. *M'sieur* – (ფრან.) ბატონი
2. *Dieu sait* (ფრან.) – ღმერთმა უნკის

— მოდი, იმედი ვიქონიოთ, კალიქსტა, რომ ბობინოტს ჭყუა საკმარისად ეყოფა და, ვიდრე ციკოლონი არ გადაივლის, გარეთ არ გამოვლენ.

ქალი, ძალიან შეწუხებული სახით, ფანჯარასთან დადგა. წვიმისაგან დაორთქლილ ფანჯრის რაფას ხელი გადაუსვა. სულისშემხუთველი სიცხე ტრიალებდა. ალსი წამოდგა და თვითონაც ფანჯარასთან მივიდა, ქალის მხარს ზემოდან დაჰჰურებდა. კოკისპირულ წვიმაში მოშორებით მდგარი ქოხმახები ბუნდოვნადღა ჩანდა და შორეული ტყე რუს ნისლში გახვეულიყო. განუწყვეტლივ ელავდა. მინდვრის განაპირას მდგარ, ინდური იასამნის აწონილ ხეს მეზი დაეცა. მთელი მიდამო თვალისმომჭრელმა ელვარებამ მოიცვა და, აშკარა იყო, რომ მეხის დაცემა იმ ფიცარნაგებსაც ემუქრებოდა, რომელზეც იდგნენ.

კალიქსტამ თვალებზე ხელები აიფარა და ტირილით უკან გაბარბაცდა. ალსიმ ხელი მოხვია, მყისიერად მიიზიდა თავისკენ.

— Bonté!³! — დაიყვირა ქალმა, კაცის მკლავისაგან გათავისუფლებას და ფანჯრიდან მოშორებას ცდილობდა.

— ახლა სახლსაც დაეცემა! ნეტავ, ვიცოდე ბიბი სად არის!

ქალი ვერ მშვიდებოდა, ვერც ჯდებოდა. ალსიმ მხრებზე ხელი ჩასჭიდა და სახეში შეაცქერდა. ქალის თბილმა ტანმა, მისმა გახშირებულმა გულისცემამ, როცა დაუფიქრებლად ხელები მოხვია და მიიზიდა, კაცში მიძინებული ვნება გააღვიძა და მისი სხეულის დაუფლების სურვილი აღუძრა.

— კალიქსტა, — თქვა მან. — ნუ გეშინია! ცუდი არაფერი მოხდება. სახლი საკმარის დაბალია იმისათვის, რომ მეხმარამე ავნოს, თანაც მის გარშემო ბევრი მაღალი ხე დგას! არ დამშვიდდები? მითხარი, არა? — სახეზე ჩამოშლილი, თბი-

ლი და ნოტიო თმა უკან გადაუწია. ქალის ტუჩები ბრონეულის მარცვლებივით წითელი და სველი იყო. ქათქათა თეთრმა კისერმა და სავსე, მკვრივ მკერდზე თვალის შევლებამ ძლიერ იმოქმედა. როცა ქალმა ქვევიდან ამოხედა, ცრემლიან ცისფერ თვალებს შიშის ნაცვლად ღონებიხდილი ელვარება შეჰპარვოდა, რამაც კაცს ქალის გაუცნობიერებელი, ვნებიანი სურვილი გაანდო. მის თვალებს დაჰჰურებდა და ბაგეზე კოცნის მეტი ვერაფერი მოახერხა. ესამფშენი გაახსენდა.

— გახსოვს, ესამფშენში, კალიქსტა? — ვნებიანი, ჩუმი ხმით ჰკითხა.

— ოჟ! გაახსენდა: ესამფშენში კაცი ვნებების დაცხრომამდე კოცნიდა და კოცნიდა. მის რეპუტაციასაც უნდა მოფრთხილებოდა და დაეცვა კიდეც. იმ დროში გათხოვებამდე ქალი ხელშეუხებელი, ქალწული უნდა ყოფილიყო, ვნებიანი არსება, რომელიც თავს ისევ საკუთარი უმწეობით იცავდა და რომლის წინააღმდეგაც კაცს საკუთარი ღირსება მისი დაჯაპნის უფლებას არ აძლევდა. ახლა კი სავსებით, ახლა — ქალის ტუჩებისთვის შეეძლო გემო ისევე ჩაეტანებინა, როგორც მრგვალი, თეთრი ყელისა და ქათქათა მკერდისათვის.

ვერც კოკისპირულ, ნიაღვრებად მოთქრიალე წვიმას ალიქვამდნენ და კაცის მკლავებში მომწყვდეულმა ქალმა ჭექა-ჭუხილის ხმაზე სიცილი ატეხა.

მერთალი სინათლით განათებულ, იდუმალებით მოცულ საძინებელში ქალმა საკუთარი თავი ბოლომდე გაამჟღავნა. იმ საწილივით ფითქინა იყო, რომელზეც იწვა. მისი მკვრივი, მოქნილი სხეული თავდაბირველად ხელისშეხება რომ არ შეიძლებოდა, ახლა იმ ჩალისფერ შროშანს ჰგავდა, რომელსაც მზე სუნთქვისა და სურნელის შთასაბერად თავისთან ეპატიუება, რათა სამყაროს უკვდავება მიანიჭოს. ქალის მხურვალე, დაუნანებე-

3. Bonté! (ფრან.) — კარგი!

ლი მგზნებარება, ყოველგვარი ცბიერებისა თუ მზაკვრობის გარეშე, თეთრ ალს ჰეგავდა, რომელმაც კაცის მგრძნობიარე გულის სიღრმეში შეაღწია და პასუხიც ჰპოვა, რაც მანამდე არასოდეს განუცდია.

როცა კაცი მის მკერდს შეეხო, ქალს გააურულა და ტუჩები შეაგება. მისი კოცნა ტკბობის უშრეტი შადრევანი იყო და როცა კაცი ქალს დაეუფლა, აშკარა იყო, რომ ერთად ცხოვრებისეული იდუ-მალების ექსტაზში ჩაიძირნენ.

კაცი ქალს ისევ ზემოდან აწვა, სუნ-თქვაშეკრული, გაოგნებული, მოდუნე-ბული და გული ისე უცემდა, თითქოს ჩაქუჩის უბრახუნებდნენ. ცალი ხელით ქალს კაცის თავი ჩაებლუჯა, ტუჩებით კისერს ნაზად ეხებოდა, მეორე ხელს კი დაკუნთულ მხრებზე უთათუნებდა.

ჭექა-ქუხილის ხმა უკვე შორიდანდა ისმოდა და სულაც გაქრა. კენჭებზე წვი-მა ნაზად ეცემოდა, მოდუნებისა და ძი-ლისკენ ეპატიუებოდა, თუმცა არ დანებ-დნენ.

წვიმა შეწყდა და მზემაც მწვანედ მობიბინე არემარე თვალისმომჭრელი, ძვირფასი ქვეპით ნაგებ სასახლედ აქცია. კალიქსტა ვერანდაზე იდგა და ცხენზე შემჯდარ ალსის გაჰყურებდა. კაცმა მოი-სხდა და გაპრეწინებული სახით გაულიმა და ქალმა მშვენიერი ნიკაპი მაღლა აიშ-ვირა და ხმამაღლა გაიცინა.

III

ბობინოტმა და ბობიმ სახლამდე ძლიერ მიაღწიეს, თავის მოსაწერიგებ-ლად წყლის ავზთან შეჩერდნენ.

— ჩემო! ბიბი, დედაშენი რას იტყვის! შეგრცხვება. ეს კარგი საცვალი არ უნ-და ჩაგეცვა. შეხედე, რა დღეშია და საყე-ლოც ტალახიანი გაქვს! როგორ მოახერ-ხე საყელოზე ტალახის მოცხება, ბიბი?

ასეთი ბიჭი არასოდეს მინახავს!

ბიბი საბრალო, მორჩილი ბავშვი იყო. ბობინოტს მნიშვნელოვანი საზრუნავი გასჩენოდა და ნანარღვნალ მინდვრებში, მძიმე გზაზე სიარულით დამჩნეული კვა-ლისგან საკუთარი თავის და ვაჟიშვილის დაძვრენას ლამობდა. ხის ჩხირით ბიბის შიშველ ფეხებსა და ტერფებზე ტალა-ხი გადაუფხიკა და თავის ყელიან ფეხ-საცმლს ყველანაირი ჭუჭყი საგულდა-გულოდ მოაშორა. მერე, უარესისთვის – ზებატიოსან ცოლთან შესახვედრად მო-ემზადა. მამა-შვილი შინ უხმაუროდ უკა-ნა კარიდან შევიდნენ.

კალიქსტა ვახშამს ამზადებდა. სუფ-რა გაეწყო და ქურასთან ყავას ისხამდა. ქმარ-შვილის შინ შემოსვლისთანავე ფეხ-ზე წამოფრინდა.

— ოჟ, ბობინოტ! უკვე დაბრუნდი, ჩე-მო!.. თუმცა, ვლელავდი. წვიმის დროს სად იყავით? და ბიბი? ხომ არ დასველდა? ხომ არაფერი იტკინა? ბიბის ჩაეხუტა და დაუსრულებლად კოცნიდა. ბობინოტს ის ახსნა-განმარტებანი და ბოდიშები, რო-მელთაც მთელი გზა გონებაში ალაგებ-და, უთქმელი დარჩა, რადგან კალიქსტა არ კვევდა — ქმარი მშრალი იყო თუ არა და, გარდა მათი მშვიდობით დაბრუნებით კმაყოფილებისა, ჩანდა, რომ სხვა არაფ-რის თქმასაც არ აპირებდა.

— კრევეტები მოგიტანე, კალიქსტა, — შესთავაზა ბობინოტმა, გვერდითა, განი-ერი ჯიბიდან თუნუქის ქილა ამოაძვრინა და მაგიდაზე დადგა.

— კრევეტები! ოჟ, ბობინოტ! ყველა-ფერში რა ძალიან კარგი ხარ! — ლოყა-ზე მაგრად აკოცა და უთხრა: — J'vous répondez!¹⁴ ამაღამ ვქეიფობთ! უჟ-უჟ!

ბობინოტი და ბიბი ისვენებდნენ და თან ხალისობდნენ და, როცა სამივე სუფ-რას მიუსხდა, იმდენს და ისე ხმამაღ-ლა იცინოდნენ, რომ თავად მათგან შორს

4. J'veux réponds (ფრანგ) — მე გიპასუხებ

მყოფი ლაბალიერებიც კი გაიგონებდნენ.

IV


იმ ღამეს, ალსი ლაბალიერებ თავის მეუღლეს, კლარისას მისწერა. ეს იყო ფაქიზი მზრუნველობით ალსავსე სასიყვარულო ბარათი. კაცი წერდა, რომ უკან დაბრუნება არ ეჩქარა და, თუ მასაც და შვილებსაც ბილოქში ყოფნა მოსწონდათ, შეეძლოთ ერთი თვით ისევ დარჩენილიყვნენ. თვითონ თავს მშვენივრად გრძნობდა და, იმისდა მიუხედავად, რომ ცოლ-შვილი ენატრებოდა, მაინც მზად იყო, ეს განშორება გაცილებით მეტი ხნითაც აეტანა, რადგან მათი ჯანმრთელობა და სიამოვნება, ყველაზე აღმატებულად მიაჩნდა.

V

კლარისას რაც შეეხება, ქმრის წერილმა მოხიბლა. თვითონ და მისი შვილებიც თავს კარგად გრძნობდნენ. სასიამოვნო საზოგადოების გარემოცვაში იმყოფებოდნენ. ბევრი მისი ძველი მეგობარი თუ ნაცნობი ყურეზე იმყოფებოდა და გათხოვების შემდეგ, თავისუფლება პირველად იგრძნო, თითქოს ქალწულობის ხანის ლალი დღეები დაუბრუნდა. ქმრისადმი ერთგულების მიუხედავად, მათი ინტიმური ცოლ-ქმრული ცხოვრება ის რაღაც იყო, რომლისგან დროებით განმარტოებას დიდი ხალისით დასთან-ხმდებოდა.

ასე რომ, ქარიშხალი ჩადგა და ყველა ბედნიერი იყო.

ინგლისურიდან თარგმნა
მაია ბოლაშვილმა



ქეით შოპენი

სინაული

მამზელ ორელი მოხდენილი და ახოვანი ტანის ქალი იყო – ლაუდაჟა ლოცებით, ალაგ-ალაგ უკვე შევერცხლილი ნაცრისფერი თმებითა და შეუპოვარი გამომეტყველებით. ფერმაში მოფუსფუსეს თავზე მამაკაცის ქუდი ეხურა; სიცივეში ლურჯი ლაბადა ეცვა და ზოგჯერ მაღალყელიან ჩექმებსაც ატარებდა. მამზელ ორელის გათხოვებაზე არასდროს უფიქრია. არც შეყვარებული ყოფილა ოდესმე. ოცი წლის ასაკში ხელი სთხოვეს და არც კი დაფიქრებულა, ისე თქვა უარი. ახლა, უკვე ორმოცდაათისა იქნებოდა, მაგრამ არ ნანობდა. არავინ ჰყავდა ამ ქვეყნად თავისი ძალის, სახელად პონტოს, შავკანიანების (მის ქოხებში რომ ედოთ ბინა და მის მინას რომ ამუშავებდნენ), ფრინველის, რამდენიმე სული საქონლის, ორიოდე ჯორის, თოფის (საიდანაც ქორებს ესროდა) და თავისი რელიგიის გარდა.

ერთ მშვენიერ დილას, როცა მამზელ ორელი საკუთარი სახლის აიგანზე იდგა და გულხელდაკრეფილი ფიქრებს მისცემდა, ძალიან პატარა ბავშვების მცირერიცხვანი ჯგუფი გამოეცხადა. პატარების განზრახვებისა და მიზნებისდა მიუხედავად, მათი გამოჩენა ქალბატონი ორელისთვის მოულოდნელი, თავგზამბნები და არასასურველი იყო. თითქოს ღრუბლებიდან თავზე დაეცა. ეს პატარები მისი მეზობლის, ოდილის ბავშვები იყვნენ, რომელიც, მართალია, მასთან ცველაზე ახლოს ცხოვრობდა, მაგრამ მისთვის არც ისეთი ახლობელი გახდათ.

მოკლედ, სულ რაღაც ხუთი წუთის წინ ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა, რომელსაც

ეს ოთხი პატარა ახლდა თან. ქალს ერთ ხელში პატარა ელოდი ეჭირა, მეორეთი კი ტი ნომს მოათრევდა, მისთვის ხელის გაშვებას რომ ლამობდა; მათ უკან კიდევ, გაუბედავი ნაბიჯებით, მარსელინი და მარსელეტი მოჰყვებოდათ. ქალს ცრემლებისა და აღელვებისგან სახე შესწითლებოდა. მისთვის მეზობელი სამრევლოდან შეეტყობინებინათ, რომ დედა გახდომოდა მძიმედ ავად; მისი ქმარი ამ დროს ტეხასში იმყოფებოდა, რომელიც ოდილისთვის (ასე ერქვა ქალს), მილიონი მილის იქით იყო; ოდილის გარეთ ვალსინი უცდიდა ჯორშებმული ურმით, სადგურზე რომ ნაეყვანა. „გემუდარებით, მამზელ ორელი, მხოლოდ ჩემ ჩამოსვლამდე დაიტოვეთ ეს პატარები, ჩემი გულისთვის. ღმერთია მოწმე, არ შეგანუხებდით, სხვა გზა რომ მქონდეს! როგორც გნებავთ, ისე მოეპყარით, მამზელ ორელი, არ დაინდოთ. ლამის ჭკუიდან შევიშალო. არც ლეონია სახლში, იქნებ ვერც დედაჩემს ჩავუსწრო ცოცხალს!“ – სწორედ ამ სულისშემძვრელმა შემთხვევამ აიძულა ოდილი, ასე ნაჩეარევად, კონვულსიურად და ნუგეშმიუცემლად დაეტოვებინა თავისი ოჯახი.

ქალი წავიდა, ბავშვები კი ერთად შექუჩებულიყვნენ გრძელი, დაბალი სახლის ნახევრადჩაბნელებულ ვიწრო აიგანზე; მზის სხივები ძველ თეთრ ფიცრულში ძლივს აღწევდა; კიბის ძირში ქათმები ბალას წიწინდნენ; ერთ-ერთი მათგანი, სხვებზე უფრო გაბედული, ზევით, აიგანზე ამოსულიყო და წინ და უკან, მძიმედ, სერიოზული გამომეტყველებით და უაზროდ დაბოტებდა. ჰაერში მიხაკების სა-

სიამოვნო სურნელი ტრიალებდა, აყვავე-
ბული ბამბის პლანტაციიდან კი შავკანია-
ნების სიცილი მოისმოდა.

მამზელ ორელი იდგა და ბავშვებს მის-
ჩერებოდა. უნდობელი მზერა მარსელი-
ნისკენ მიეცყრო, პუტუჯნა ელოდის წონის
ქვეშ აქეთ-იქით რომ ბანცალებდა. შემ-
დეგ, ისეთივე გამჭოლი მზერით მარსე-
ლეტი შეათვალიერა, ტი ნომის ხმამალი
ჩივილისა და დაუმორჩილებლობის ფონზე
თავისთვის, ჩუმად რომ ქვითინებდა. ქა-
ლი ბავშვებს აკვირდებოდა და ცდილობდა
თავი ხელში აეყვანა, რათა მოეფიქრები-
ნა, თუ რის შემდეგ რა უნდა გაეკეთები-
ნა, რაც თავის მოვალეობად ესახებოდა
და შეუდგა კიდეც საქმეს – ჯერ მათთვის
საჭმელი უნდა ეჭმია. მამზელ ორელის
ვალდებულებები მხოლოდ ამით როდი
იწყებოდა და მთავრდებოდა. ნეტავი ასე
ყოფილიყო, რამეთუ მისი საკუჭნაო სავსე
იყო ყველაფრით, რაც მსგავსი შემთხვე-
ვებისთვის იყო საჭირო. პატარა ბავშვე-
ბი პატარა გოჭები როდი იყვნენ; მათ ყუ-
რადლება სჭირდებოდათ, რასაც მამზელ
ორელი არც მოელოდა და არც იყო ამის-
თვის მზად და, მართლაც, პირველ დღე-
ებში მას ძალიან გაუჭირდა ოდილის ბავ-
შვების მართვა. აბა, საიდან უნდა სცოდ-
ნოდა, რომ მარსელეტი მუდამ ტირილს
იწყებდა, როგორც კი მას ხმამალლა და
ბრძანებული ტონით დაელაპარაკებო-
და. ასეთი იყო მარსელეტი. ანდა ტი ნომი,
რომ გიჟდებოდა ყვავილებზე, რაც ქალ-
მა მაშინ აღმოაჩინა, როცა ბავშვმა ყველა
მშვენიერი გარდენია და მიხაკი მოწყვიტა
მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ბოტანიკური
აგებულება შეესწავლა.

„მარტო თქმა არ კმარა, მამზელ ორე-
ლი, – ურჩია მას მარსელინმა. – სკამზე
უნდა დააბათ. დედა ყოველთვის ასე აკე-
თებს, როცა ის ცუდად იქცევა. სკამზე
აპამს“. ის სკამი კი, რომელზეც მამზელ
ორელიმ ტი ნომი დააბა, იმდენად დიდი
და მოხერხებული იყო, რომ ბავშვმა ამით
ისარგებლა და მასზე კარგი ძილიც გამო-
აცხო. დღეც საკმარისად თბილი ამინდი

დაემთხვა.

იმ ღამეს, როცა ქალბატონმა მამზელმა
დასაძინებლად წასვლის ბრძანება გასცა,
ისე, როგორც ქათმებს „აქშა-აქშას“ ძა-
ხილით საქათმეში ერეკებოდა, არც ერთი
ბავშვი ადგილიდან არ დაძრულა. იდგნენ
და ქალს გაოგნებული შეჰყურებდნენ.
მაშ პატარა თეთრი პერანგები, წამოღე-
ბის წინ ბალიშის პირებში რომ ჩაჩურთეს
და უკანვე რომ უნდა გამოაძრონ და ვინ-
მეს ლონიერმა ხელმა რომ უნდა დაბერ-
ტყოს, ხარებს რომ უტყლაშუნებენ, ისეთი
შოლტებით? მაშ წყლით სავსე ვარცლი
რომ უნდა მოიტანონ, შუა ოთახში იატაკ-
ზე რომ უნდა დადგან და მასში პანანი-
ნა, დალლილი, მტვრიანი, მზით გარუჯუ-
ლი ფეფუნები დაბანონ და გაუსუფთაონ?
მარსელინი და მარსელეტი სიცილით კი-
ნაღამ დაიხოცნენ, როცა თურმე მამზელ
ორელმა თუნდაც ერთი წუთით წარმოიდ-
გინა, რომ ტი ნომი კროკ მიტენის ან ლუპ
გარუს ზღაპრების მოყოლის გარეშე დაი-
ძინებდა; ან რომ ელოდის დასაძინებლად
დარწევა და იავნანა არ სჭირდებოდა.

„დეიდა რუბი“, საიდუმლოდ გაენდო
მამზელ ორელი მის მზარეულს, „მინდა
გითხრა, რომ მირჩევნია აკრობით პლან-
ტაციის მოვუარო, ვიდრე ბავშვებს. ღმერ-
თო დიდებულო! ბავშვები აღარ მიხსე-
ნოთ“.

„მამზელ ორელი, მასინვე მივხვდი,
რომ ბავშვების არაფერი გაგეგებათ. გუ-
სინ შევამცნიე, როცა ვუჟურებდი იმ პა-
ნალა ბავსს როგორ ეთამასებოდით გასა-
ლებებით სავსე კალათით. განა ალ იცით,
რომ ბავსებს გასალებები არ უნდა მის-
ცეთ, თუ გიდათ, რომ ჯიუტები არ გაი-
ზარდონ? არც სარკეში უნდა ჩახედოთ,
თუ გიდათ, რომ მაგალი კბილები ჰქონ-
დეთ? ასეთი რამები უნდა იცოდეთ, თუ
გიდათ, რომ ბავსები გაზარდოთ და დაი-
მოცილოთ“.

მამზელ ორელს, რა თქმა უნდა, არანა-
ირი პრეტენზია არ ჰქონდა და ვერც იცო-
ნებდა ამ საგნის შესახებ ისეთი რაღა-
ცები სცოდნოდა, დეიდა რუბიმ რომ იცო-

და, რომელმაც „მის სიცოცხლეში ხუთი შვილი გაზარდა და ექვსი დამაბალხა (დამარხა)“. მიუხედავად ამისა, ის მანც კმაყუფილი იყო, რომ რამდენიმე „დედიკოს ხრიკი“ შეითვისა, ისეთი, იმ დროისათვის რომ გამოადგებოდა. ტი ნომის წებოვანი თითების გადამკიდე, მამზელ ორელი იძულებული გახდა, საიდანლაც თეთრი წინსაფრები ამოექექა, რომლებიც უკვე წლებია აღარ ეხმარა. მისი დორბლიანი კოცნაც უნდა აეტანა, რომლითაც პატარა მოსიყვარულე და მგზნებარე ბუნებას გამოხატავდა.

კარადის ბოლო თაროდან საკერავი კალათა ჩამოილო, რომელსაც შევიათად ხმარობდა და ძირს დადო, რომ მზად და ახლოს ჰქონოდა, თუ დახეული პერანგების და თეთრეულის დაკერება დასჭირდებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ იმ ხმამაღალ სიცილს, ყვირილს და ტიკტიკაც მიერჩია, მთელი დღის განმავლობაში სახლში და მის გარშემო ექოსავით რომ გაისმოდა და პირველი თუ მეორე დამის შემდეგ უკვე მშვიდად ეძინა პატარა ელოდის ცხელ, ჰუტკუნა სხეულზე მიხუტებულს, როცა ბავშვის თბილი სუნთქვა მის ლოყას ისე ელამუნებოდა, როგორც ჩიტის ფრთხიალით დარხეული ჰაერი. ორი კვირის შემდეგ მამზელ ორელი ამ ყველაფერს ისე მიერჩია, რომ აღარაფერზე წუნუნებდა; ასევე ორი კვირის შემდეგ, ერთ საღამოს, როცა იმ ბაგისკენ იხედებოდა, საიდანაც საქონელი საჭმელს ჭამდა, მამზელ ორელიმ ვალსინის ლურჯ ურემს მოჰკრა თვალი, რომელმაც გზაზე შემოუხვია. ოდილი მულატის უკან დამჯდარიყო – წელში გამართული და ფხიზლად მომზირალი. როგორც კი სახლს მოუახლოვდნენ, ქალის გაბრწყინებული სახე გამოიკვეთა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ის სახლში ბეჭნიერი ბრუნდებოდა, მაგრამ ასეთმა შეუტყობინებელმა და მოულოდნელმა დაპრუნებამ მამზელ ორელი, ცოტა არ იყოს,

ააღელვა და ააფორიაქა.

ბავშვები უნდა მოეძებნა. ნეტა, სად იყო ტი ნომი? აგერ, ფარდულში, სალეს ქვაზე დანის პირს უსვამდა. და მარსელინი და მარსელეტი სადღა არიან? აივნის კუთხები, ნაჭრის თოჯინებისთვის ტანსაცმელს ჭრიან და აცმევენ. აი, ელოდი კი უსაფრთხოდ იყო მამზელ ორელის მკლავებში და სიხარულისგან კივილი დაიწყო, როგორც კი ნაცნობ ცისფერ ურემს მოჰკრა თვალი, რომელსაც მისი დედიკო უკან მოჰყავდა. აი, ისინიც წავიდნენ და მღელვარება და სიხარული დასრულდა. წავიდნენ! როგორი სიჩუმეა!

მამზელ ორელი აივანზე იდგა, სადღაც, შერს იყურებოდა და რაღაცას უსმენდა. ურემი უკვე აღარ ჩანდა; მენამული დაისი და ლურჯ-ნაცრისფერი ბინდი ერთად, ვარდისფერი ბურუსივით ჩამოწვა მინდვრებსა და გზაზე. ვეღარაფერს ხედავდა, აღარც ურმის თვლების ჭრაჭუნი და ჭრიალი ესმოდა, მაგრამ შორიდან ჯერ კიდევ ისმოდა ბავშვების წიკვინა, მხიარული ხმები.

ქალი სახლში შებრუნდა. საქმე თავსაყრელად ჰქონდა, რადგან ბავშვები წავიდნენ და სევდიანი არულობა დაუტოვეს, მაგრამ ის დალაგებას სულაც არ ჩეარობდა.

მამზელ ორელი მაგიდასთან ჩამოჯდა და ზანტი მზერა ოთახს მოავლო, სადაც მისი მარტოდ დარჩენილი სხეულის ირგვლივ საღამოს ჩრდილები მოიპარებოდნენ და იქაურობას ავსებდნენ. ქალმა მოხრილ მკლავზე თავი ჩამოდო და ტირილი დაიწყო. და როგორ ტიროდა! ისე ნაზად არა, როგორც ხშირად ტირიან ქალები. ტიროდა, როგორც კაცი, გულამოჯდარი სლუკუნით, რომელსაც თითქოს საცაა მისი გული შუაზე უნდა გაეპო.

ვერც კი შეამჩნია, პონტო ხელს როგორ ულოკავდა.

ინგლისურიდან თარგმნა
ზურაბ სონლულაშვილმა